პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 54, ტელეფონი № 8—81.
ხელისმომწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებები, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- ამხ. ჩიჩერინი დაბრუნდა მოსკოვში.
- უმუშევართა რიცხვის მასიური ზრდა ავსტრიაში.
- მოძრაობა აღმ.-ჩინეთის რკ. გზაზე 10 იანვარს განახლდება.
- ჰამბურგში დაიკეტა გემთსაშენი—დაითხოვნილია 14.000 მუშა.
- ბელგიაში გაიფიცა საფეიქრო მრეწველობის 7.000 მუშა.
- 8 იანვარს უზენაეს სასამართლოში დაიწყება ბესედოვსკის საქმის განხილვა.
- კოლმეურნეობების კრედიტებით უზრუნველყოფისათვის გადაიდო 500 მილ. მანეთი.

ოთხშაბათი, 8 იანვარი 1930 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 6 (2654)

10 იანვარს, საღამოს 6 საათზე სასახლის წითელ დარბაზში

გაიხსნება საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მე-3 პლენუმი

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი მ. კახიანი.

დავაჩქაროთ კოლექტივიზაციის ტემპი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 10 იანვრიდან 1 მარტამდე ჩატარდება კოლექტიურ მეურნეობათა ხელმძღვანელ ორგანოების საანგარიშო - საარჩევნო კამპანია. პარტიის წინაშე დასმულ მთელ რიგ პოლიტიკურ ამოცანათა შორის, კოლექტიურ მეურნეობათა ხელმძღვანელ ორგანოების გადახალისებას განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს, რადგან კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის გაუმჯობესების გარეშე დაბრკოლდება ჩვენი სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ფართო გეგმის განხორციელება.

სოფლად კლასიური მტერი ერთის მხრივ ცდილობს სახელი გაუტეხოს კოლექტივიზაციას, იარაღით ხელში ებრძვის მას, ცეცხლს უკიდებს კოლმეურნეობათა ქონებას, ჰკლავს მის აქტიურ წევრებს, ხოლო მეორეს მხრივ ცდილობს კოლექტივში შეპარვას და მის შიგნიდან გახრწნას. კულაკები ახერხებენ არა მარტო კოლექტივების წევრებათ გახდომას, არამედ სახელმძღვანელო ორგანოებშიაც მოკალათებას კოლექტივიზაციის განვითარების საწინააღმდეგო გზით წარმართვის მიზნით.

კოლმეურნეობათა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, სწორედ ამის გამო მიზნად ისახავს კოლმეურნეობათა განმტკიცებას კულაკურ ელემენტების განდევნით, როგორც კოლმეურნეობების ხელმძღვანელ ორგანოებიდან, ისე თვით კოლექტივებიდანაც. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება ამ უდიდესი კამპანიის ამოცანები. კოლმეურნეობათა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების მიერ მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპის დასაჩქარებლად, მთელი სოფლების და რაიონების მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასაყვანათ, მრავალ ახალ მსხვილ კოლექტიურ გაერთიანებათა შესაქმნელად.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კოლმეურნეობათა გადარჩევა მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიას, რომლის დროს მიღწეულ უნდა იქნას არა მარტო სათესი სივრცის გადიდება, არამედ ხელის შეწყობა სოფლის სოციალისტური სექტორის განმტკიცებისა და მისი შემდგომი ზრდისათვის. საქართველო, როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, თვალსაჩინოდ ჩამორჩება კოლექტივიზაციის ტემპის მხრივ საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებს, და ამიტომ ამოძრავებულ უნდა იქნას სოფლის ყველა პარტიული, საბჭოთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა ძალები კოლექტივიზაციის დასაჩქარებლად, კოლმეურნეობებში ღარიბ და საშუალო გლეხობის მასიურად ჩასაბმელად და კოლექტივებში გაერთიანებულ გლეხურ მეურნეობათა 17 პროცენტამდე ასაყვანად მომავალ გაზაფხულის კამპანიის განმავლობაში.

კოლმეურნეობათა საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის პერიოდში გამომჟღავნებულ უნდა იქნას კოლექტივიზაციის ყველა ხელისშემშლელი მიზეზები და მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები მათ აღსაკვეთად. პარტიულმა ორგანიზაციებმა კოლმეურნეობების საანგარიშო საარჩევნო კამპანია უნდა გამოიყენონ თავის ირგვლივ მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა ფენების შემოსაკრებად, მთელი საგაზაფხულო კამპანიის და კერძოთ კოლექტივიზაციის რაც შეიძლება ფართოდ გატარებისა და სოფლის განსაზოგადოების იდეის ყოველმხრივი პოპულიარიზაციისათვის.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს კულაკობის კონტრ-რევოლიუციურ აგიტაციას იმის შესახებ, რათა გლეხობა შევიდეს კოლმეურნეობებში საწარმოო საშუალებათა შეუტანლად. „ბრძოლა უნდა გამოეცხადოს იმის ცდებს — ნათქვამია ხსენებულ დადგენილებაში, — რომ კოლმეურნეობებში წევრებათ შევიდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც წინასწარ გაჰყიდიან მკვდარ ინვენტარს, წევის ძალას, საქონელს და სხვა“.

არა ნაკლები ბრძოლა უნდა გამოეცხადოს იმ შეხედულებას, თითქოს ტრაქტორის და საერთოდ მსხვილ სასოფლო - სამეურნეო მანქანური ბაზის გარეშე შეუძლებელია კოლმეურნეობათა შექმნა, თითქოს უარი უნდა ვთქვათ კოლექტიურ გაერთიანებათა შექმნაზე მანამ, ვიდრე არ შეგვიქმნია აქ გაერთიანებისათვის საჭირო მანქანური საფუძველი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ახალი დადგენილება ამ აზრს უხეშ შეცდომათ აღიარებს და მოითხოვს კოლექტიურ მეურნეობათა დაუყოვნებლივ შექმნას ყველგან სადაც კი ეს არის მოსახერხებელი თვით ცოცხალ წევის ძალის (ხარ-კამეჩის და ცხენის) საფუძველზე. „რადგან საცხენო ინვენტარის სავსებით შეცვლა სამანქანო ინვენტარით არ შეიძლება განხორციელდეს მოკლე ვადაში და მოითხოვს მთელ რიგ წლებს — ნათქვამია საქ. კ. პ. (ბ) ცეკას უკანასკნელ დადგენილებაში, — ამიტომ სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს იმ ტენდენციას, რომელიც არა საკმაოდ აფასებს საცხენო ინვენტარის მნიშვნელობას კოლმეურნეობრივი მოძრაობის ეხლანდელ საფეხურზე, ტენდენციას, რომელიც იწვევს ცხენებისადმი ყურადღების შესუსტებას და მათ თავიდან მოშორებას. საქ. კომპარტიის (ბ) ც. კ. საჭიროდ სთვლის გარდამავალი ღონისძიების სახით, შერეული ტიპის საცხენო - სამანქანო ბაზების და სატრაქტორო - საცხენო ბაზების შექმნას კოლექტიურ მეურნეობებში“.

კოლმეურნეობათა საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის მეოხებით ჩვენ უნდა შევძლოთ კოლექტიურ მეურნეობათა მუშაობის გაუმჯობესება, შრომის უკეთ მოწესრიგება, კოლექტივის წევრთა შორის განსაზოგადოებულ წარმოებისადმი მეტი ინტერესის გაღვივება, სოციალისტური შეჯიბრის ფართოდ გაშლა და კოლექტივის მთელი მასის აქტიური ჩაბმა კოლმეურნეობის ყოველდღიურ საქმიანობაში. ამავე კამპანიის პერიოდში უნდა მიღწეულ იქნას სოფლის საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება და საბჭოების მეტი დაახლოება კოლექტიურ მშენებლობისადმი.

კოლმეურნეობათა საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის წარმატების ჩატარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის საბჭოების მონაწილეობას ამ კამპანიაში და კერძოდ მის მოსამზადებელ მუშაობაში. ცეკას დადგენილება საჭიროთ სცნობს, რათა სოფლის საბჭოებმა მოისმინონ კოლმეურნეობათა საანგარიშო მოხსენებები, „იმ მიზნით, რომ ეს ანგარიშგება გახდეს დასაწყისი იმ ამოცანების სისტემატიური განხორციელებისა, რომლებიც საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმმა დაუსახა სოფლის საბჭოებს კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარების და განმტკიცების საქმეში“.

ამგვარად პარტიის წინაშე უდიდესი ამოცანა სდგას — კოლმეურნეობათა საანგარიშო საარჩევნო კამპანიის სახით. ეს კამპანია გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის განუყოფელი ნაწილია და პარტიის მიზანია, ღარიბ და საშუალო გლეხთა მეტი დარაზმვით და კულაკობის წინააღმდეგ გაფართოებული ბრძოლით დააჩქაროს სოფლის სოციალისტური გარდაქმნა, მტკიცე საფუძველი შეუქმნას გლეხური მეურნეობის განსაზოგადოების პროცესს.

კოლონიალური მასები ამოძრავდნენ

ფაქტები დღითი-დღე ადასტურებენ კაპიტალისტური „სტაბილიზაციის“ მერყეობას და გაძლიერებულ რღვევას. მიუხედავად მსოფლიოს იმპერიალისტურ ბატონ-პატრონთა მრავალი განცხადებისა სამეურნეო „აყვავების“ შესახებ, მიუხედავად მოქნილი იმპერიალისტური პოლიტიკოსებისა და მათი სოციალ-ფაშისტი დამქაშების დაუსრულებელი პაციფისტური ლაყბობისა, უფრო და უფრო მკაფიოდ აშკარავდება მსოფლიო ეკონომიური კრიზისის მრისხანე სახე. ეს კრიზისი, რომელიც მსოფლიო იმპერიალიზმის ციხე-სიმაგრიდან — ამერიკიდან—სხვა ქვეყნებსაც ედება, უეჭველად ითამაშებს და თამაშობს კიდეც იმ შეტაკებათა ბუმბერაზულად დამაჩქარებლის როლს, რომლებიც იწყება პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის და რომლებიც თანდათან უფრო იქცევიან პირდაპირ ბრძოლად პროლეტარულ დიქტატურისათვის.

ამ ფონზე უაღრესად სერიოზული ყურადღების ღირსია ის ამბები, რომლებიც ვითარდებიან იმპერიალისტურ მსოფლიოს კოლონიალურ ქვეყნებში. კოლონიალური ქვეყნების ბრძოლა იმპერიალისტ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ამ უკანასკნელ დროს სერიოზულად ძლიერდება, მთელი დედამიწის ზურგზე ხდება გააფთრებული რევოლიუციონური ამბოხებები. კოლონიალური აჯანყებანი კიდევ უფრო ნათლად აშუქებენ კაპიტალისტური „სტაბილიზაციის“ რღვევის ზრდას.

მსოფლიო იმპერიალიზმი კოლონიებში ამჟამად ერთ-ერთ უმწვავეს საკითხს სწყვეტს. შინაგან ბაზრებზე უდიდესი დაბრკოლებების გამო, მსოფლიო ფინანსიური კაპიტალი ეძებს ნედლეულის ახალ წყაროებს, კაპიტალის დაბანდების ახალ სფეროებს, ახალ მუშა-ხელს. ბრძოლას კოლონიალური ზედმეტი მოგებისათვის თანდათან უფრო გააფთრებული ხასიათი ეძლევა. ამიტომ კოლონიებში იმპერიალისტები მიმართავენ ექსპლოატაციის განსაკუთრებით მკაცრ, განსაკუთრებით ულმობელ მეთოდებს. ისინი ადგილობრივ მკვიდრთ ართმევენ მიწებს და აქცევენ ამ მიწებს თეთრ მონათ მფლობელთა მსხვილ ლატიფუნდიებათ, სადაც, თანამედროვე მაღალი ინდუსტრიალური ტეხნიკა შეერთებულია მონურ შრომასთან. მძიმე გადასახადების საშუალებით იმპერიალიზმი კოლონიალური ხალხების პირველყოფილ ნატურალურ მეურნეობას აქცევს სასაქონლო ფულად მეურნეობად, რაც უფრო აადვილებს ამ მეურნეობიდან მოგებისა და ზედმეტი მოგების მიღებას. იმპერიალისტები მასიურად ხოცავენ ადგილობრივ მკვიდრთ, არაყში ახრჩობენ კოლონიებს, შეაქვთ იქ სიფილისი, ტუბერკულოზი, შეაქვთ „ქრისტიანი“ მისიონერები, ავსებენ კოლონიებს თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ჯარით და შეაქვთ გაუგონარი ნაციონალური და რასიული ჩაგვრა. ყოველსავე ამას სჩადიან იმისათვის, რომ, კოლონიალური ზედმეტი მოგების საშუალებით, კრიზისისაგან იხსნან მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა. კოლონიებში თანამედროვე იმპერიალისტური შეჭრის საშინელებანი ჩრდილავენ პირველდაწყებითი კაპიტალისტური დაგროვების ყველაზე მკაცრ მეთოდებს.

ამიტომ სავსებით გასაგებია წინააღმდეგობისა და შეტევის გაძლიერება, რასაც ამ უკანასკნელ დროს კოლონიალური ქვეყნების ჩაგრული მასები იჩენენ.

იმპერიალიზმის უდიდეს კოლონიებში ამოძრავდნენ ჩაგრული მასების უფართოესი ფენები, ჩინეთში ხელახლა ვითარდება არაჩვეულებრივი ძალის რევოლიუციონური მოძრაობა. რევოლიუციის ჰეგემონი—პროლეტარიატი უკვე გამოერკვა დამარცხების შემდეგ, იგი გამოდის ქუჩებში, იგი დემონსტრაციებს მართავს 1-ლ მაისს, 1-ლ აგვისტოს და 7 ნოემბერს. კანტონში, რევოლიუციის ამ აკვანში, სადაც ჩინეთში პირველად აფრიალდა საბჭოების დროშა (1927 წლის დეკემბრის აჯანყება), პროლეტარიატი ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავზე აწყობს ბარიკადებს და ებრძვის ჯარს, გლეხთა მოძრაობა, რომელიც საბჭოების დროშის ქვეშ ვითარდება, სამხრეთ-ჩინეთში ედება რაიონებს 60 მილიონიანი მოსახლეობით, პარტიზანულ რაზმებში კი რამდენიმე ათი ათასი მებრძოლი ითვლება.

ინდოეთში, სადაც 320 მილიონი მოსახლეობა ითვლება, პროლეტარიატი ებრძვის ადგილობრივ მოღალატე ბურჟუაზიას, გვერდს უვლის ნაციონალ-რეფორმისტებს და ბრძოლას უმართავს იმპერიალისტებსა და თავისი ქვეყნის კაპიტალისტებს. „გირნი კამგარ“-ის („წითელი დროშა“—ფეიქართა რევოლიუციონური კავშირის სახელწოდება) დროშა ბრძოლის სიმბოლოდ იქცევა, იზრდება გლეხობის მოძრაობა რაჯების, ბრიტანელი კოლონიზატორების, მიწათმფლობელებისა და მევახშეების წინააღმდეგ. თანდათან ვითარდება გაფიცვები და რევოლიუციონური გამოსვლები.

ეგვიპტეს ფელახები ვაფდის მაგალითზე დარწმუნდნენ ადგილობრივი ბურჟუაზიის მოღალატეობაში და ბრიტანეთის „ლეიბორისტების“, ვაფდისტების, ინგლისელი ოფიცრობისა და ეგვიპტელი ექსპლოატატორების ფრონტის მთლიანობაში. ამ უკანასკნელ წლებში ეგვიპტეს კომპარტია პირველად ხდება ამ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების თვალსაჩინო ფაქტორი, იგი მოუწოდებს და თავისი დროშების ირგვლივ რაზმავს მასებს.

მაგრამ უკანასკნელი კვირეებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ყველაზე ჩამორჩენილ კოლონიებშიაც კი, რომლებიც მეტად არიან დაშორებულნი „განათლებულ“ ქვეყნებს, მასები სისხლის მღვრელ ბრძოლებს უმართავენ იმპერიალიზმს. თითქმის ყოველ დღე (ამ უკანასკნელ კვირეებში), ტელეგრაფს მოაქვს ცნობები კოლონიებში გაშლილი ახალი ბრძოლების შესახებ. საფრანგეთის კონგოში ადგილობრივ მკვიდრთა აჯანყება ამ ცოტა ხნის წინად ჩააქრო საფრანგეთის ჯარმა. მოძრაობის უშუალო მიზეზი იყო ადგილობრივ მკვიდრთა იძულებით გამოყენება რკინის გზების მშენებლობაზე, ჯარის იძულებითი შეკრება და იძულებითი მეთოდების გამოყენება საქონლის შესაგროვებლად.

სამხრეთ-აფრიკის კავშირში სერიოზული მოძრაობა ვითარდება ადგილობრივ მუშებს შორის. პოლიციამ იქ ათას კაცზე მეტი დააპატიმრა. აქ მოძრაობის მიზეზად გადაიქცა ადგილობრივ მკვიდრთათვის მიწების [illegible] წართმევა, იძულებითი შრომა და ახალი კანონები, რომლებიც თეთრ მონათმფლობელთა მთავრობამ შეიტანა, საერთოდ, ადგილობრივ მკვიდრთა წინააღმდეგ და, კერძოდ, ადგილობრივ მკვიდრთა შორის რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ.

კენიაში (ინგლისის კოლონია აღმოსავლეთ აფრიკაში) ოქტომბერში მოხდა აჯანყება ადგილობრივ მკვიდრთა შორის; აჯანყება გამოიწვია უკმაყოფილებამ მიწის კანონებით, რომლებიც ადგილობრივ მკვიდრთ უკრძალავენ შეიძინონ „სამეფო მიწები“, ე. ი. დაუმუშავებელი მიწები, რომლებიც იმპერიალისტებმა ხელში ჩაიგდეს და სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს.

სუდანში ინგლისის იმპერიალიზმს აუჯანყდნენ სხვადასხვა ტომები. ინგლისის ხელისუფლებამ დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა აჯანყებულთა მოძრაობის ჩასაქრობად.

ნიგერიაში (ინგლისის კოლონია დასავლეთ აფრიკაში) მოხდა ადგილობრივი გლეხების აჯანყება. აჯანყებულებმა გაანადგურეს მთავრობის შენობები და ევროპიელთა მაღაზიები. დამახასიათებელია, რომ გამოსვლებში უაღრესად აქტიურ როლს თამაშობდნენ ქალები. როდესაც ინგლისელმა ჯარმა აჯანყებულებს სროლა აუტეხა, თითქმის მარტო ქალები დაიღუპნენ.

გაიტში მომხდარ აჯანყებას, რომელიც საკმაოდ გაშუქებულ იქნა პრესაში, როგორც ვიცით, შედეგად მოჰყვა აჯანყებულების მიერ მთელი რიგი ქალაქებისა და სოფლების ხელში ჩაგდება. ბრძოლამ იქ ათ დღეს გასტანა. აჯანყების მიზეზები იყო: ამერიკელთა ოკუპაცია, ამერიკელი ბანკირების ცდა — ხელში ჩაეგდოთ გლეხობის მიწა და გაეშენებინათ ყავა, დიდი პლანტაციები, და ყავის ფასების მკვეთრი შემცირება.

ამ მოკლე ნუსხიდან, რომელიც ვერ ამოსწურავს ამ უკანასკნელ დროს კოლონიებში მომხდარ ამბებს, შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ კოლონიალური ბრძოლის ფრონტი დღითი-დღე ფართოვდება. მაგრამ მთელი ახლანდელი პერიოდისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ის, რომ კოლონიალური მასების ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ყველაზე ჩამორჩენილ ოლქებშიაც კი უკვე ღებულობს არა მარტო გლეხური მოძრაობის, არამედ მუშათა მოძრაობის ხასიათსაც.

გამბიასა და სამხრეთ-აფრიკის კავშირში მუშათა პროფკავშირები სათავეში უდგანან ანტი-იმპერიალისტურ ბრძოლას. სამხრეთ-აფრიკის კავშირში და მადაგასკარზე კომუნისტები მეთაურობენ მასების გამოსვლას. იმ დროს, როდესაც მეორე ინტერნაციონალი მხარს უჭერს კაპიტალის „ცივილიზატორულ მისიას“ კოლონიალურ ქვეყნებში, როდესაც ინგლისის „მუშათა“ მთავრობა სისხლიანი ხელით აქრობს კოლონიალურ აჯანყებებს და ხვრეტს ქალებსა და ბავშვებს, ამ დროს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას უკვე შეუძლია იამაყოს იმით, რომ შორეულ მადაგასკარზედაც კი ფრანგი მუშა ბოლშევიკები მეთაურობდნენ ადგილობრივ მკვიდრთა მასებს, რომლებთაც საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ გაილაშქრეს.

კოლონიალური მასები ამოძრავდნენ. ფეხზე დადგნენ პროლეტარული რევოლიუციის მრავალ-მილიონიანი რეზერვები, რომლებიც სათანადო როლს ითამაშებენ მომავალ გადამწყვეტ კლასობრივ ბრძოლებში.

„პრავდა“

7 იანვარი.

ინდოეთის ნაციონალისტების კაპიტულაცია ინგლისის იმპერიალიზმის წინაშე

საბჭოთა საკონსულოებმა განაახლებს მოქმედება მანჯურიაში

უმუშევართა მასიური დემონსტრაციები უნგრეთში

ინდოეთის ნაციონალისტები უკან იხევენ

აგვიანებენ ლაჰორის კონგრესის დადგენილებათა შესრულებას

ლონდონი, 6 იანვარი. საკანონმდებლო კრების ინდოელი წევრები ძალიან ეწინააღმდეგებიან ლაჰორის კონგრესის დადგენილებას იმის შესახებ, რომ საკანონმდებლო დაწესებულებებს ბოიკოტი გამოეცხადოს. ისინი სხვადასხვა საბაბით აჭიანურებენ თავიანთი გადადგომის საკითხს.

ცენტრალური საკანონმდებლო კრების თავმჯდომარემ პეტელმა გადაჭრილი უარი სთქვა გადადგომაზე იმ საბაბით, რომ მას „ნეიტრალური პოზიცია“ უჭირავს. ინდოელების ლიგის „მახასაბა“-ს ბელადი მუნჯე 13 იანვრისათვის იწვევს საკანონმდებლო კრების იმ წევრთა თათბირს, რომლებიც ინდოეთის ნაციონალურ კრებას ემხრობიან. თათბირმა უნდა „გამოსძებნოს საშუალო გზა“, რათა თავიდან აცილებულ იქნას გადადგომა. (ადს).

განდის განცხადება

ლონდონი, 3 იანვარი. როგორც ინდოეთიდან იუწყებიან, განდიმ განაცხადა, რომ განზრახვა აქვს ახლო მომავალში დაიწყოს კამპანია იმისთვის, რომ ხელისუფლებას სამოქალაქო ურჩობა გაეწიოს. (ადს).

„დეილი ჰერალდ“-ის მოწინავე წერილი

ლონდონი, 6 იანვ. „დეილი ჰერალდ“-ი მოწინავე წერილში ჰგმობს კონსერვატორებს იმისათვის, რომ ისინი ინდოეთის მეფის მოადგილის წინააღმდეგ ილაშქრებენ. გაზეთი აცხადებს: „ასეთ საქციელს ახლანდელ ფრიად რთულ მდგომარეობაში მხოლოდ აუნაზღაურებელი ზიანის მოტანა შეუძლია. ასევე საშიშია კონსერვატიული პრესის ცდა, მიმართული იქითკენ, რომ ჩაშალოს ინგლის-საბჭოთა მეგობრული ურთიერთობა კომინტერნის იმ უკანასკნელი წერილის გაბერვით, რომელიც ინგლისის კომპარტიის ორგანოს „დეილი უორკერ“-ისადმი არის მიმართული. რუსეთთან ურთიერთობა მოითხოვს უდიდეს სიფრთხილეს და [illegible]“. (ადს).

კვლავ გადაიდო განაჩენის გამოცხადება მირუტის საქმის გამო

ლონდონი, 6 იანვარი. მირუტში განაჩენის გამოცხადება ინდოელ რევოლიუციონერთა საქმის გამო კვლავ გადაიდო. სასამართლოს ეზოში განაჩენის მოლოდინში აღელვებულმა ხალხმა მოიყარა თავი. (ადს).

ყალბი ჩერვონცების დამამზადებელთა პროცესი

ბერლინი, 6 იანვარი. დაიწყო იმ ქართველი თეთრგვარდიელებისა და გერმანელი ფაშისტების პროცესი, რომელნიც ყალბ ჩერვონცებს ამზადებდნენ.

ბრალდებულ გერმანელთა დამცველებმა შეიტანეს განცხადება, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ საქმე არ ექვემდებარება ბერლინის სასამართლოს, რადგან ბრალდებულნი ბავარიაში სცხოვრობენ. მთავარი ბრალდებულების ქარუმიძისა და სადათიერაშვილის დამცველმა განაცხადა, რომ მისი მარწმუნებლები „ესალმებიან სასამართლოს და მოელიან სამართლიან განაჩენს“.

სასამართლოს დადგენილებით, გამოყოფილ იქნა ვითომდა ავად გამხდარი შნიდერის საქმე (შნიდერი სტამბის პატრონია მიუნხენში).

ბრალდებულ ქარუმიძის დაკითხვა

პირველად დაკითხულ იქნა ქარუმიძე, რომელმაც გულახდილად და დაწვრილებით უამბო სასამართლოს ანტისაბჭოთა ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. მან ვითომ საქართველოდან მიიღო წერილი, რომელშიაც სწერდნენ—სათანადო სახსრების გარეშე შეუძლებელია აჯანყების მოწყობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგო. მაშინ მან შეიმუშავა ყალბი ჩერვონცების მასიურად დამზადების გეგმა. აჯანყების მოწყობის გარდა, ამ ჩერვონცების საშუალებით მას უნდოდა საბჭოთა ვალუტის დაცემა. ქარუმიძის აზრით, ეს გეგმა რომ შესრულებულიყო აჯანყების გამარჯვება საქართველოში უზრუნველყოფილი იქნებოდა. თავმჯდომარის კითხვაზე—ვინ მისცა მას ფული ყალბი ჩერვონცების დამზადების საქმის მოსაწყობად,—ქარუმიძემ პასუხი არ გასცა.

შემდეგ ქარუმიძემ განაცხადა, რომ ციურიხის ბანკში მის მიმდინარე ანგარიშზე ინახებოდა 1.500 დოლარი. მან არა სთქვა, საიდან მიიღო ეს ფული. ქარუმიძე ცდილობს დაფაროს სუბსიდიების წყარო, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან გერმანიის გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები უდაოდ ამტკიცებენ, რომ ყალბი ჩერვონცების დამამზადებელნი საჭირო ფულს ღებულობდნენ ნავთის მეფეებს—დეტერდინგისა და ნობელისაგან. ამას ამტკიცებს „მორნინგ პოსტ“-ის უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებული მიწერ-მოწერა გენერალ ჰოფმანსა და დეტერდინგს შორის. მიწერ-მოწერა ამტკიცებს, რომ არსებობდა მჭიდრო თანამშრომლობა დეტერდინგსა, ნობელსა, ჰოფმანსა და ქართველ თეთრგვარდიელებს კედიასა და ქარუმიძეს შორის.

ჰოფმანისათვის გაგზავნილ წერილში (1926 წლის 1 აპრილი) დეტერდინგი ატყობინებს მას იმ თათბირის შესახებ, რომელიც გაიმართა პარიზში დეტერდინგსა, ნობელსა და კედიას შორის. დეტერდინგი იწვევს ჰოფმანს ლონდონში.

ჰოფმანი 16 აპრილს გაგზავნილ წერილში სთხოვს დეტერდინგს—ურჩიოს ნობელს ბერლინში ჩასვლა მასთან, ჰოფმანთან, მოსალაპარაკებლად.

ქარუმიძის დამცველი მოითხოვს, რომ ბრალდებული ქართველების თარჯიმნად დაშვებულ იქნას ფაშისტური გაზეთის „დეიჩე ცეიტუნგ“-ის თანამშრომელი, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნული თარჯიმანი ვითომ სისწორით არ სთარგმნის ჩვენებებს. სასამართლოს სხდომა შესწყდა ამ საკითხის გადასაწყვეტად.

ბერლინი, 6 იანვარი. დამცველთა მოთხოვნით სასამართლომ ნება დართო, რომ ბრალდებული ქართველების თარჯიმნად დაშვებულ იქნას ფაშისტური გაზეთის „დეიჩე ცეიტუნგ“-ის თანამშრომელი, თეთრგვარდიელი ემიგრანტი ლეიბერგი.

ამის შემდეგ სასამართლომ გამოაქვეყნა ქარუმიძის ჩვენება, მიცემული წინასწარი გამოძიების დროს. ამ ჩვენების თანახმად, ქარუმიძემ ყალბი ჩერვონცების დასამზადებლად ქაღალდი იშოვა გერმანელი ფაშისტების, მათ შორის „ფოლადის მუზარადის“ ბელადის ვებერის დახმარებით. ქარუმიძემ გაიცნო გერმანელი ინჟინერი ბელი, რომელიც აქამდე მსჯავრდადებულია ჯაშუშობისათვის.

ქარუმიძის შემდგომი ჩვენება, რომელშიაც იგი ამბობს, რომ ბელმა გააცნო მას ცნობილი ფაშისტი ერჰარდტი, ცხადჰყოფს, ბელის პოლიტიკურ როლს. ბელი უნდა წასულიყო ტრაპიზონში, რომ იქიდან ხელმძღვანელობა გაეწია აჯანყებისათვის საქართველოში.

შემდეგ ქარუმიძე აღნიშნავს, ვითომ მან ყალბი ჩერვონცების დასამზადებლად თვალსაჩინო თანხა მიიღო თეთრი ბანდების ყოფილი ორგანიზატორის ავალოვ-ბერმონტისაგან. ქარუმიძე იხვევა, როცა უპასუხებს კონკრეტულ კითხვაზე მისი პროფესიის შესახებ. თუმცა თავდაპირველად განაცხადა, რომ ბეწვეულით ვვაჭრობდიო.

მოწმეთა სიაში არ არის არც ერთი პოლიტიკური ფიგურა, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის რეიხსტაგის ზოგიერთ წევრს და ისეთ „ცნობილ“ კაცს, როგორიც არის ფაშისტი ერჰარდტი, მჭიდრო კავშირი აქვთ ბრალდებულებთან და მათ მოქმედებასთან.

ბერლინი, 6 იანვარი თავმჯდომარის კითხვაზე—რატომ ჩამოვიდა გერმანიაში ბრალდებული ქარუმიძე, ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ მას ვითომ უნდოდა მოეწესრიგებინა ურთიერთობა ქართველთა ზოგიერთ ფირმებთან და, ამას გარდა, კონტაქტი დაემყარებინა იმ პირებთან, რომელთაც „აინტერესებდათ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხები“. ამასთან ქარუმიძე შეეხო რაღაც მოლაპარაკებებს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა, წინააღმდეგ ქარუმიძის სიტყვებისა, არ სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეშე და დიპლომატიური ურთიერთობა მას მხოლოდ საბჭოთა კავშირთან ჰქონდაო. (ადს).

ჩინეთთან ურთიერთობის განახლების შემდეგ

საბჭოთა საკონსულოებმა განაახლეს მოქმედება ხარბინსა და მუკდენში

შანხაი, 6 იანვარი. ჩან სუე-ლიანმა ნანკინს აცნობა, რომ საბჭოთა საკონსულოებმა ხარბინსა და მუკდენში განაახლეს მოქმედება და რომ ჩიტა-ში დაბრუნდა ჩინეთის კონსული. (ადს).

მოძრაობის განახლება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე

ტოკიო, 7 იანვარი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სამმართველო აცხადებს, რომ მოძრაობა ხსენებული გზის აღმოსავლეთის ხაზზე განახლდება 10 იანვარს, დასავლეთის ხაზზე—15 იანვარს, ხოლო საერთაშორისო და საყოველთაო მიმოსვლა—20 იანვარს.

ჰააგის კონფერენცია

უთანხმოება რეპარაციების საკითხში

ჰააგა, 6 იანვარი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ერთსულოვნება ავსტრიის სარეპარაციო ვალების საკითხში, აღმოსავლეთის რეპარაციების კომისია შეუდგა ბულგარეთის რეპარაციების საკითხის განხილვას. ბულგარეთის რეპარაციების თანხა წინად განსაზღვრული იყო 2 ნახევ. მილიარდი ოქრო ლევით; ეს თანხა მას 37 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა, ვინაიდან ბულგარეთის გადამხდელუნარიანობა არა აქვს, მისი ყოველწლიურად გადასახდელი თანხა შემცირებულ იქნა 12 მილიონ ლევამდე. ბულგარეთი მოითხოვს ამ თანხის შემცირებასაც.

უნგრეთი 1943 წლამდე ყოველწლიურად იხდის 10 მილიონ კრონას. მისი კრედიტორები მოითხოვენ ამ გადასახადის 1966 წლამდე გაგრძელებას, რასაც უნგრეთი გადაჭრით ეწინააღმდეგება. ჰააგის კონფერენციაზე უნგრეთი ცდილობს გამოიყენოს იტალიასა და სამხრეთ-სლავიას შორის არსებული წინააღმდეგობანი და ურთიერთობის გაუარესება იტალიასა და საფრანგეთს შორის.

გერმანიის რეპარაციების საკითხის განხილვა გრძელდება როგორც საფინანსო ექსპერტთა კომისიაში, ისე კერძო საუბრებში. გამარჯვებული სახელმწიფოები წინადადებას აძლევენ გერმანიას—გადასახდელი თანხები შეიტანოს ყოველი თვის 15-ს, რაც გერმანიისათვის მოასწავებს ნახევარი თვის პროცენტების დაკარგვას. საფრანგეთმა წამოაყენა ახალი მოთხოვნილება. იგი მოითხოვს, რომ კრედიტორთა ინტერესებისათვის ვალიუტა უზრუნველყოფილ იქნას ინფლიაციისაგან, რისთვისაც გერმანიაში გაუქმებულ უნდა იქნას ქაღალდის ფულის ოქროზე გადაცვლის ყოველი შეზღუდვა. (ადს).

კლასობრივი ბრძოლა ძლიერდება

უნგრეთი

უმუშევართა მასიური მოძრაობა

ვენა, 6 იანვარი. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობით, გასულ კვირას მთელ უნგრეთში დაიწყო უმუშევართა მასიური მოძრაობა ლოზუნგით „მოვითხოვთ სამუშაოს და პურს“. ბევრ ქალაქში დემონსტრაცია მოეწყო მაგისტრატის წინ. უმუშევართა გავლენით, სოციალ-დემოკრატებმა მთელ რიგ პროვინციალურ ქალაქებში მოიწვიეს უმუშევართა კრებები იმ მიზნით, რომ ხელში ჩაეგდოთ მასიური მოძრაობა. სოციალ-დემოკრატები სცდილობენ, მოსპონ უმუშევართა დემონსტრაცია და არწმუნებენ მათ გაგზავნონ დელეგაციები ბურგომისტრებთან მოსალაპარაკებლად. უმუშევრობის შემსუბუქების ძირითად ღონისძიებად სოციალ-დემოკრატ დელეგატებს მიაჩნიათ კომუნალური სამუშაოების მოწყობა. სოციალ-დემოკრატიული პრესა აღნიშნავს, უმუშევართა მოძრაობის ზრდას. რაც საშიშროებას უქმნის არსებულ წყობილებას, და მოუწოდებს მთავრობას—მიიღოს სასწრაფო ზომები. (ადს).

საფრანგეთი

7.000 ფეიქრის გაფიცვა

პარიზი, 7 იანვარი. ბელგიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გაიფიცა 7.000 ფეიქარი. გაფიცულნი ხელფასის მომატებას მოითხოვს. (ადს).

ბელგია

წარმოების შემცირება

პარიზი, 6 იანვარი. ბელგიაში ალმასის დამმუშავებელ საწარმოთა პატრონებმა გადასწყვიტეს —იანვარშიაც განაგრძონ მუშაობა წარმოების სანახევროდ შემცირებულ პირობაში .(ადს).

ინგლისი

რეფორმისტები იმუქრებიან

ბერლინი, 6 იანვარი. ლონდონიდან მიღებული ცნობით, სამხრეთ-უელსის სამთამადნო მუშ. კავშ. ხელმძღვანელობა კავშირიდან გამორიცხვით ემუქრება მარდის (რონდის ხეობა) სამთა-მადნო მუშათა კავშირის ორგანიზაციას, თუ ეს ორგანიზაცია შემდეგშიაც გააგრძელებს კომპარტიის ხაზის დაცვას. რონდის სამთა-მადნო მუშების კავშირმა თავის დროზე საპარლამენტო არჩევნებში ხმა მისცა კომუნისტ დეპუტატს ხორნერს. (ადს).

გერმანია

მუშათა მასიური დათხოვნა

ბერლინი, 6 იანვარი. 31 დეკემბერს ჰამბურგში დაიკეტა გემთსაშენი „ვულკანი“. დაითხოვეს 14.000 მუშა. მრავალ ქალაქში მუშების ასეთივე მასიური დათხოვნაა. (ადს).

ავსტრია

უმუშევრობის ზრდა

ვენა, 6 იანვარი. ავსტრიაში უმუშევრობის ზრდა კატასტროფიულ ხასიათს ღებულობს. მარტო ვენაში უმუშევართა რიცხვი დეკემბრის მეორე ნახევარში 10.522 კაცით გაიზარდა. (ადს).

რუმინეთი

რევოლიუციონერი უმუშევრების დემონსტრაციები

ვენა, 6 იანვარი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, რევოლიუციონერი უმუშევრები განაგრძობენ დემონსტრაციებს რუმინეთში. ბუქარესტსა და კონსტანცაში შაბათს დიდი დემონსტრაციების დროს მოხდა მთელი შეტაკებები პოლიციასთან. დააპატიმრეს უნიტარული პროფკავშირებისა და მუშათა-გლეხთა ბლოკის ხელმძღვანელი მოღვაწენი.

ამერიკელი მფრინავების ძებნა

მოსკოვი, 7 იანვარი. არქტიკულ კომისიაში შევიდა განცხადება ციმბირის № საავიაციო რაზმისაგან, რომელიც სურვილს გამოსთქვამს მთელი შემადგენლობით მიიღოს მონაწილეობა ამერიკელი მფრინავების ძებნაში. (ადს).

ამხ. ჩუხნოვსკის დეპეშა სარატოვის მუშებს

კრასნოიარსკი, 7 იანვარი. როდესაც ამხ. ჩუხნოვსკიმ მიიღო ცნობა, რომ სარატოვის მუშები თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებისაგან მოითხოვენ იმ განსაცდელის შემსუბუქებას, რომელიც ამხ. ჩუხნოვსკისა და მის თანამშრომლებს მოელით, მან სარატოვის მუშებს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია: „მთავრობის პოლიარულმა კომისიამ ჩვენი წინადადება ამერიკელ მფრინავებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ მიიღო ყურადღებით განხილვის შემდეგ. კომისიამ ჩვენ ყოველივე აუცილებლით უზრუნველგვყო. იქ, სადაც ჩვენ მივფრინავთ, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება ამ ორი წლის წინად აწყობდა ბენზინისა და სათადარიგო ნაწილების საუცხოო ბაზებს საგამოკვლეო ფრენისათვის, ახლა ეს ჩვენ კარგ სამსახურს გაგვიწევს. თქვენი წინადადება ჩვენთვის ყოველმხრივი დახმარების გაწევის შესახებ ძალიან გვამხნევებს. მომავალი მუშაობა არც ისე საშიშარია, მაგრამ ძნელია ტეხნიკური შესრულების მხრივ. იმედი გვაქვს ბოლომდე მივიყვანოთ ჩვენი ამოცანა და გავამართლოთ თქვენი ნდობა“. (ადს).

კაპიტალური მშენებლობის შესახებ

მოსკოვი, 7 იანვარი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ თავის დროზე გამოსცა მთელი რიგი დადგენილებები კაპიტალურ აღმშენებლობის მოსაწესრიგებელი ზომების შესახებ. კაპიტალური მშენებლობის პრაქტიკამ გამოამჟღავნა არსებულ კანონმდებლობაში ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. სახკომსაბჭოს მიერ ეხლახან დამტკიცებული ცვლილებები და დამატებები ძირითადად გამოიხატებიან შემდეგში: გამონაკლისის სახით დაშვებულია ახალ მშენებლობის გადაუდებელ სამუშაოთა და არსებულ საწარმოთა გაფართოება და რეკონსტრუქციის სამუშაოთა წლიურ გეგმებში შეტანა საკონტროლო ციფრებში, თუ საბოლოო პროექტი დამტკიცებული არაა. პროექტების შედგენისა და ტეხნიკურ გამონაგარიშებათა შესახებ პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება პროექტის შემდგენელ ორგანიზაციებსა და პირებს. პროექტის შედგენის სამუშაოთა ცალკე პირებისათვის გადაცემა აკრძალულია. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროექტის შედგენა სწარმოებს კონკურსის გამოცხადების სახით ანდა უშუალოდ ენდობა მათ გამომგონებლებს. მასალების დამზადება და ხელშეკრულებათა დადება სამუშაოთა წარმოებაზე და შეკვეთებზე, აგრეთვე ხარჯები მოსამზადებელ მუშაობაზე მტკიცდება მხოლოდ კაპიტალურ მშენებლობის წლიურ გეგმის საბოლოოდ მიღების დროს. შენობების აგების დაწყება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელთა გვაქვს ძირითადი სამუშაო ნახაზები. (ადს).

მზის პირველი ამოსვლა ფრანც იოსების მიწაზე

ფრანც იოსების მიწა, 7 იანვარი. ფრანც იოსების მიწის შვიდი მეზამთრეები დიდი სიხარულით შეეგება მზის პირველ ამოსვლას. მიღებულ იქნა მისალოცი რადიოგრამა ნანსენისაგან. საღამოობით ხერხდება კომინტერნის სახელობის მოსკოვის რადიო-სადგურის და ლენინგრადის რადიოცენტრის მოსმენა. (ადს).

აღმოჩენილია 26 კომუნარის ახალი მკვლელი

ბაქო, 7 იანვარი. აღმოჩენილ იქნა 26 კომისრის დახვრეტის ახალი მონაწილე. პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის მოსკოვის ინსტიტუტის პარტუჯრედის წმენდის დროს გამომჟღავნდა, რომ 26 კომისრის დახვრეტაში მონაწილეობა მიუღია ხსენებული ინსტიტუტის სტუდენტს, პარტიის წევრს **სტალნოვს** (იგივე სტეპნოი). ნამდვილი მისი გვარი **გენერალოვია**. გენერალოვის განცხადებით, მას, როგორც მემანქანის თანაშემწეს, შეუდგენია ის მატარებელი, რომლითაც კომისრები დასახვრეტად წაიყვანეს, და შემდეგ ეს მატარებელი სათადარიგო ლიანდაგზე გადაუყვანია. მანვე განაცხადა, რომ იცნობს იმ მემანქანეს, რომელსაც მატარებელი მიჰყავდა.

წმენდის დროს გამოირკვა, რომ გენერალოვი ერთი წელიწადი და რვა თვე თეთრ არმიაში მსახურობდა რადიო-ბატალიონის უმცროს ოფიცრად. ამისათვის 1921 წლის წმენდის დროს იგი დაითხოვეს პარტიის რიგებიდან, მაგრამ დღემდე პასუხისგებაში არ ყოფილა მიცემული.

აზერბეიჯანის ს.ს. რესპუბლიკის იუსტიციის სახ. კომისარმა ამხ. **გაჯიევმა** დეპეშით სთხოვა მოსკოვს—დააპატიმრონ გენერალოვი, ჩამოართვან წინასწარი ჩვენება და შემდეგ გამოგზავნონ ბაქოში. (ადს).

26 კომუნარის მესაფლავეებს ბაქოში გაასამართლებენ

ბაქო, 7 იანვარი. ლუხმანოვის საქმის გამოსაძიებლად აზერბ. ს.ს. რესპუბლიკის სახელმწიფო პროკურატურამ დანიშნა უმნიშვნელოვანეს საქმეთა უფროსი გამომძიებელი ამხ. **ხოხლოვი**, გამომძიებელს პირადად თვალყურს ადევნებს იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. **გაჯიევი**.

26-ის მკვლელობის მეორე მონაწილის ვლადიმირ გლადირევის საქმის განხილვა დანიშნულია აშხაბადში. ამის გამო საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს გაეგზავნა იუსტიციის სახალხო კომისრის ახალი შუამდგომლობა—გლადირევის და ლუხმანოვის საქმეების განხილვა გადმოტანილ იქნას ბაქოში.

იუსტიციის სახალხო კომისარიატს მოსდის ბაქოელი მუშების განცხადებანი, რომელნიც გამოსთქვამენ სურვილს მომავალ პროცესზე გამოვიდნენ ბრალდების მოწმეებად.

ერთ-ერთ საბაბს მესამე მონაწილის გენერალოვ-სტეპნოის პასუხისგებაში მისაცემად წარმოადგენს აზერბ. ს.ს. რესპუბლიკის იუსტიციის სახ. კომისრის და პლეხანოვის სახელობის ინსტიტუტის იმ 15 პარტიელ-მსმენელის განცხადებაც, რომელნიც ამჟამად პრაქტიკაზე იმყოფებიან ბაქოში. (ადს).

ლუხმანოვის და გლადირევის საქმე გადაიდო

აშხაბადი, 7 იანვარი. 26 კომისრის დახვრეტის მონაწილის გლადირევის საქმის განხილვა გადაიდო. პროკურორმა მოითხოვა ბაქოელი კომისრების მესაფლავის, ახჩას სადგურზე გამოაშკარავებული ლუხმანოვის საქმე.

განზრახულია გააერთიანონ გლადირევის, ლუხმანოვის და ესერ-ინგლისელთა ავანტიურის სხვა მონაწილეთა საქმე. (ადს).

კოლმეურნეობები ახალი ამოცანების წინაშე

500 მილიონი მანეთი კოლექტიურ მეურნეობას

მოსკოვი, 7 იანვარი. საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობას და მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, რათა მათ კოლექტიური მეურნეობების სექტორისათვის დანიშნული კრედიტის საერთო თანხა, გეგმით გათვალისწინებული 270 მილიონი მანეთის ნაცვლად, აიყვანონ 500 მილიონ მანეთამდე. ჩრდილოეთ კავკასიაში, ვოლგის ქვემო და შუა რაიონებში და ველის უკრაინაში ის კრედიტები, რომლებიც გეგმით დანიშნულია ინდივიდუალური და კოოპერატიული სექტორებისათვის, გადადებულ უნდა იქნან კოლექტიურ მეურნეობათა სექტორში. ამ მხრივ გამონაკლისს უნდა შეადგენდნენ ნაციონალური რაიონები. დანარჩენ მარცვლეულ რაიონებში კოლექტიურ მეურნეობებისათვის საერთო საკრედიტო ფონდიდან (საბჭოთა მეურნეობების გამოკლებით) უნდა გამოყოფილ იქნას არა ნაკლებ 60 პროცენტისა. მომხმარებელი ზონის რაიონებში კოლექტიურ მეურნეობათა კრედიტებისათვის უნდა გამოიყოს არა ნაკლებ 50 პროცენტისა (საბჭოთა მეურნეობების გამოკლებით). საკავშირო მიწსახკომის განკარგულებით, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებისათვის არსდება 10 პროცენტიანი რეზერვი სასოფლო-სამეურნეო კრედიტების საერთო გეგმაში. ამ რეზერვის შექმნა ისეთი ვარაუდით უნდა მოხდეს, რომ რეზერვის რეალური დაგროვება მეორე კვარტალში უდრიდეს 30 მილიონ მანეთს, მესამეში—25 მილიონ მანეთს და მეოთხეში—15 მილიონ მანეთს. (ადს).

კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრის დირექტივა

მოსკოვი, 7 იანვარი. საბჭოთა კავშირის კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრმა კოლექტიურ მეურნეობათა რესპუბლიკანურ ცენტრებს და კოლმეურნეობათა საოლქო კავშირებს მიმართა დეპეშით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობრივი სისტემის ყველა საფეხურებს ჯერ კიდევ არ გაუშლიათ საკმაო ტემპით მუშაობა გაზაფხულის თესვის კამპანიის მზადების საქმეში. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრი წინადადებას იძლევა—დაუყოვნებლივ დამთავრდეს ახალი კოლექტიური მეურნეობების მოწყობა და ყოველი კოლექტიური მეურნეობა გაეცნოს გაზაფხულის თესვის კამპანიის გეგმას. გაზაფხულის თესვის სამუშაო გეგმები დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს. მთელი კოლმეურნეობრივი სისტემის ყურადღების ცენტრში უნდა დაისვას განსაზოგადოებული სათესლე და საკვები ფონდების შექმნის საკითხი, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშა-საქონლის და ინვენტარის განიავებასთან ბრძოლას. (ადს).

წარმოების ორგანიზაცია კოლექტიურ მეურნეობებში მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს

მოსკოვი, 7 იანვარი. საკავშირო მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. იაკოვლევმა მოკავშირე რესპუბლიკების მიწსახკომებს და კოოპერატიულ — კოლმეურნეობრივ ორგანიზაციებს მიუთითა იმაზე, რომ საოლქო-მხარეთო ორგანოების და კოოპერატიული კოლმეურნეობრივი ორგანიზაციების მუშაობა კოლექტიურ მეურნეობებში წარმოების ორგანიზაციის ირგვლივ დღემდე მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ამავე დროს კი კოლმეურნეობრივი მოძრაობის სფეროში მუშაობის წარმატების შეფასება მიწსახკომს მხოლოდ იმის მიხედვით შეუძლია, თუ რამდენად შესძლებს ესა თუ ის რაიონი წარმოების საშუალებათა და შრომის კოლექტიური ორგანიზაციის საფუძველზე ნამდვილად გააფართოვოს ნათესის მოედანი, გაადიდოს მოსავლიანობა და მესაქონლეობის გამოსავალი.

მიწსახკომი წინადადებას იძლევა: შეიქმნას ზამთრის განმავლობაში განსაზოგადოებული სათესლე ფონდი ისეთი რაოდენობით, რომელიც შესაძლებელს გახდის ნათესის ფართობის გადიდებას, სხვადასხვა მარტივი საშუალებებით მოხდეს მიწების მიზომვა და კოლექტივების მიწების გაიჯვნა, ყოველ კოლექტიურ მეურნეობაში შედგენილ იქნას საკუთარი საწარმოო გეგმა, რომელიც უზრუნველჰყოფს არსებულ საწარმოო საშუალებათა და მუშა ხელის უფრო ნაყოფიერებით მოხმარებას, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნას აგრონომების მთელი არსებული ძალები; მთლიანად განხორციელდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება იმის შესახებ, რომ კონტრაქტაციას მიეცეს ორმხრივი ხელშეკრულების ხასიათი, რომლითაც კოლექტივები ვალდებულნი იქნებიან სახელმწიფოს და კოოპერაციას მიჰყიდონ განსაზოგადოებული წარმოების მთელი ნაწარმი საქონელი, ხოლო სათანადო ორგანოები მოვალენი იქნებიან მიაწოდონ კოლექტიურ მეურნეობებს საწარმოო საშუალებები და მოხმარების საგნები, და აღმოუჩინონ აგროტეხნიკური და საკრედიტო დახმარება; მჭიდროდ დაუკავშირდეს კოლექტიური საწარმოო გეგმები საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს; ყველა კოლმეურნეობებში უზრუნველყოფილ იქნას ცხენების ბაზები და ტრაქტორ -ცხენების შერეული ბაზები მთელი არსებული ცოცხალი და მკვდარი ინვენტარისა და საკვები რესურსების განსაზოგადოების გზით; გადაჭრით აღიკვეთოს კოლექტიური მეურნეობების მიერ ცხენების ხელიდან გაშვება და გაყიდვა; კულაკების მიერ გაყიდული ან კულაკებისათვის ჩამორთმეული ცხენების ხარჯზე გაძლიერებულ იქნას კოლექტიურ მეურნეობათა ცოცხალი ინვენტარი; მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები იმ მეურნეობათა წინააღმდეგ, რომლებიც კოლექტიურ მეურნეობაში შესვლის წინ თავიდან იშორებენ ცოცხალ და მკვდარ ინვენტარს; დაუყოვნებლივ გაიშალოს მუშაობა მარცვლის გაწმენდის უბრალო თესლის დახარისხებულ თესლზე გადაცვლის, თესლის გარკვევის და ინვენტარის შეკეთების ირგვლივ. (ადს)

მიწათმოწყობის სამუშაოები კოლექტივიზაციის რაიონებში

მოსკოვი, 7 იანვარი. საკავშირო მიწსახკომმა წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების მიწსახკომებს: შეწყვიტონ ინდივიდუალური მიწათმოწყობა, რომელიც უნდა გაგრძელდეს მხოლოდ ზოგიერთ ნაციონალურ რაიონში, სადაც კოლექტიური მშენებლობა ჯერ კიდევ არ არის ფართოდ განვითარებული. ორი კვირის განმავლობაში უნდა შემუშავდეს მიწათმოწყობის საოპერაციო გეგმები, ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას მიწათმომწყობი ძალებისა და სახსრების გადაჯგუფება იმ მიმართულებით, რომ უზრუნველყოფილ იქნას იმ რაიონების მიწათმოწყობა, სადაც ხდება მთლიანი კოლექტივიზაცია ან საგრძნობლად არის განვითარებული კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობა. თავის დროზე დამთავრდეს ძალებისა და სახსრების მიწოდება, რომ უზრუნველყოფილ იქნას კოლექტივების ჩამოყალიბება გაზაფხულის თესვისათვის. რთული მიწათმოწყობის პროცესი შეიცვალოს გამარტივებული წესით. მიწათმოწყობისათვის საჭირო ხარჯები არ უნდა გადასცდნენ გათვალისწინებულ ფარგლებს, ხოლო დანაკლისი უნდა შეივსოს იმ თანხებით, რომლებიც შეიკრიბება უკვე გამაგრებულ კოლექტიურ მეურნეობებში. (ადს).

მოითხოვენ ამხ. სტალინის დაჯილდოებას წითელი დროშის მეორე ორდენით

კიევი, 7 იანვარი. ლენინგრადის რაიონის მუშათა ფართო კონფერენციამ საკავშირო ცაკს მიმართა შუამდგომლობით, რათა ამხ. სტალინი დაჯილდოებულ იქნას წითელი დროშის ორდენით იმ უდიდესი დამსახურებისათვის, რომელიც მას სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მიუძღვის. (ადს)

ბესედოვსკის საქმე

მოსკოვი, 7 იანვარი. 8 იანვარს საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოში დაიწყება ბესედოვსკის საქმის გარჩევა. ბესედოვსკის ჰბრალდება ფულის გაფლანგვა საფრანგეთის საბჭოთა საელჩოს მრჩევლად ყოფნის დროს, აგრეთვე მუშათა კლასის მტრების მხარეზე გადასვლა (ადს).

ამხ. ჩიჩერინი დაბრუნდა მოსკოვში

მოსკოვი, 7 იანვარი. საზღვარგარეთ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მოსკოვში დაბრუნდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. **ჩიჩერინი**

მ ო ს კ ო ვ ი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჩერვონცების ფალსიფიკატორთა პროცესზე

ჩერვონცების ფალსიფიკატორთა პროცესის შესახებ ბერლინიდან მიღებულია შემდეგი ცნობები:

ყალბი ჩერვონცების მკეთებელთ იცავენ ბერლინისა და მიუნხენის ფაშისტი ვექილები. სასამართლოს ვეებერთელა დარბაზი სავსეა ხალხით და პრესის წარმომადგენლებით, რომელთა შორის სჭარბობენ გერმანელი და რუსი ემიგრანტი ჟურნალისტები. გამოწვეულია ორი თარჯიმანი, ორთავე თეთრგვარდიელი. ერთმა მათგანმა მხოლოდ რამოდენიმე ხნის წინად მიიღო გერმანიის ქვეშევრდომობა, მეორე კი არის ყოფილი რუსი ადვოკატი, ამჟამად ფაშისტური გაზეთის „დეიჩე ცაიტუნგ“-ის თანამშრომელი. სასამართლოს სხდომებს ესწრება **გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელმაც უარჰყო ქარუმიძის განცხადების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკი იყო გერმანიის და მენშევიკურ საქართველოს ურთიერთობაზე.**

ბრალდებულთა სკამზე, როგორც დაპატიმრებული, ზის მხოლოდ სადათიერაშვილი, დანარჩენები კი დიდი ხანია განთავისუფლებულნი არიან. სასამართლო სრულიად გულგრილად შეხვდა იმ ფაქტს, რომ პროცესზე არ გამოცხადდა ბრალდებული შნიდერი, იმ სტამბის პატრონი, სადაც იბეჭდებოდა ყალბი ჩერვონცები. სასამართლომ დაადგინა შნიდერის საქმე ცალკე იქნას განხილული.

დამცველებს წინდაწინვე დანაწილებული აქვთ როლები ბავარიელ ბრალდებულთა დამცველნი მოითხოვენ, რომ საქმე გარჩეულ იქნას ბავარიაში. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ბავარიაში ბრალდებულთადმი უფრო სასარგებლო განწყობილებაა. ქარუმიძის დამცველი კი—პირიქით, ეს უკანასკნელი ესალმება საქმის გარჩევას ბერლინში „საერთაშორისო ტრიბუნასთან“. ამით აშკარავდება დამცველთა ნამდვილი ზრახვები. მათ სურთ, ხაზგასმით იქნას აღნიშნული პროცესის პოლიტიკური მნიშვნელობა.

თუმცა დამცველებს შეუძლიათ დამშვიდებით იყვნენ. პოლიტიკურ განწყობილების მხრივ საქმე არც თუ ისე ცუდათ არის. გერმანიის კლასობრივ-ბურჟუაზიული სასამართლო ვერ ფარავს თავის სიმპატიებს საბჭოთა ხელისუფლების დაგმულ მტრების, პოლიტიკურ ავანტიურისტების მიმართ. ეს იქედანაც ჩანს, რომ სასამართლომ სრულიად ადვილად დააკმაყოფილა ბრალდებულ სადათიერაშვილის და ქარუმიძის თხოვნა მეორე თარჯიმანის დანიშვნის შესახებ. ეს თარჯიმანი, თეთრგვარდიელი ემიგრანტი იქვე დარბაზში აღმოჩნდა.

ქარუმიძე ყოველნაირად ცდილობს თავი დასახოს საქართ. „დამოუკიდებლობისათვის“ მებრძოლად. ამავე დროს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირკვევა, რომ ეს არის ბნელი, პირადი ანგარიშით გატაცებული ტიპი, რომელსაც ყალბი ჩერვონცები პირველყოვლისა ესაჭიროებოდა თავისი კეთილდღეობის მოსაწყობად. აუდიტორიას კონტრ-რევოლიუციონურ ნაწილშიც კი სიცილს იწვევს ქარუმიძის შემდეგი ბრიყვული განცხადება: „ნაპოლეონმა ყველაზე პირველად ისარგებლა ფულების ფალსიფიკაციით, რომ პოლიტიკური მიზნებისათვის მიეღწია“. ქარუმიძე ყოველნაირად ცდილობს ხოტბა შეასხას გერმანიას, რომელიც მისი სიტყვით, დღესაც კი სცნობს თურმე მენშევიკურ საქართველოს. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება სავსებით აბათილებს ქარუმიძის ამ უტიფარ ტყუილსაც.

დამახასიათებელია, რომ მთელ რიგ საყურადღებო შეკითხვებზე, რომელნიც შეეხება ქარუმიძის თანამონაწილეებს ყალბი ჩერვონცების დამზადების საქმეში, ქარუმიძე პასუხს არ იძლევა. ქარუმიძემ კარგად ესმის სასამართლოს სურვილი დაამციროს პროცესის მნიშვნელობა და საქმე გაარჩიოს იმდენად, რამდენადაც ბრალდებულთა მოქმედება ხდებოდა გერმანიის ტერიტორიაზე.

ქარუმიძე მოუთხრობს სასამართლოს, რომ გერმანიაში განზრახული იყო მხოლოდ საქმის ტეხნიკურად მოწყობა, ჩერვონცები კი უნდა დაბეჭდილიყო სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამასთანავე ქარუმიძე ცდილობს დაუსახოს თავი სასამართლოს, როგორც ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ლაპარაკობს არალეგალურ მიწერ-მოწერაზე რუსეთის ორგანიზაციებთან და მაღალ პოლიტიკურ საკითხებზე. მაგრამ ის მოულოდნელად ვარდება მეტად უხერხულ მდგომარეობაში, ირკვევა, რომ ქარუმიძის მეორე პროფესიას წარმოადგენს კომისიონერობა—კურდღლის ტყავებით ვაჭრობა ლეიპციგის ფირმებთან. ამრიგად პოლიტიკური შანტაჟისტის, ყოველ ბნელ კომბინაციებზე დახელოვნებულ ემიგრანტ ქარუმიძის ნამდვილი სურათი თვით ფაქტების ძალით უნებლიეთ იშლება სასამართლოს წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

სააღმშენებლო სეზონის მოსამზადებელი მუშაობა სუსტად მიმდინარეობს

მთელ რიგ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ აქვთ საჭირო პროექტები და ხარჯთაღრიცხვები

„ახალმშენს“ დღემდე არ შეუდგენია ახალ სამუშაოების საწარმოო-ფინანსიური გეგმა

საჭიროა დაუყოვნებლივი ზომები

მშენებლობის სეზონამდე ბევრი დრო აღარ დაგვრჩენია. საჭიროა ორი-სამი თვე, და მშენებლობაც გამალებული ტემპით უნდა დაიწყოს. ფართო განვითარების გზაზე მდგომი ჩვენი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და კულტურული ცხოვრება, პირველ ყოვლისა, მთელი თავისი სიმწვავით აყენებენ მშენებლობის მაქსიმალურად გაძლიერების საკითხს. ახალი ფაბრიკა-ქარხნების შენობები, ახალი საწყობები, ახალი საცხოვრებელი სახლები, აი რას მოითხოვს დღეს ჩვენი სინამდვილე.

რამდენად აკმაყოფილებენ საამშენებლო ორგანოები ამ მოთხოვნილებას? რამდენად მიჰყვება ფეხდაფეხ სამეურნეო ცხოვრებას მშენებლობა? სამწუხაროთ ამ კითხვაზე უმეტეს შემთხვევაში უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ მშენებლობა, ჩვენ ვაშენებთ მეტად ნელი ტემპით, რასაც საერთო განვითარების ეხლანდელი მდგომარეობა ვერ ითმენს, ვაშენებთ ძვირად და, რაც ამასთანავე განსაკუთრებით საგულისხმოა, ვაშენებთ რიცხობრივად ცოტას და ხარისხობრივადაც ცუდ ნაგებობებს.

უნდა გადაჭრით ითქვას, რომ რაციონალიზაციისა და მექანიზაციის მძლავრი, ზოგიერთ შემთხვევაში, „სასწაულ - მომქმედი“ ხელი ჯერ კიდევ არ შეხებია ჩვენს მშენებლობას. ძველი, უკვე მოწინავე ტეხნიკის მიერ უკუგდებული, მუშაობის ფორმები და მეთოდები, ძველი, ცხოვრებისაგან უარყოფილი ტეხნიკური ხერხები ჯერ კიდევ ბატონობენ ჩვენს სააღმშენებლო პრაქტიკაში. ცხოვრება კი არ ითმენს. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შეუჩერებელი ზრდა, კომუნალური კეთილმოწყობა ქალაქებში, ახალი ყოფა - ცხოვრების, ახალი კულტურული კერების შექმნა და მრავალი სხვა ამოცანები დაჟინებით გვიკარნახებს უდიდესი ყურადღება მივაქციოთ მშენებლობას, მივიღოთ გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ მშენებლობა დადგეს მტკიცე გეგმიან და ტეხნიკურად გაუმჯობესებულ საფუძველზე.

საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით უნდა დაისვას სწორედ ეხლა, ზამთრის თვეებში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ საამშენებლო სეზონის წარმატებით დასრულება თითქმის მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წინასწარი მოსამზადებელი ზომები იქნება გადადგმული ამ მიმართულებით ზამთრის თვეებში. ეს დრო უნდა იქნას გამოყენებული მთლიანად საამშენებლო მასალების დამზადებისათვის. ამჟამად, როცა ბაზარზე საამშენებლო მასალის დიდი ნაკლებობაა, თავისთავად ცხადია, ასეთ თადარიგს ორმაგად მეტი მნიშვნელობა ეკუთვნება. სამწუხაროდ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი საამშენებლო ორგანიზაციები ამ მხრივ ყოვლად გაუმართლებელ უმოქმედობას იჩენენ. მასალების დამზადება ან სულ არ სწარმოებს, ან თუ არის ასეთი მუშაობა დაწყებული, ის მეტად მოდუნებულია. მშენებლობის სეზონის მოახლოვებისას და თვით ამ სეზონის განმავლობაში კი იქმნება მეტად გამწვავებული მდგომარეობა. ცალკე საამშენებლო ორგანიზაციები ერთმანეთს ეჯიბრებიან მასალების შეძენაში. ხშირად აძლევენ მასალაში გადიდებულ ფასს და ვერც კი შოულობენ მასალას. აქედან ვღებულობთ მშენებლობის გაძვირებას. წარსულმა საამშენებლო სეზონმა ცხადჰყო, რომ განსაკუთრებით აფერხებდა საქმეს მშენებლობის ორი სახის ძირითადი მასალის — ხე-ტყისა და აგურის დეფექტიურობა. რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ მომავალ საამშენებლო სეზონში ეს უდიდესი დამაბრკოლებელი ნაკლი თავიდან ავიცილოთ? ამის შესახებ ხე - ტყის დამამზადებელი ორგანოები და აგურის მკეთებელი ქარხნები ხმას არ იღებენ. ამავე დროს საამშენებლო სეზონის ბედი პირდაპირ დაკავშირებულია ამ მასალების ხარისხთან.

არანაკლებ მწვავედ სდგას დეფიციტურ მასალის შეცვლის საკითხი მშენებლობაში. წარსული წლის საამშენებლო პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ ბევრ შემთხვევაში ეს სავსებით შესაძლებელია. მაგალითისათვის საკმარისია მივუთითოთ არტიკის ტუფის მადანზე, რომელსაც წარმატებით შეუძლია აგურის შეცვლა. არის აგრეთვე იმის შესაძლებლობაც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მშენებლობის რკინის ნაწილები შეცვლილ იქნას ხის ნაწილებით.

ყოველივე ეს თვითეულ საამშენებლო ერთეულში უნდა გათვალისწინებულ იქნას აქედანვე, რომ მშენებლობის სეზონის დაწყების დროს ადგილი არ დაურჩეს ზედმეტ ფუსფუსს.

ამასთან ერთად უდიდესი მშენებლობის გაიაფებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშენებლობის ცალკე ელემენტების ტიპიზაციისა და სტანდარტიზაციის გატარებას. უცხოეთის პრაქტიკიდან ვიცით, რომ მშენებლობამ ამ გზით განსაცვიფრებელ შედეგებს მიაღწია. დროისა და მატერიალურ საშუალებათა უდიდესი ეკონომია, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება, ასეთია ის პირდაპირი შედეგი, რომელსაც იძლევა სწორად ჩატარებული სტანდარტიზაცია ყველგან. ამ მომენტს ჩვენში მეტად მცირე ყურადღება ექცევა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საამშენებლო ორგანიზაციების უინიციატივობა ამ დარგში დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. ჩვენში არ არსებობს არც ერთი საამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც სტანდარტიზაციას იყენებდეს თავის საქმიანობაში, როგორც სისტემას. მხოლოდ მარგანეცის ტრესტს აქვს განზრახვა გამოიყენოს სტანდარტიზაციის პრინციპი მუშათა საბინაო მშენებლობაში. ეს წამოწყება ყოველნაირად უნდა იქნას წახალისებული. უნდა მიღებულ იქნას გადამწყვეტი ზომები სტანდარტიზაციისა და ტიპიზაციის მასიურად გატარებისათვის. ეს არის მთავარი გზა, რომელიც საშუალებას მისცემს ჩვენს მშენებლობას დააკმაყოფილოს ის არაჩვეულებრივად გაძლიერებული მოთხოვნილებანი, რომელთაც მას უყენებს ჩვენი განვითარების მიმდინარე პერიოდი.

ტიპიზაციისა და სტანდარტიზაციის შემოღება კი მთელი თავისი აუცილებლობით დააყენებს უცხოეთის ტეხნიკის გამოცდილებათა ფართოდ გამოყენების საკითხს. დღემდე ამ მიმართულებით პრაქტიკულად ძალიან ცოტაა გაკეთებული. დაუზოგავად უნდა ამოიფხვრას ის უნდობლობა, რომელსაც ზოგიერთი „სპეციალისტები“ იჩენენ უცხოეთის სპეციალისტებისადმი. გადაჭრით უნდა დავაღწიოთ თავი საკუთარი, ადგილობრივი ძალების ყოვლისშემძლეობის რწმენას. ისე, როგორც მთელს ჩვენს სამეურნეო საქმიანობაში, მშენებლობაშიც ფართო გზა უნდა მივცეთ უცხოეთის მოწინავე ტეხნიკას.

დასასრულ, მშენებლობისათვის კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მუშაობა მშენებელ მუშებს შორის. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ პროფესიონალური კავშირი ამ შემთხვევაში ხშირად ვერ სდგას მოწოდების სიმაღლეზე. მიუხედავად იმისა, რომ პარტიამ არა ერთი დადგენილება მიიღო სეზონის მუშათა შორის პროფესიონალურ მუშაობის გაცხოველების შესახებ, დღემდე ამ მიმართულებით არ მომხდარა საჭირო გარდატეხა. ამავე დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საამშენებლო დარგის მუშაკები, რომელთა შორის ძალიან ბევრია სოფლიდან დროებით გამოსულები — ნახევრად გლეხები, ხშირად მიტოვებულნი არიან თავიანთ თავის ანაბარად. ეს კი მუშათა ამ კატეგორიის შორის ჰქმნის პოხიერ ნიადაგს სხვადასხვა დრომოჭმულ, ანტიპროლეტარულ განწყობილებებისათვის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ფოდრაჩიკული“ მხეცური ექსპლოატაციის მავნე გავლენა ჯერ კიდევ ძლიერია მშენებელ მუშათა შორის, ასეთი მდგომარეობა, ეჭვი არ არის, საბოლოო ანგარიშით დიდ უარყოფით გავლენას ახდენს საამშენებლო სეზონის წარმატებით განვითარებაზე.

ყველა ეს საკითხები მთელი თავისი მნიშვნელობით უნდა დაისვას ეხლა, როცა საამშენებლო სეზონი ჯერ კიდევ არ დაწყებულა. პარტია და ხელისუფლება დაბეჯითებით აყენებს მშენებლობის გაიაფების, მისი ხარისხობრივად გაუმჯობესებისა და საამშენებლო ტემპის დაჩქარების საკითხს. უნდა გადაჭრით ითქვას, რომ საამშენებლო სეზონისათვის მზადების ეხლანდელი ტემპი არ იძლევა იმის იმედს, რომ პარტიისა და ხელისუფლების ეს დავალება შესრულებული იქნება. საჭიროა საფუძვლიანი გარდატეხა მოხდეს. დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული ზომები საამშენებლო სეზონის მზადების მაქსიმალურად გაცხოველებისათვის.

გ. დ—ი.

ვინ როგორ ემზადება

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია 1930 წლის სააღმშენებლო სეზონის მოსამზადებელი მუშაობა იმ ორგანიზაციებში, რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ სააღმშენებლო სამუშაოებს.

გამოკვლევა მიზნად ისახავდა შესწავლა თუ რამდენად უზრუნველყოფილია მშენებლობა ფინანსებით, სააღმშენებლო პროექტებით, მასალებით, ტრანსპორტით და სხვ. გამოკვლეულია მოსამზადებელი მუშაობა თბილისის აღმასკომში, „ახალმშენში“, მუშკოოპში და ბინათკავშირში. გამოკვლევის მასალების მიხედვით მოსამზადებელი მუშაობა აღნიშნულ ორგანიზაციებში შემდეგ სურათს იძლევა:

თბილისის აღმასკომი

ახალი წყალსადენი. 1929—30 წლის სამუშაოების ფარგლები ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დაწესებული, რადგან გამოურკვეველია რამდენი იქნება გადადებული. ახალი წყალსადენის სამუშაოთა სამმართველომ შეადგინა 1930 წლ. სამუშაოთა გეგმა 3.640.000 მანეთის ფარგლებში, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ფინანსები გადადებული იქნება — 2.640.000 მანეთის რაოდენობით და გეგმაც ამის მიხედვით იქნა გადაკეთებული. აღნიშნული თანხიდან 2.221.000 მ. მოდის სააღმშენებლო სამუშაოებზე, ხოლო 401.000 მანეთი მასალების და მოწყობილობის დამზადებაზე.

აღსანიშნავია, რომ ახალი წყალსადენის სამუშაოების 1928—29 წლის გეგმა, რომელიც პირველ ხანებში შედგენილი იყო 2.250.000 მანეთის რაოდენობით, მაგრამ შემდეგ ფინანსების შემცირების გამო გადაკეთებული და დაყვანილი იქნა 1.736.000 მანეთამდე, არ ყოფილა მთლიანად შესრულებული. გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია საიმპორტო მოწყობილობის მიღების დაგვიანებამ, ხელშეკრულებების გვიან დადებამ და მუშა ხელის ნაკლებობამ შუა სეზონში.

ხელშეკრულებები მომავალი სეზონისათვის უკვე დადებულია. სულ ხელშეკრულებები დადებულია 2.035.093 მანეთის სამუშაოებზე; შარშან თავის დროზე დადებული იყო ხელშეკრულებების მხოლოდ 9 პროცენტი.

ახალი წყალსადენის სამმართველო საჭირო პროექტებით უზრუნველყოფილია. შეკვეთები სააღმშენებლო მასალებზე თავის დროზე იქნა წარდგენილი ვაჭრობის კომისარიატში. ამას გარდა დადებულია ხელშეკრულება საქ. ს. ხელმწიფო ვაჭრობის სააქციო საზოგადოებასთან 54.000 კასრი ცემენტის მიწოდებაზე. ცემენტის მიღება უკვე დაწყებულა.

შავი მუშა-ხელით და მიწის მთხრელებით წყალსადენის სამუშაოები უზრუნველყოფილია. ინჟინერ-ტეხნიკოსთა ძალების და მთელი მუშა-ხელის ურთიერთ დამოკიდებულება გამოიხატება 1:30.

ახალი წყალსადენის სამუშაოების სამმართველოს აქვს 460.000 მან. მექანიკური მოწყობილობა, რაც სამუშაოების მთელი ღირებულების (10.000.000 მან.) 5 პროც. შეადგენს; ეს მოწყობილობა არ არის მთლიანად გამოყენებული. მიღებულია ზომები მუშაობის ტემპის დასაჩქარებლად და სამუშაოების გასაიაფებლად.

კომუნალური განყოფილება. განყოფილებას 1930 წლის სააღმშენებლო სეზონისათვის არავითარი ხელშეკრულებები არ დაუდვია, რაც შეეხება ფინანსების მიწოდებას, საბოლოო ციფრები აქაც არ არის გამორკვეული. 1928—29 სამეურნეო წელში ფინანსები გადადებული იყო 508.600 მან. რაოდენობით, ხელშეკრულებები კი დადებული იქნა — 1.092.600 მანეთის სამუშაოებზე, ე. ი. ორჯერ უფრო მეტ თანხაზე.

1929—30 წლის პირველ კვარტალში განყოფილებას ახალ მშენებლობის საწარმოებლად მიეცა 403.000 მანეთი. ფინანსების მიწოდების გეგმა არ არის შემუშავებული, ასეთი არ ყოფილა გასულ წელშიაც. არ არის აგრეთვე სამუშაოების დაწყების კალენდარული გეგმები.

1929—30 წლისათვის განყოფილებას არავითარი პროექტები არ აქვს შედგენილი და არც აქვს მიცემული დავალება „ახალმშენს“ შეიმუშაოს ასეთები. გამონაკლისს შეადგენს ტრამვაის ავლაბრის ქვესადგურის პროექტი, რომელიც 1928 წელში იქნა მიღებული აღმასკომის საგეგმო კომისიის მიერ. აღნიშნულ ქვესადგურისათვის ცემენტი უკვე დამზადებულია, დანარჩენ მასალების მომარაგების გეგმა არ არის შედგენილი, რადგან ყველა სამუშაოების შესრულება განზრახულია „ახალმშენის“ საშუალებით.

ჯანმრთელობის განყოფილება. 1930 წლისათვის არავითარი ხელშეკრულებები არ არის დადებული, რადგან გამოურკვეველია ფინანსების მიწოდების საკითხი. ბიუჯეტში შეტანილია დაწყებული სამუშაოების დასამთავრებლად 80.000 მანეთი, მაგრამ ბიუჯეტი ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული. ამას გარდა საკურორტო სექციისათვის მისი შემოსავლიდან გამოყოფილია 20.000 მანეთი სასტუმროს ასაგებად მანგლისში.

რაც შეეხება ტუბერკულიოზის დისპანსერის შენობის ასაგებ სამუშაოების გაგრძელებას, ამისათვის ჯანმრთელობის განყოფილების ბიუჯეტით არავითარი თანხები არ არის გათვალისწინებული, მაგრამ აღძრულია საკითხი მათი მოსკოვიდან მიღების შესახებ.

1929 წელში დაიწყო მუშაობა თერაპევტიული და უროლოგიური განყოფილებების ასაგებად. ახალი სააღმშენებლო პროექტები არ არის შედგენილი, რადგან გამოურკვეველია მშენებლობის ობიექტები. არსებული პროექტები დამტკიცებულია 1929 წელში. მანგლისის სასტუმროს აგება დაიწყო 29 წ. 1-ლ ოქტომბერს. ხარჯთაღრიცხვა ჯერ არ არის შემუშავებული. მუშაობა სწარმოებს სამეურნეო წესით.

შედგენილი არ არის გეგმები მასალების მოსამარაგებლად მომავალი სამუშაოებისათვის. შეკვეთები არ არის გაგზავნილი, არც ხელშეკრულებებია დადებული. 1929 წელში დაწყებულ სამუშაოებისათვის მასალების ნაწილი დამზადებულია.

განყოფილებას არავითარი ღონისძიებები არ შეუმუშავებია შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად და შრომის დისციპლინის ასაწევად თავის სააღმშენებლო სამუშაოებზე.

„ახალმშენი“

ტრესტი „ახალმშენი“ დაარსდა საზოგადოება „სამშენი“-ს ლიკვიდაციის შემდეგ. ტრესტი არსებობს თბილისის აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებასთან.

ტრესტი დაარსებისთანავე შეუდგა იმ სამუშაოების ფარგლების გამორკვევას, რომელთა შესრულებაც უნდა აკისროს „ახალმშენმა“. ასეთი სამუშაოების ღირებულება განზრახული იქნა 20.000.000 მანეთით. ამისდა მიხედვით ტრესტმა ოქტომბერში შეადგინა თავისი საორიენტაციო გეგმა 10.000.000 მანეთის რაოდენობით. დეკემბრის პირველ რიცხვებში თბილისის აღმასკომმა მხედველობაში მიიღო რა ფინანსიური შესაძლებლობანი, „ახალმშენის“ გეგმა მომავალ სეზონისათვის შეამცირა 6.600.000 მანეთამდე, მაგრამ ეს ციფრიც არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოო და დასაბუთებულ ციფრად, რამდენადაც იგი ჯერ კიდევ დამტკიცებული არ არის.

ამ თანხაში გარდა განზრახული სამუშაოებისა შედის გასული წლიდან გადმოსული ძირითადი სამუშაოები 3.000.000 მანეთის ღირებულებისა. ახალ სამუშაოებზე „ახალმშენმა“ მშენებელ ორგანიზაციებთან დასდო მხოლოდ 6 ხელშეკრულება 111.000 მანეთის რაოდენობით, რაც გასული წლიდან გადმოსულ სამუშაოებთან ერთად შეადგენს განზრახული სამუშაოების 50 პროც.

„ახალმშენის“ ასე სუსტად უზრუნველყოფა ხელშეკრულებებით დამოკიდებულია მშენებელ ორგანიზაციებზე, რომლებიც თავს იკავებენ ხელშეკრულებების დადებისაგან, რადგან არ აქვთ მზა პროექტები და გამოურკვეველია ფინანსების მიწოდების საკითხი (თბილისის აღმასკომის კომუნალურ და ჯანმრთელობის განყოფილებებს არ დაუდვიათ არც ერთი ხელშეკრულება). ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით კი ხელშეკრულებები მშენებელ ორგანიზაციებთან დადებული უნდა ყოფილიყო 25 დეკემბრამდე.

ტრესტ „ახალმშენის“ ფინანსიური მდგომარეობა ვერ არის მტკიცე („ახალმშენმა“ სამშენისაგან კაპიტალის მაგივრად მიიღო — 375.000 მანეთის ვალი), რაც აფერხებს მუშაობის გაშლას.

„ახალმშენთან“ არსებობს საპროექტო ბიურო 3 ინჟინრისა და 2 ტეხნიკოსის შემადგენლობით, მაგრამ ეს ბიურო არ არის საკმაოდ დატვირთული და ამჟამად აწარმოებს ოთხი მცირე სააღმშენებლო სამუშაოს პროექტების დამუშავებას. 1930 წლის ახალი სამუშაოების პროექტების დამუშავება ჯერ არ არის დაწყებული, რადგან მიღებული არ არის სათანადო დავალებები მშენებელ ორგანიზაციებიდან.

შეკვეთები 1929—30 წელში საჭირო სააღმშენებლო მასალებზე ვაჭრობის კომისარიატში „სამშენის“ მიერ წარდგენილი იყო ჯერ კიდევ ივლისში, მაგრამ სრულიად არადამაკმაყოფილებელი სახით. „ახალმშენის“ შეკვეთები წარდგენილი იქნა დიდის დაგვიანებით, ამასთანავე ეს შეკვეთაც არ ყოფილა სრული.

ამას გარდა დადებულია ხელშეკრულებები საქართველოს სატყეო ტრესტთან 200 ვაგონ სატყეო მასალების მიწოდებაზე, საქართველოს სახელ. ვაჭრობის სააქციო საზოგადოებასთან 180 ვაგონ ცემენტის მიწოდებაზე, ლითონის ტრესტთან სხვადასხვა მასალების დამზადებაზე და სხვ. ხელშეკრულებებით შეკვეთილი რაოდენობა ნაკლებია იმ რაოდენობაზე, რომელსაც ითვალისწინებს 6.600.000 მანეთის ფარგლებში შედგენილი გეგმა. ასე, მაგალითად, ხელშეკრულება დადებულია 200 ვაგონ ხე-ტყის მასალაზე, გეგმა ითვალისწინებს 900 ვაგონის დამზადებას, ხელშეკრულებებით შემოტანილი იქნება 180 კასრი ცემენტი, მაშინ, როდესაც გეგმა ითვალისწინებს 300 ბოჭკის შემოტანას. „ახალმშენის“ ასეთი ზომიერება აიხსნება როგორც დამტკიცებული გეგმის უქონლობით, ისე თანხების სიმცირით; ხელშეკრულებები დადებულია სააღმშენებლო მასალების ისეთ რაოდენობაზე, რომელიც შეეფერება გასული წლიდან გადმოსულ სამუშაოებს.

ახალი მასალების გამოყენებას დეფიციტიანი სააღმშენებლო მასალების შეცვლის და მშენებლობის გაიაფების მიზნით „ახალმშენის“ პრაქტიკაში ადგილი არ ჰქონია.

საზ-ბა „სამშენი“-საგან მიღებული ავტო-ტრანსპორტი ცუდ მდგომარეობაშია და მას ამჟამად არ იყენებენ. „ზაკავტოპრომტორგ“-ის ტრანსპორტით სარგებლობა მასალების გადაზიდვის დროს შეუძლებელია, რადგან „ზაკავტოპრომტორგი“ უარს ამბობს გადაზიდოს აგური, სილა და კირი; ამასთანავე მისი ტარიფი მეტად მაღალია.

სამუშაოების რეალური გეგმის უქონლობის გამო დასაბუთებული მოთხოვნილების წარდგენა მუშა-ხელზე შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, „ახალმშენმა“ მაინც წარადგინა შრომის კომისარიატში საორიენტაციო მოთხოვნილება მუშა-ხელზე 3180 კაცის რაოდენობით, აქედან 1320 შავი მუშაა.

რაც შეეხება სამუშაოების მექანიზაციას, ტრესტის მთელი მექანიკური მოწყობილობის ღირებულება უდრის 50.000 მანეთს, რაც ყველა სამუშაოების ღირებულების 1 პროც. ძლივს შეადგენს.

მუშაობის ტემპის დაჩქარების საკითხი უყურადღებოთაა მიტოვებული, მუშაობის ტემპის დასაჩქარებლად გატარებულ ღონისძიებებიდან აღსანიშნავია განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლა და ორ და სამ წყებიან მუშაობის შემოღება.

შრომის ნაყოფიერების აწევის, შრომის დისციპლინის განმტკიცების და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით „ახალმშენმა“ ამას წინად სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება დასდო საქართველოს სახელმწ. სამრეწველო მშენებლობის ორგანიზაციებთან. ამავე მიზნით ეწყობა საწარმოო თათბირები.

„ახალმშენს“ არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებია იმ მიზეზების გამოსარკვევად, რომლებმაც გამოიწვიეს მშენებლობის გაძვირება 1929 წელში. არც არის შემუშავებული რაიმე ღონისძიებები მშენებლობის გასაიაფებლად 1930 წელში.

მუშკოოპი

1929—30 წლის მშენებლობის საბოლოო პროგრამა მუშკოოპს არ აქვს. წინასწარი პროგრამა კი ითვალისწინებს მშენებლობას— 1.495.000 მანეთის ფარგლებში, გეგმა დასამტკიცებლად წარდგენილია მაღლა მდგომ ორგანიზაციებში, რის გამო ხელშეკრულებები ახალი მშენებლობის ობიექტების შესასრულებლად ჯერ არ არის დადებული, გარდა პურის ქარხნისა (№ 1), მეფრინველეობის ბაზისა და მეფრინველეობის სასაკლაოსი.

1.495.000 მანეთის სამუშაოებიდან ხელშეკრულებები დადებულია მხოლოდ 85.000 მანეთის სამუშაოებზე, ჩამოყალიბების პროცესშია ხელშეკრულება 27.620 მანეთის სამუშაოებზე. ამრიგად, მომავალი სააღმშენებლო სეზონისათვის მუშკოოპი ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილია მხოლოდ ნაწილობრივ, დაახლოებით 7 პროცენტით. მუშაობის შესრულების კალენდარული გეგმები მუშკოოპს არ აქვს.

სააღმშენებლო მასალების მარაგი მუშკოოპს არ მოეპოვება. შემუშავებულია საორიენტაციო შეკვეთა გასული წლის მოთხოვნილების თანახმად და წარდგენილია ვაჭრობის კომისარიატში. სააღმშენებლო სამუშაოებზე მუშკოოპი იყენებს უმთავრესად ადგილობრივ მასალებს.

შედგენილია საორიენტაციო შეკვეთა მუშა-ხელზე, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გადაგზავნილი შრომის კომისარიატში, შეკვეთა შედგენილია გასული წლის ცნობების თანახმად.

განუწყვეტელი საწარმოო კვირა შემოღებულია. აღმშენებლობა სწარმოებს მთელი წლის განმავლობაში. მუშაობის ტემპის დასაჩქარებლად განზრახულია პროექტების, ხარჯთ-აღრიცხვების და სამუშაო ნახაზების დაწვრილებით დამუშავება.

მუშკოოპს სისტემატიური მუშაობა არ უწარმოებია იმ მიზეზების შესასწავლად, რომლებმაც გამოიწვიეს მშენებლობის გაძვირება 1928—29 წელში. გასული წლის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ამის მთავარი მიზეზია სამუშაო ნახაზების ნაჩქარევად შედგენა და მთელი რიგი სამუშაოების გამოტოვება ხარჯთაღრიცხვებში.

ბინათკავშირი

გამოკვლევის დროისათვის ბინათკავშირს არ აღმოაჩნდა არც ერთი ხელშეკრულება. საკითხი მუშაობის წარმოების წესის შესახებ ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გამორკვეული.

1929—30 წელში საბინაო მშენებლობაზე განზრახულია დაიხარჯოს 755.000 მანეთი (1928—29 წელში დაიხარჯა 300.000 მან.); ამას გარდა შესრულებული იქნება 2.000.000 მანეთის სარემონტო სამუშაოები (28—29 წელში დაიხარჯა 400.000 მან.).

სამუშაოების კალენდარული გეგმები არ არის შედგენილი. არ მოიპოვება საფინანსო გეგმებიც, რადგან გამორკვეული არ არის რამდენი იქნება გადადებული.

1929—30 წელში ახალი მშენებლობის დარგში დასახულია 6 ობიექტი, აქედან მხოლოდ ორი ობიექტის პროექტია დამტკიცებული. დანარჩენების პროექტების შედგენა დაიწყო ოქტომბერში და უფრო გვიან. არც ერთ ობიექტისათვის არ არის შედგენილი სამუშაო თანხები. თანხები 1930—31 წლის ობიექტების პროექტების შესადგენად გადადებული არ არის.

შეკვეთა როგორც ადგილობრივ, ისე შემოტანილ სააღმშენებლო მასალებზე უკვე წარდგენილია ვაჭრობის კომისარიატში. ხელშეკრულებების დადება ადგილობრივ მასალებზე შეფერხებულია, რადგან მიღებული არ არის მასალების დასამზადებელ ავანსის 35 პროც. ახალ სააღმშენებლო მასალებს ბინათკავშირი არ იყენებს. 1929—30 წელში განზრახულია სახურავ რკინეულობის შეცვლა კრამიტით და დეფიციტიან მასალების ხმარების შემდგომი შეზღუდვა.

ბინათკავშირს ჰყავს კადრი მუდმივ მუშებისა, რომელშიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობენ, და აგრეთვე სასეზონო მუშები. 1929—30 წელში სამუშაოების გაფართოვების გამო განზრახულია დამატებითი მუშების მოწვევა. ვინაიდან სისწორით გამორკვეული არ არის მომავალი სამუშაოების ფარგლები, ძნელი სათქმელია, თუ რამდენი მუშა იქნება საჭირო (1928—29 წელში ყოველდღე მუშაობდა 700 მუშა). ტეხნიკურ მუშაკების და მუშების რიცხვის შეფარდება გამოიხატება 1:18.

ბინათკავშირს მექანიკური მოწყობილობა არ აქვს; სამუშაოების წვრიმალი ხასიათის გამო მექანიკური მოწყობილობის გამოყენება, ბინათკავშირის აზრით, არ იძლევა ეკონომიურ ეფექტს.

კონკრეტული ღონისძიებები მუშაობის ტემპის დასაჩქარებლად შემუშავებული არ არის. ბინათკავშირს არც იმის ანალიზი უწარმოებია სისტემატიურად, თუ რამ გამოიწვია მშენებლობის გაძვირება. გასული წლის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ მშენებლობის გაძვირებას იწვევს სააღმშენებლო მასალების გადაზიდვის გაძვირება, აგურის, ხე-ტყის მასალის, კირის და სხვა მასალების გასაცემ ფასის გადიდება, სააღმშენებლო მასალების საჭირო ასორტიმენტის უქონლობა და თანხების წვრილ-წვრილად გაცემა.

ამ.-კავკ. ორგანოთა აპარატის წმენდა

უზრუნველვყოთ წმენდა მასების აქტიური მონაწილეობით.— გავაჯანსაღოთ ტრანსპორტის და კოოპერატიული აპარატის მუშაობა. — დავაწინაუროთ ახალი კადრები საბჭოთა და კოოპერატიულ აპარატებში.

ამ დღეებში დაიწყება ა.-კ. რკ.-გზის სამმართველოს, ა.-კ. სატრანსპორტო კოოპერაციის, „ზაკსელსოიუზის“ და „ზაკსოიუზის“ შემოწმება და წმენდა. ამ მიზნით აღნიშნული დაწესებულებებთან უკვე გამოყოფილია შემმოწმებელი კომისიები, რომლებსაც დაევალა სასწრაფოდ შეუდგნენ მოსამზადებელ მუშაობას და პირველ რიგში შეადგინონ წმენდის ხელის შემწყობი კომისიები. ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს საბჭოთა აპარატის წმენდის, ამიერ- კავკასიის თავმჯდომარემ და ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისრის მოადგილემ ამხ. ვარძიელმა განაცხადა შემდეგი:

ა.-კ. ისეთი მსხვილი დაწესებულებების წმენდას, როგორიცაა— ა.-კ. რკ.-გზის სამმართველო, ა.-კ. სატრანსპორტო კოოპერაცია, „ზაკსელსოიუზი“ და „ზაკსოიუზი“, დღევანდელ პირობებში უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ა.-კ. რკ.-გზის სამმართველოს აპარატში მოიპოვებიან ჩვენთვის უცხო და მიუღებელი ელემენტები.

ა.-კ. ტრანსპორტის მუშაობაში მრავალ ნაკლოვანებებს (ზოგჯერ კი უმსგავსოების ფაქტებსაც) ჰქონდა და აქვს ადგილი, რაც მიეწერება აპარატში საქმის ბიუროკრატიულად დაყენებას. რკ.-გზაზე უბედურ შემთხვევათა რიცხვის ზრდა ნაწილობრივ აიხსნება ცენტრალური აპარატის და მის პერიფერიების სუსტ მუშაობით. გარდა ამისა მთელი რიგი სხვა ნაკლოვანებათა მიეწერება აპარატის მოუქნელობას, უინიციატივობას და გაბიუროკრატებულ, კლასობრივად უცხო ელემენტების მოკალათებას აპარატში, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში მავნებლობასაც კი არ მოერიდებიან.

ტრანსპორტს, და კერძოდ, ა.-კ. რკინის გზის წინაშე დღეს დასმულია მნიშვნელოვანი ამოცანა— სოციალისტური მშენებლობისათვის სამსახურის გაწევა, და ამით 5 წლიანი გეგმის შესრულების უზრუნველყოფა. ამიტომ ტრანსპორტის და კერძოდ ა.-კ. რკინის-გზების აპარატი გამარტივებული უნდა იქნეს და აღმოფხვრილი უნდა იქნეს ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ის ელემენტები, რომლებიც ახასიათებდნენ ამ აპარატის მუშაობას.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია კოოპერატიული აპარატის წმენდაც. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ მიუღებელი ელემენტების მოკალათებაზე საბჭოთა აპარატში, საერთოდ, ეს უპირველეს ყოვლისა ითქმის კოოპერატიულ აპარატზე, რომელშიც გაძრომა მოახერხა მრავალმა ყოფ. ვაჭარმა და რომლებიც აფერხებენ კოოპერაციის მუშაობას, შეგნებულად ამახინჯებენ კლასობრივ ხაზს, რაც იწვევს მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას. დროებით სიძნელეთა პერიოდში მუშათა მომარაგების საკითხს უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. კოოპერაციის წინაშე დასმულია ამოცანა — მუშათა ბიუჯეტის 100 პროცენტით უზრუნველყოფა, ამ საკითხების მოგვარება კი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად გარდაქმნის კოოპერაცია თავის მუშაობას გასაზოგადოებული სექტორის ზრდასთან დაკავშირებით, რამდენად სწორად შეარჩევს ის თავის მუშაკთა კადრებს.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მასების აქტიურად ჩაბმას წმენდაში. სინამდვილეში კი წმენდა ხშირად ტარდება მხოლოდ აპარატის პირადი შემადგენლობის ბიუროკრატიული შემოწმებით— სიებით, ანკეტებით და სხვ., ჩვენს ამოცანას შეადგენს არა მარტო პირადი შემადგენლობის გადათვალიერება, არამედ აპარატის საქმიანობის შემოწმება. ეხლავე უნდა შეუდგეთ მუშათა ბრიგადების შექმნას, რომელთა შორის წინასწარ უნდა ჩატარდეს სათანადო საინსტრუქციო მუშაობა. მათ დასახმარებლად გამოყოფილი უნდა იქნან სპეციალისტებიც. მრავალი დაწესებულების ადმინისტრაცია პასიურობას იჩენს წმენდის საკითხებში. ამ პასიურობას ზოგჯერ წინააღმდეგობის ნიშნებიც ახასიათებს. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

უნდა გადახალისდეს „მსუბუქი კავალერიის“ მუშაობა. „მსუბუქი კავალერია“ დღემდე ზერელედ უდგებოდა წმენდის საკითხებს და სათანადო სერიოზულობით არ ამუშავებდა თავის რაციონალიზატორულ ღონისძიებებს.

დასასრულ პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღება მიმართული უნდა იქნას დასაწინაურებელ მუშათა კადრების შერჩევისა და მომზადებისაკენ, რომ ამ უკანასკნელებმა შესცვალონ აპარატიდან „გაწმენდილი“ პირები. ეხლავე უნდა შევუდგეთ სათანადო კურსების მოწყობას და არსებულებში მუშაობის გაუმჯობესებას. კერძოდ საჭიროა კოოპერატიულ აპარატში დასაწინაურებელთა კურსების მეტი რაოდენობით მოწყობა.

კლასობრივი ხაზის დამახინჯება

პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე სდგას ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა, როგორიცაა სასოფლო მეურნეობის ძირითადი რეკონსტრუქცია და მისი ახალი, სოციალისტური ფორმების შექმნა. აქედან ბუნებრივია ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც ამჟამად მიპყრობილი აქვს სას.-სამ. საკრედიტო ქსელის მუშაობას. უმაღლეს ორგანოების დირექტივებით საკრედიტო აპარატის უმთავრეს ფუნქციებს შეადგენს სესხების თავის დროზე და მიზნობრივად დანაწილება, კლასიური ხაზის მტკიცედ დაცვა და კრედიტების მიმართვა კოლექტივებსა და ღარიბთა მეურნეობებისადმი.

როგორ ასრულებენ ამ ფრიად მნიშვნელოვან ოპერაციას ჩვენი სას.-სამეურნეო საკრედიტო ორგანოები?

ცნობილია, რომ საკრედიტო ქსელის მუშაობა დამყარებულია სწორ ანგარიშწარმოებაზე. ზუგდიდის ამხანაგობაში კი ანგარიშწარმოება კონტროლის გამოკვლევით გამოდგა უკიდურესად არეულ-დარეული და ბუხჰალტერიის შემადგენლობა სრულიად უვარგისი თავის კვალიფიკაციით. ბუხჰალტერიის [illegible] მუშაობის დასახასიათებლად საკმარისია აღინიშნოს ისეთი მაგალითები, როგორიცაა: თვითეულ მესესხეზე ორჯერ საპირადო ანგარიშის გახსნა, დაბრუნებულ სესხის სხვის პირად ანგარიშში გატარება, მთავარი წიგნის და დამხმარე დავთრების შეუთანხმებლობა და სხვა. სჩანს ამ გარემოებისათვის იმ თავიდანვე არ მიუქცევია ყურადღება არც გამგეობას, არც სარევიზიო კომისიას. არ სჩანს აგრეთვე კვალი „სოფლის კავშირის“ ამ დარგში მეთვალყურეობისა, არც საქ. სას.-სამ. ბანკს შეუწუხებია თავი ზუგდიდის ამხანაგობის ხელმძღვანელობაში: 1927 წლის 18 მაისიდან ბანკის ინსტრუქტორს ერთხელაც არ შეუხედავს ზუგდიდის ამხანაგობაში. ამ მეთვალყურეობის და უხელმძღვანელობის შედეგია ის უამრავი დამახინჯებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ზუგდიდის ამხანაგობის მუშაობაში; ასეთია: 1) არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენება სამეურნეო საკრედიტო თანხებიდან 24.885 მან., რომელიც გათქვეფილია სავაჭრო ოპერაციებში; 2) ისეთი იარაღ-მანქანების მომარაგება, რომელიც სრულიად არ შეეფერება ზუგდიდის პირობებს და ამრიგად უნაყოფოდ დაბანდებულია 3.002 მან., სასოფლო-სამეურნეო საქმეში კლასიური ხაზის გამრუდება და სესხების გაცემა შეძლებულებზე, კულაკებზე, ვაჭრებზე და მოსამსახურეებზე, რომელთა დავალიანება 1929 წ. პირველ ოქტომბრის უდრიდა 6.096 მან.; 4) სხვადასხვა სესხების ჩამოწერა 3.383 მან. რაოდენობით, მაშინ, როდესაც ამ თანხების განაღდება შესაძლებელი იყო თავის დროზე სათანადო ზომების მიღებით; აქ აღსანიშნავია, რომ დებიტორთა რიცხვში შედის ორი მოსამსახურე, რომელთაც ჩამოეწერა თითოს 1.000 მ.; ამგვარად ზუგდ. ამხ-ბის მიერ აშკარად დარღვეულია საკრედიტო წესი სესხების უსწოროთ გაცემით და შემდეგ მისი ჩამოწერით; 5) მესესხეთა ეკონომიური და სოციალური ნიშნების არასწორად აღრიცხვა, რასაც შედეგად მოჰყვა 5 ცრუ-კოლექტივის დაარსება, რომელთაც მხოლოდ სესხი აიღეს (5.666 მ.) და შემდეგ დაიშალნენ; ცრუ-კოლექტივი გამოდგა აგრეთვე ამხ. გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობა, რომლის დავალიანება უდრის 15.753 მან. და ამჟამად განიცდის დაშლის პროცესს, ვინაიდან 15 წევრის მაგიერ კოლექტივში დარჩა მხოლოდ 3 წევრი; 6) ზუგდიდის ამხანაგობა თავის მოქმედებაში არ ჩერდება ისეთი კომბინაციის გატარების წინაშე, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება არსებულ წესებს; მაგალითად, ამხანაგობას შეუყვანია კოლექტივში 6 ინდივიდუალური მეურნე და მათი დავალიანება გადაუწერია კოლმეურნეობაზე.

ასეთია ზუგდიდის ამხანაგობის „მიღწევები“, რაც შეეხება ქობულეთის საკრედიტო ამხანაგობის მოქმედებას, აქ ადგილი აქვს თითქმის ყველა იმ დეფექტებს, რომელიც ახასიათებს ზუგდიდის ამხანაგობის მუშაობას, მხოლოდ უფრო ვიწრო მასშტაბით, მაგალითად: ღარიბთა საკრედიტო ფონდიდან ამხანაგობას სესხი გაუცია მოსამსახურეებზე, სახლის მეპატრონეებზე და ერთ შემთხვევაში—მეკონტრაბანდეზედაც. ასე „მტკიცედ“ ატარებს ცხოვრებაში ქობულეთის ამხანაგობა კლასიურ ხაზს და უმაღლეს ორგანოების დირექტივებს.

გარდა ზემოთ მოყვანილ დეფექტებისა, სახელმწიფო კონტროლი აღნიშნავს მთელ რიგ ზოგადი ხასიათის დარღვევებს, რომლითაც ადგილი აქვს თითქმის ყველა რევიზიაქმნილ ამხანაგობებში. აქ ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ იმ დეფექტებზე, რომელიც განსაკუთრებით აფერხებს ჩვენს სამეურნეო აღმშენებლობას და რომლის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა პირველ რიგში უნდა იქნას დასახული, ასეთია: 1) საკრედიტო ამხანაგობების მიერ უგეგმოთ მუშაობის წარმოება. თუმცა ფორმალურად ასეთი არსებობს, მაგრამ წარმოებული მუშაობა მას უმეტესად არ ეფარდება, რაც უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ თვით საქ. სას.-სამ. ბანკი თავის დროზედ არ აწოდებს ამხანაგობებს განხილულ და დამტკიცებულ საკრედიტო გეგმას და ამის გამო ადგილებზე არ იციან, რა ფარგლებში უნდა იმუშაონ; 2) საკრედიტო ამხანაგობები აწარმოებენ გაცემული სესხების შემოწმებას, მიუხედავად არსებულ სათანადო დირექტივებისა. თუ რამდენად საჭიროა გაცემულ სესხების გამოყენების კონტროლი, ამას ჩვენ გვიჩვენებს სახფინკონტროლის მიერ გამოაშკარავებული შემდეგი დამახასიათებელი მაგალითები: 1) სოფ. ქვიშხეთის მცხოვრები ღებულობს ხაშურის ამხანაგობიდან მუშა-საქონლის შესაძენ სესხს და შვილის საქორწილოთ იყენებს; 2) მეორე წევრი იმავე ამხანაგობისა ღებულობს ხატორით ერთ უღელ ხარს 150 მან., შემდეგ ჰყიდის უფრო მაღალ ფასში და თანხას სხვა საოჯახო საჭიროებაზე ხარჯავს; 3) ოსიაურის კოლმეურნეობა მებოსტნეობისათვის სესხად მიღებულ 500 მან. იყენებს მუშა-საქონლის შესაძენად. არის შემთხვევები, როდესაც მუშა საქონლის შესაძენად მიღებული სესხი გამოყენებულია სახლის შესაკეთებლად. ასეთი მაგალითები სახფინკონტროლის გამოკვლევაში ბევრია, ხოლო ზემო მოყვანილი შემთხვევებიც საკმაოდ ადასტურებს, რომ გაცემული სესხების შემოწმება-კონტროლი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ჩვენი სას.-სამ. საკრედიტო ორგანოები კი ამ მხრივ საკმაო მუშაობას არ აწარმოებენ, თუმცა ამისათვის მას სრული შესაძლებლობა მოეპოვება. მაგ. ამხანაგობას შეუძლია ამ საქმეში ჩააბას თავისი რწმუნებულები და საბჭოს წევრები.

შემდეგი დეფექტი, რომელიც თითქმის საერთო მოვლენას წარმოადგენს რევიზიაქმნილ ამხანაგობების მუშაობაში, ეს არის გლეხურ აქტივის არა-საკმაოდ მიზიდვა საკრედიტო ამხანაგობების საქმიანობაში. რომ ეს საკითხი ჯერ-ჯერობით არ არის მოგვარებული, ეს შემდეგი მაგალითებით დადასტურდება: 1) ხაშურის ამხანაგობასთან გასული წლის მაისში დაარსებული ღარიბთა ჯგუფი წლის ბოლომდე არც ერთხელ არ ყოფილა მოწვეული, ასე რომ მისი არსებობა ამხანაგობასთან სრულიად ფიქტიური გამოდის; 2) გორის ამხანაგობასთან ღარიბთა ჯგუფი არსებობს, ხოლო მის მონაწილეობას ამხანაგობის მუშაობაში ეპიზოდიური ხასიათი აქვს და არის შემთხვევები, როდესაც ღარიბთა ფონდის განაწილებაში ჯგუფი არავითარ მონაწილეობას არ იღებს; მაგ., 1.400 მან. განაწილებულია გამგეობის მიერ ღარიბთა ჯგუფის მონაწილეობის გარეშე. ზუგდიდის ამხანაგობასთან ღარიბთა ჯგუფი სრულიად არ არის ჩამოყალიბებული. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს ახალქალაქის ამხანაგობა, რომელიც სესხებს ანაწილებს ღარიბთა ჯგუფის მონაწილეობით.

ასეთია, დაახლოვებით, მდგომარეობა ადგილებზე. რაც შეეხება საქ. სას.-სამ. ბანკის და „სოფლის“ კავშირის მუშაობას, აქ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ: 1) რესპუბლიკანური ბანკი საკრედიტო ქსელს თანხებს ნაწილობრივად აწვდის დაგვიანებით და არა იმ ვადებში, რომელიც დაკავშირებულია გაზაფხულის და შემოდგომის თესვის კამპანიასთან; მაგალითები: გორის საკრედიტო ამხანაგობას 3.350 მან. აგვისტოს მაგიერ მიღებული აქვს 30 სექტემბერს; ხაშურის ამხანაგობას მებოსტნეობისათვის 500 მან. გადაეგზავნა შემოდგომაზე; ასეთ მაგალითებს სახ. ფინკონტროლის გამორკვევით თითქმის ყველა რევიზიაქმნილ ამხანაგობებში ჰქონდა ადგილი, 2) საქ. სამ. ბანკი თავის დროზე არ აწვდის ადგილებს განხილულ და დამტკიცებულ საკრედიტო გეგმას და ამით ის ძალაუნებურად ხელს უწყობს საკრედიტო ქსელის უსისტემოთ მუშაობას,

რაც შეეხება „სოფლის კავშირს“, სახელმწიფო კონტროლის გამოკვლევა ადასტურებს, რომ ხშირად საკრედიტო ქსელში იარაღ-მანქანები და სხვადასხვა მასალები იგზავნება დაგვიანებით და ადგილობრივ პირობებთან შეუფარდებლად; მაგალითად, გორის ამხანაგობას გადაეგზავნა გოგირდი და შაბიამანი ივლისში, მაშინ, როდესაც ის შეკვეთილი იყო მარტისათვის; ხაშურის ამხანაგობას სკა და ხელოვნური ფიჭა გადაეგზავნა ივნისში, როდესაც აღნიშნული საგნებს ხაშურის რაიონი აღარ საჭიროებდა. მსგავსი მაგალითები ბევრია, მაგრამ ჩვენის აზრით „სოფლის კავშირის“ მუშაობის დასახასიათებლად საკმაო მოყვანილი მაგალითებიც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გადაგზავნილი მასალა თავისი ხასიათით ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას; მაგალითად, გასულ წელში ცენტრიდან გადაგზავნილი სათესლე ქერი გამოდგა უვარგისი და ამით გლეხობას საგრძნობი ზარალი მიაყენა.

ასეთია მოკლეთ უმთავრესი დეფექტები ცენტრალურ სამეურნეო საკრედიტო ორგანოების მუშაობაში; ჩვენის აზრით, მდგომარეობა—დამაფიქრებელია, იმ დროს, როდესაც ჩვენი ხელისუფლების ყურადღების ცენტრში [illegible] კითხვად სდგას თესვის კამპანიის ორგანიზაცია და დღევანდელი სოფლის დაქსაქსული მეურნეობის კოლექტივიზაციის გზაზე გადაყვანა,—სასოფლო საკრედიტო ორგანიზაციების სწორ-საქმიანობას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრათ.

ხდება კი ეს სინამდვილეში?—ზემოთქმული პირდაპირ იძლევა პასუხს ამ კითხვაზე, და ეს პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციები ხშირათ საკმაოთ ვერ გრძნობს თუ რა საპასუხისმგებლო საქმეა დღეს საკრედიტო ორგანოების მუშაობის სწორ გზაზე დაყენება. ხშირად ადგილობრივი პარტიულ ორგანიზაციებს საქმე ასე წარმოუდგენია:—ეს აქტი სათანადო ორგანოს ევალება და მე შემიძლია მეთვალყურის როლით დავკმაყოფილდე.

ხელმძღვანელი ორგანიზაციები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენ ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმის საფუძვლიანათ შესწავლას. ყველა დაინტერესებული ელემენტების აქტივობის გაძლიერებას; მასიური კონტროლის მოწყობას ამ საქმეში და იქ; სადაც იდეური ზეგავლენა საკმარისი არ იქნება—საპროკურორო ძალების ამოძრავებასაც კი. მხოლოდ ასეთი მიდგომით მოიხდის ამ დარგში თავის ვალს ადგილობრივი ორგანიზაციები და ხელმძღვანელი მუშაკები.

ზებედე ტრაპაიძე.

გამფლანგველი და ბიუროკრატი

(წერილი გურჯაანიდან

დიდი ხანია რკინის გზის მე-14 უბნის უფროსად (სად. გურჯაანში) მსახურობს მოქ. ვახო ციტაიშვილი.

მის წარსულზე არ ვილაპარაკებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს მისი ეხლანდელი კომბინატორული საქმიანობიდან და მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ციტაიშვილისთანა ტიპებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ჩვენს აპარატში.

პირველი ფაქტი. ციტაიშვილმა გაფლანგა 450 მანეთი. პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, ციტაიშვილი მახეს უგებს ფულების დამრიგებელ მოლარეს პატიოსან მუშას გიორგი სულთანიშვილს. თავისი თანამოსამსახურე გაჩეჩილაძის დახმარებით მის მიერ გაფლანგულ ფულის გადახდას აკისრებს სულთანიშვილს.

ეს კიდევ არაფერი. ციტაიშვილი ცდილობს სულ დაღუპოს წვრილ ცოლ-შვილიანი მუშა. მისი დასკვნის თანახმად პასუხისგებაში აძლევენ სულთანიშვილს, როგორც გამფლანგველს.

ინიშნება საქმე სასამართლოში, გურჯაანის სასამართლომ ადვილად გაუსინჯა კბილი ციტაიშვილს, გამოარკვია სინამდვილე და უდანაშაულო სულთანიშვილი გაამართლა.

დანაკლისი 450 მანეთი გაფლანგულად ჩაითვალა თვითონ უბნის უფროსს ციტაიშვილს, მაგრამ აქ ციტაიშვილმა გამოიყენა თავისი „ავტორიტეტი“, აამოქმედა „ნათლიმამები“ და საქმე შინაურულად [illegible].

იმის მაგიერ, რომ გამფლანგველი გამასწორებელ სახლში გაეგზავნათ, ციტაიშვილს ხელიც არ ახლეს. „დაფარის დანაკლისი“,—ასე ლმობიერი იყო განაჩენის შინაარსი „ნათლიმამების“ მუშაობის წყალობით.

ციტაიშვილი დარჩა ისევ უბნის უფროსად. მან გულში ჩაიდო მტრობა თავის მოლარის სულთანიშვილის მიმართ, რომელმაც უფროსის მიერ ჩაყლაპულ ფულისათვის ციხეში ჩაჯდომა არ ისურვა.

დაიწყო მუშაობა სულთანიშვილის მოსახსნელად და კიდევ მიაღწია მიზანს. რამდენიმე თვის შემდეგ სულ გააუქმებინა მოლარის თანამდებობა და მალე წვრილ ცოლშვილიანი სულთანიშვილი ქუჩაში გამოისტუმრა.

გარდა იმისა, რომ ციტაიშვილი გამფლანგველია, ის არის უხეში მუშებისადმი, არის პირწავარდნილი ბიუროკრატი.

იმედი გვაქვს, რომ გამწმენდი კომისია ციტაიშვილს ბარგს აუკრავს ჩვენი აპარატიდან.

ბურჯანელი.

ყოფილი ხალხი საბჭოთა აპარატში

(ჭიათურა)

ჭიათურაში მარგანეცის წარმოების გაფართოებამ სურვილი აღძრა ყველა ჯურის ანტისაბჭოთა ელემენტებს თავშესაფარი მოეძებნათ ამ რაიონის სხვადასხვა დაწესებულებებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყოფილი [illegible], გამფლანგველების და აგვისტოს ავანტიურისტების დაწინაურება. მიუხედავად იმისა, რომ წარმოებაში მოიპოვებიან კვალიფიციური, საწარმოო სტაჟის მქონე მუშები, რომლებსაც შეეძლოთ საქმის გაკეთება, მაინც არ ხდება მათი დაწინაურება. მუშების მაგიერ აწინაურებენ ანტისაბჭოთა ელემენტებს, რომლებსაც არა ერთხელ და ორხელ მიუყენებიათ ზიანი საბჭოთა ხელისუფლებისა და მშრომელი ხალხისათვის.

დიმიტრი აბაშიძე ყოფილი მენშევიკია და აგვისტოს ავანტიურის ხელმძღვანელი ჭიათურის რაიონში; საჩხერის კოოპერატივის თავმჯდომარეობის დროს, კოოპერატივი კერძო ვაჭრების სათარეშოთ გადააქცია და გაანადგურა. დიმიტრი აბაშიძემ პარტიაში გაძრომაც კი მოახერხა. მაგრამ გამწმენდი კომისიამ გამორიცხა ის ორგანიზაციიდან, აგრეთვე პარტ-გამწმენდი კომისიამ საჭიროდ სცნო აბაშიძის სამსახურიდან მოხსნა. მაგრამ დიმიტრი აბაშიძე, რომელიც პარტწმენდამდე ტრესტის მთავარ კანტორაში მეცხრილის თანამდებობას ასრულებდა, დღეს საქ. სახელმწიფო ვაჭრობის ბუხჰალტერად დაწინაურდა.

ბუქია კურტანიძე, რომელმაც საჩხერის კოოპერატივში რამოდენიმე ათასი მანეთი გაფლანგა, რისთვისაც 1928 წელში გასამართლებულიც იყო და აკრძალული ჰქონდა ორი წლით სამსახური, დღეს ყოფილ სიმონოვის კანტორაში მეცხრილის თანამდებობაზე მუშაობს.

ყოფილ სვანიშვილის მაღაროებში მეცხრილეთ მსახურობს სტაჟიანი მღვდელი ყიფშიძე, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე გლეხკაცობის ყვლეფას მოანდომა.

ყოფილ სიმონოვის მაღაროებში მეცხრილის თანამდებობაზე მსახურობს ყოფილი მღვდელი ბ. დევიძე.

აკაკი გაფრინდაშვილი აგვისტოს ავანტიურის აქტიური მონაწილე, მუშის ქურქში გახვეული, წითელ დირექტორად მოევლინა პერევისის სამთო რაიონს. აკაკი გაფრინდაშვილი პარტ-გამწმენდმა კომისიამ პარტიიდან გამორიცხა, როგორც გადაგვარებული და უცხო ელემენტი.

„თაიგულთა“ ასეთი კონებით, გააკეთებს თუ არა რამეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის? ვფიქრობთ რომ არა.

აბუზარა.

წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის შემოწმება

უღირსი მასწავლებელი

პოლიტგანათლების მთავარმმართველობა შეუდგა ადგილებზე წ.-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის შემოწმებას.

შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მასწავლებლები არა თუ ეხმარებიან სათანადო ორგანიზაციებს წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლაში, არამედ ყოველმხრივ აფერხებენ მუშაობას ამ მიმართულებით.

მაგალითად, ბაღდათის რაიონში, სოფ. ობჩის ლიკსკოლაში ასწავლიდნენ მასწავლებლები არჩილ ბურჯანაძე, ილია ნიშნიანიძე და მატასო გურგენიძე, რომლებიც იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ სკოლაში მუშაობა, უკმეხათ ეპყრობოდნენ მსმენელებს და გულგრილად ეკიდებოდნენ საქმეს. ამ უღირსი მასწავლებლების წყალობით სკოლა მალე დაცარიელდა და დაიკეტა. ასე „განითავისუფლეს“ თავი საზოგადო მოვალეობისაგან ამ „მასწავლებლებმა“.

ასევე გულგრილად ეპყრობა წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლას ჭოგნარის, რიონის, პატრიკეთის და ფარცხნალყანევის მასწავლებლობა.

„ერთბაშად პროფესორები არ გახდეთ“

დიდ გულგრილობას იჩენენ წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის საქმეში აგრეთვე ზოგიერთი პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციები, მაგალითად ქუთაისის მუშკოოპის გამგეობა, ჩხარის სამომხმარებლო კოოპერაცია და სხვ.

ბაღდათის რაიონულ აღმასკომის თავმჯდომარემ ნება არ დართო სათანადო ორგანიზაციებს გაეხსნათ ლიკსკოლები და ასე განუცხადა მათ: „ჯერ ფული წარმოადგინეთ, თორემ სკოლების ხარჯს მერე მე მაზღევინებთო“.

სისუსტეს იჩენენ ამ მუშაობაში ჭიათურის სამთამადნო კავშირი, პარტკომი და ტყიბულის სამთამადნო მუშაკთა კავშირის განყოფილება. ერთ-ერთ პასუხისმგებელმა პროფმუშაკმა წ.-კ. უცოდინარობასთან მებრძოლ ორგანიზაციას კლუბი არ დაუთმო, და ასე განაცხადა: „ნუ ხლაფორთობთ ერთი, თქვენ გგონიათ, რომ წერ-კითხვის სწავლებით მუშებს ერთბაშათ პროფესორებათ გახდითო“.

ასე ესმით ზოგიერთებს წ.-კ. უცოდინარობასთან „ბრძოლა“.

ძ. ბ.

წესდების მსხვერპლი

31 დეკემბერს კალოუბნის ქუჩაზე უცნობი მოხუცი მუშას გაყინულ ქვაფენილზე ფეხი აუცურდა და მოწყვეტით დაეცა მიწაზე. დაცემულმა ვეღარ შესძლო ადგომა. მან ხელებით ანიშნა გამვლელებს მიშველეთო. მიცვივდა ხალხი. გაჩნდა მილიციელიც.

მილიციელმა სასწრაფოდ მიაშურა მახლობელ ამბულატორიას, რომელიც მდებარეობს დიდი-ვანქის ქუჩაზე.

— კაცი კვდება, აქვეა და იქნებ უშველოთ, ეუბნება მილიციელი ამბულატორიის გამგეს, რომელსაც მილიციელის თხოვნისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია. თვითეული წუთი ძვირფასი იყო. დაცემულ მოხუცს შველა ესაჭიროებოდა. ექიმი კი არსად სჩანდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოხუცი გარდაიცვალა.

ამ შემთხვევის ზოგიერთი მოწმე დაინტერესა ამბულატორიის ბიუროკრატების ასეთმა საქციელმა. მათ მოისურვეს ექიმის მოუსვლელობის მიზეზის გაგება.

— თქვენ, უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ წესდებაში არ გვიწერია ქუჩაში წაქცეულებს აღმოუჩინოთ დახმარებაო. მე ამბულატორიიდან ვერ მოვხსნი ექიმს და ვერ გავგზავნი სადღაც სხვა საქმეზეო, განაცხადა ოლიმპიელის სიდინჯით ამბულატორიის გამგე გერსამიამ, როდესაც მას შეეკითხნენ ექიმის გამოუგზავნელობის მიზეზზე.

კაცი კი ამბულატორიიდან სულ რაღაც ათიოდე საჟენის დაშორებით მოკვდა. ამბულატორიის გამგეს ბოლოს მოულბა გული და გაგზავნა ექიმი, რომელმაც შეამოწმა, რომ ქუჩაში წაქცეული, მოხუცი მკვდარი იყო. ადვილად შესაძლებელია, მოხუცი სიკვდილს გადარჩებოდა, რომ მისთვის დროზე აღმოეჩინათ საექიმო დახმარება, მაგრამ ამბულატორიის ყოვლის შემძლე წესდებამ ეს შეუძლებელი გახადა.

დ. ლ—ძე.

გამოძახილი წერილებზე

უმართებულო ბრალდება

გაზ. „კომუნისტი“-ს 17 ნოემბრის ნომერში (№ 265) მოთავსებული წერილის „წახალისებული გაფლანგველები“-ს საპასუხოდ პარტიის სამაზრო კომიტეტი გაცნობებთ შემდეგს:

ლადო ბაღათურია წერილის გამოქვეყნებამდე რამოდენიმე თვით ადრე მოხსნილი იყო სამსახურიდან და საქმე გადაცემული აქვს პროკურატურას, (ბაღათურია ამჟამად დაპატიმრებულია) ლაპარაკი მის წახალისებაზე არ არის მართალი.

ლადო ადამიას—1928 წელს სენაკის სამომხმარებლო კოოპერატივის ერთ-ერთი მაღაზიის გამგედ ყოფნის დროს დააკლდა 400 მანეთი, რის გამო ის მოხსნილი იქნა სამსახურიდან და საქმე გადაეცა სათანადო ორგანოებს. პარტ-სამეულის კვლევა-ძიებით ადამიას წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები არ დადასტურდა.

ფილუ კოლუა მოხსნილია სამსახურიდან, გამორიცხულია პარტიის რიგებიდან და მიცემულია პასუხისგებაში, საქმეს აწარმოებს სახ. სასამართლო, ლაპარაკი მის წახალისებაზე უსაფუძვლოა.

ათანასე ჯავახია—მოხსნილია სამსახურიდან, გამორიცხულია პარტიიდან, მისი საქმე გადაეცა სასამართლოს. მის წახალისებაზე ლაპარაკი შეუძლებელია.

ლევან ჯავახია—მოხსნილია სამსახურიდან, გამორიცხულია პარტიიდან, ბრალდებების დადასტურების შემდეგ სასამართლოს მიერ მისჯილი აქვს შესაფერი სასჯელი, მისი სხვა სამუშაოზე გამოყენება ან და გადაყვანაზე ლაპარაკი სიმართლეს არ შეეფერება.

ანდრო ბუალავას—სასტუმრო ინტერნაციონალის (ქ. სენაკში) გამგედ ყოფნის დროს, ფული დააკლდა, პარტ-სამეულმა და საქ. ფინსახკომის კონტროლიორმა გამოიკვლია სასტუმროს ანგარიშ-წარმოება და აღმოჩნდა, რომ ბუალავას ანგარიშ-წარმოებაში დაუშვია შეცდომა, დანაკლისი ბუალავას გასწორებული აქვს. პარტსამეულის და გამწმენდ კომისიის მიერ მისჯილი აქვს სათანადო პარტიული სასჯელი.

სენაკის მაზრაში 1928 წლის ბოლო რიცხვებიდან დღემდე გაფლანგვები არამც თუ გაიზარდა, არამედ ის საგრძნობლად შემცირდა.

საქ. კ. პ. (ბ) სენაკის სამაზრო პარტიული კომიტეტი.

12 იანვარს, საღ. 6 საათზე, სახალხო მეურნეობის მუშათა კლუბში
(რუსთაველის პრ. № 21)
ამიერ-კავკასიის და საქ. მუშგლეხინი იწვევენ
სპეციალისტთა აქტივის ფართო თათბირს
თათბირზე მიწვეული არიან სპეციალისტები—ინჟინერები, ტეხნიკოსები, აგრონომები, მეტყევეები, ეკონომისტები, ექიმები და აგრეთვე საინჟინერო-ტეხნიკურ ძალების სექციისა და ბიუროს წარმომადგენლები,
თათბირის დღის წესრიგი:
1. ამხ. ა. ნაზარეთიანის მოხსენება: სპეციალისტების მონაწილეობა მუშგლეხინის მუშაობაში
2) ამხ. ივანოვ-კავკაზსკის მოხსენება: ამიერ-კავკასიისა და საქართ. მუშგლეხინის მუშაობის გეგმა 1929—30 წლისათვის.
3) ორგანიზაციული საკითხები.
ნ. 49 3—1

დაიწყო მუშათა ბრიგადების შედგენა

გორის ოლქის აგრონომებმა გადასწყვიტეს თესვის პერიოდში იმუშაონ განუწყვეტლივ, დასასვენებელ დღეებშიაც

ახლო ხანში საზღვარგარეთიდან ბათომში მიღებული იქნება 250 ახალი ტრაქტორი

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმი სოფლად გზავნის მავნებლებთან მებრძოლ რაზმებს

მუშათა ბრიგადების შედგენა

6 იანვარს მუშაობას შეუდგა საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმთან არსებული სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს პოლიტიკურად და იდეოლოგიურად ყველაზე უფრო მტკიცე და გამობრძმედილი ამხანაგების გადარჩევა იმ მოხალისე მუშებისაგან, რომლებმაც სოფლად წასვლის სურვილი განაცხადეს.

თბილისის წარმოებებს სულ უნდა გამოეყოთ 200 მუშა, ნამდვილად კი მოხალისეთ ჩაეწერა 610 მუშა. კომისიამ მიიღო ეს მხედველობაში და სოფლად გასაგზავნ მუშების რიცხვი გადიდებული იქნება.

6 და 7 იანვრის სხდომებზე კომისიამ განიხილა კავშირების მიერ წამოყენებული კანდიდატურები და მათ რიცხვიდან აირჩია 57 კაცი; მათ შორის მშენებლებიდან — 19, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებიდან—10, ქიმიკოსებიდან—2, სახალხო კვების მუშაკებიდან—5, მკერავებიდან — 6 და ტრანსპორტელებიდან—15 მუშა. ბრიგადის წევრების გადარჩევა დანარჩენ კავშირებში დამთავრდება 10 იანვრამდე.

მუშათა ბრიგადების გარდა გაზაფხულის თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად სოფლად იგზავნება სამხატვრო ძალების, მასწავლებლების, საექიმო პერსონალის და თბილისის საბჭოს წევრების ბრიგადები. მუშაობა აღნიშნული ბრიგადების შესადგენათ უკვე დაწყებულია. სოფლად გამგზავრებამდე ყველა ეს ბრიგადები გაივლიან სპეციალურად მათთვის გახსნილ მოკლევადიან კურსებს.

ახალი საბჭოთა მეურნეობები

თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიის ცნობით, გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით საქართველოში მოეწყობა შემდეგი ახალი საბჭოთა მეურნეობები:

შირაქში — მარცვლეულის და მეცხვარეობის, **ქუთაისში** და **ოსეთში** — მესაქონლეობის; **სენაკში** — მეღორეობის, **ზუგდიდში** — ჩაის, **ბორჩალო - ყარაიაში** — ბამბის, **სენაკ-ზუგდიდში** — კანაფის **სენაკში** — რამის, **გორში** — შაქრის ჭარხლის, **გორში** — მეხილეობის, **წითელ - წყაროში**—მეძროხეობის, **ბაშკიჩეთში** — მესაქონლეობის, **ქუთაისში** — მებოსტნეობის, **ზუგდიდში** — სიმინდის, **ახალ-ქალაქში**—სათესლე.

აგრეთვე სხვადასხვა კულტურების საბჭოთა მეურნეობები მოეწყობა ქალადიდში, ოზურგეთში, სენაკში, ზუგდიდში, აფხაზეთში და სხ.

საბჭო „ვერ ამჩნევს“ კულაკებს

(სოფ. ფაშიანი, გორის რაიონი)

ამ ცოტა ხნის წინად № ჯავშნიანი მატარებლის წითელარმიელები და გალიტის ფაბრიკის მუშათა სამი წარმომადგენელი ვეწვიეთ სამეგო სოფელ ფაშიანს გორის რაიონში.

სოფელში სულ 27 კომლი გლეხი ირიცხება. სოფელი შედის წითელი ქალაქის საბჭოში.

სოფლის დათვალიერების შემდეგ ვეწვიეთ სოფლის საბჭოს და მოვინდომეთ ზოგიერთი ცნობების მიღება.

ჩვენს შეკითხვაზე საბჭოს მდივანმა განაცხადა, რომ სოფელში კულაკები არ მოიპოვებიან, გლეხების გამოკითხვამ კი წინააღმდეგი დაამტკიცა.

არის აქ წისქვილის მეპატრონე კულაკი, რომელმაც წისქვილი უყურადღებოდ მიაგდო იმ მიზნით, რომ გადასახადი აეცილებინა თავიდან, მაგრამ, როდესაც ღარიბმა გლეხებმა წისქვილი აღადგინეს და აამუშავეს, მაშინ კულაკი ისევ გამოჩნდა და სოფლის საბჭოს ლოცვა-კურთხევით შემოსული მინდის ფასს ჯიბეში იხრიალებს. საბჭოს ეს ნორმალურ მოვლენად მიაჩნია, რადგან „წისქვილი კერძო არისო“.

არის აქ აგრეთვე მღვდლის ნაცოლარი, რომელიც განთავისუფლებულია გადასახადისაგან მაშინ, როდესაც იგი მევახშეობას ეწევა და უზომო პროცენტს ახდევინებს გლეხებს გასესხებულ ფულში. ჩვენ მიერ დაკითხულ 14 გლეხს მისი მართებთ 1000 მანეთზე მეტი.

სოფელში მიწის ნორმა აქვთ ისეთ პირებს, რომლებიც რევოლუციის წინად არიან სოფლიდან წასული. როდესაც ყოველივე ეს საბჭოს ვუთხარით, ძალიან გაიკვირვეს და ახალ ამბად მიიჩნიეს, მიუხედავად იმისა, რომ სოფელი ცხვირწინ აკრავს საბჭოს (ნახევარი კილომეტრის მანძილზე).

წითელი ქალაქის საბჭო კოლექტივიზაციას თვითონვე უთხრის ძირს ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყოს მას. ამას წინად 13 მეურნეობამ საბჭოში შეიტანა განცხადება იმის შესახებ, რომ მათ სურთ კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანება და ითხოვენ დახმარებას. საბჭო არა თუ არ დაეხმარა გლეხებს, არამედ მათი განცხადებაც კი დაჰკარგა სადღაც.

ადგილობრივი ხელისუფლების, განსაკუთრებით კი სოფლის საბჭოს მდივნის, გულგრილობის მიუხედავად ჩვენ სამი დღის დაუღალავი მუშაობით შევსძელით ჩაგვეტარებინა მუშაობა კოლექტივიზაციის და გაზაფხულის თესვის კამპანიის მნიშვნელობის გასაშუქებლად, მოვაწყვეთ კოლექტიური მეურნეობა, რომელშიც გაერთიანდა 9 კომლი და მთელი რიგი დეფექტების შესახებ ვაცნობეთ საბჭოს და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს.

შეფები.

მთლიან კოლექტივიზაციაზე

გურჯაანი, 7 იანვარი (საკ. კორ.) კახეთის ღარიბი და საშუალო გლეხობა მასიურად მიილტვის კოლმეურნეობებისაკენ. 31 დეკემბრიდან დღემდე კოლექტივიზაციაზე გადავიდა ნაფარეულის მშრომელ მოსახლეობის 45 პრ., სანიორეს ღარიბ და საშუალო გლეხობის 100 პროც. და ლაფანყურის მშრომელ მოსახლეობის 99 პროც.; სულ აღნიშნულ სოფლებში კოლექტივებში გაერთიანებულია 290 კომლი. გლეხობა აღტაცებით ხვდება კოლექტივების დაარსებას. კახეთის საოლქო აღმასკომში ყოველ დღე შემოდის 100-200 განცხადება კოლმეურნეობაზე გადასვლის შესახებ.

სოფელი ასანური მთლიანად გადავიდა კომუნაზე 200 მცხოვრებით.

ნიკოლაიშვილი.

გურჯაანი, 7 იანვარი (საკ. კორ.). 1-ლ იანვარს მოწვეულ იქნა სოფ. მაშნაარის (კახეთის ოლქი) გლეხობის საერთო კრება. კრების დღის წესრიგში იდგა საკითხი სოფლის მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის შესახებ.

საქობის სათემო გლეხკომმა მოიტანა გლეხკომის კუთვნილი ტრაქტორი და გადასცა გლეხობას კოლექტივისათვის. ამ ფაქტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მშრომელ გლეხობაზე. ერთხმად იქნა გამოტანილი დადგენილება, რომ სოფელი მაშნაარი გადაყვანილი იქნას მთლიან კოლექტივიზაციაზე. ხსენებული დადგენილებით კოლექტივში გაერთიანდება 200 კომლი. ამავე მიზნით კრებამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სოფელი ასანური და ნუკრიანი.

მ. ჯოხაძე.

მისაბაძი მაგალითი

გორის ოლქში მომუშავე აგრონომებმა გადასწყვიტეს გამოაცხადონ თვითმობილიზაცია და თესვის პერიოდში იმუშაონ განუწყვეტლივ, დასასვენებელ დღეებშიაც.

რადგან საცხენო ინვენტარის სავსებით შეცვლა სამანქანო ინვენტარით არ შეიძლება განხორციელდეს მოკლე ვადაში და მოითხოვს მთელ რიგ წლებს, ამიტომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ს საჭიროდ მიაჩნია სასტიკი წინააღმდეგობა გაეწიოს იმ ტენდენციას, რომელიც არასაკმაოდ აფასებს საცხენო ინვენტარის მნიშვნელობას კოლმეურნეობრივი მოძრაობის ახლანდელ საფეხურზე, — ტენდენციას, რომელიც იწვევს ცხენების მასიურად გაყიდვას. საქ. კომპარტიის (ბ) ც. კ. საჭიროდ სთვლის, გარდამავალი ღონისძიების სახით, შერეული ტიპის საცხენო - სამანქანო ბაზების და სატრაქტორო - საცხენო ბაზების შექმნას კოლექტიურ მეურნეობებში. (საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებიდან).

ტრაქტორები

დღემდე ტრაქტორებს ღებულობდა „ზაკსელმში“, შემდეგ გადაეცემოდა „სოფლის კავშირს“, რომელიც თავის მხრით ტრაქტორებს ანაწილებდა რაიონებს შორის. ეს გარემოება იწვევდა ზედმეტ ხარჯების გადიდებას და ტრაქტორების მიღების დაგვიანებას ადგილებზე.

ამ არანორმალურ მდგომარეობის გამოსასწორებლად ტრაქტორები მათზე წარმოდგენილ მოთხოვნილებათა მიხედვით წინასწარ განაწილებული იქნა საკრედიტო ამხანაგობებს შორის.

საკრედიტო ამხანაგობების სიები ტრაქტორების რაოდენობის და მისამართების აღნიშვნით გადაეგზავნა ტრაქტორების დამამზადებელ ქარხნებს, საიდანაც საკრედიტო ამხანაგობები ტრაქტორებს მიიღებენ უშუალოდ. ასეთივე წესით იწარმოებს საზღვარ- გარეთიდან გამოწერილ ტრაქტორების განაწილება.

ამ მიზნით ბათომის ნავთსადგურშივე მოხდება მიღებულ ტრაქტორების განაწილება.

ამ დღეებში უცხოეთიდან მიღებული იქნება ტრაქტორების პირველი პარტია.

სულ უცხოეთიდან გამოწერილია 250 ტრაქტორი.

ბრძოლა მავნებლებთან

საქ. ავიაქიმმა ფართოდ გაშალა მუშაობა გაზაფხულის თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად. მთელ რიგ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, გორი) ეწყობა კურსები ინსტრუქტორების მოსამზადებლად სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის კურსების საშუალებით მომზადებული იქნება 120 ინსტრუქტორი. ამას გარდა ჩამოყალიბებული იქნება 70 სასოფლო-სამეურნეო წრე. აქედან თბილისის ოლქში ჩამოყალიბდება 10 წრე, აჭარისტანში—5, აფხაზეთში—10, სამხრეთ-ოსეთში—3, ქუთაისის ოლქში—12, გორის ოლქში—12, კახეთის ოლქში—8, ზუგდიდის მაზრაში—8, ახალ სენაკში—6, ოზურგეთში—7, ახალციხეში—5, ახალქალაქში—2, ფოთში—1 და სვანეთში—1 წრე. ხსენებული წრეების საშუალებით მშრომელი მოსახლეობა გაეცნობა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საშუალებებს, მიწის რაციონალურად დამუშავებას, მანქანა-იარაღების ხმარებას და სხვ. მიღებულია ზომები სასოფლო-სამეურნეო წრეების უზრუნველსაყოფად ხელსაწყოებით და მანქანებით.

ავიაქიმის სოფლის ორგანიზაციების მიერ თესვის დაწყებამდე გასუფთავებული იქნება 3 ათასი ფუთი დასათესი ხორბალი და სიმინდი.

ვინაიდან საქართველოს ბევრ ადგილას მოსავლიანობას დიდად ვნებენ სხვადასხვა სახის მავნებლები, შექმნილი იქნება მავნებლებთან მებრძოლი რაზმები, რომლებიც ადგილობრივ ჩაატარებენ საჭირო პრაქტიკულ მუშაობას. რაზმები შექმნილი იქნება შემდეგ ადგილებში: თბილისის ოლქში—6 რაზმი, აჭარისტანში—6, აფხაზეთში—5, სამხრეთ-ოსეთში—1, ქუთაისის ოლქში—3, გორის ოლქში—5, კახეთის ოლქში—3, ზუგდიდის მაზრაში—2, სენაკის მაზრაში—3 და სხვ.

საქართველოს ყველა მაზრებში და ოლქებში ავიაქიმის ორგანიზაციების ძალებით მოწყობილი იქნება საცდელ-საჩვენებელი მინდვრები, სადაც იწარმოებს პრაქტიკული მუშაობა სოფლის მეურნეობის დარგში.

ავიაქიმის ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ მეთოდიი გამოფენების მოწყობას, რომლების საშუალებით გლეხობა გაეცნობა სხვადასხვა ჯიშის სათესლე მასალას, მანქანა-იარაღებს, ხელოვნურ სასუქებს და სხვ.

აჭარისტანი ემზადება თესვისათვის

(ტელეფონით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ბათომი, 7 იანვარი. აჭარისტანის სოფლებში თესვის კამპანიის ჩასატარებლად აჭარისტანის პროფსაბჭომ გამოჰყო 10 ბრიგადა ექვს-ექვსი კაცის შემადგენლობით. გარდა ამისა, ამავე მიზნით პარტიის საოლქო კომიტეტი და კომკავშირის ორგანიზაცია გამოჰყოფს 30 კაცს.

ამ დღეებში ბათომში მოელიან საქ. პროფსაბჭოს მიერ აჭარისტანში თესვის კამპანიის ჩასატარებლად გამოყოფილ 40 კაცს.

ბათომი, 7 იანვარი. გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად აჭარისტანის სახკომსაბჭოსთან გამოყოფილია რესპუბლიკანური კომისია. მიმდინარე წელს აჭარისტანში დაითესება 19.202 ჰექტარი მიწა, გასულ წელს დაითესა 15.023 ჰექტარი. თესვის კამპანიის ჩასატარებლად წელს გადადებული იქნება 1.516.500 მანეთი, აქედან გრძელვადიანი კრედიტი 348.500 მან. და მოკლევადიანი — 1.168.000 მან.

ვ. ჟ.

მუშები აწყობენ თუთის ხეების პლანტაციას

(ოზურგეთი)

ოზურგეთის აბრეშუმის ძაფსახვევ საგრეხ ქარხნების მუშათა გაერთიანებული კრების დადგენილებით, მუშების მიერ კოლექტიური შრომით ოზურგეთში ეწყობა თუთის ხეების პლანტაცია. ყოველგვარი შავი მუშაობა, როგორიცაა თუთის ხეების დასარგავი ორმოების ამოთხრა და სხვ., შესრულებული იქნება უფასოთ თვით ქარხნის მუშების მიერ, ხოლო, რაც შეეხება მატერიალურ დახმარებას (შემოღობვა და სხვა), ამისათვის საჭირო თანხები, დაპირების თანახმად, გაღებული იქნება აბრეშუმის ტრესტის მიერ (სესხის სახით).

ქარხნის მახლობლად სამიწათმოქმედო განყ. უკვე შემოფარგლა 30 ქცევა თუთისათვის გამოსადეგი მიწა. მიწის მზომელის მიერ დაწყებულია მიწის აგეგმვა.

ნერგების ნაწილის დარგვა მოესწრება ერთ თვეში, ნაწილი კი დარგული იქნება გაზაფხულზე.

ამასთან დაკავშირებით ქარხნის მუშებმა დაადგინეს შეჯიბრებაში გამოიწვიონ ოზურგეთის თხილის სარჩევ-სახმობი და ქუთაისის ძაფსაღები ქარხნის მუშები.

მურ. ჯიბუტი.

მევენახეობის კოლექტივი

(გორის ოლქი)

ატენის ხეობა ცნობილია თავისი ვენახებით. გლეხობა ამ ხეობაში უმთავრესად მევენახეობას მისდევს და მისი ფართობი წლიდან წლამდის თვალსაჩინოდ იზრდება. ცნობილია, რომ ატენის ყურძენი მაღალი ხარისხისაა. საქმიარტო კომისიას განზრახული აქვს მომავალ წელში ატენის ყურძენი გაიტანოს საზღვარ-გარეთ.

გორის საოლქო აღმასკომის მიწათმოქმედების განყოფილებამ ატენში გახსნა მოკლევადიანი კურსები მევენახეობაში აგრომინიმუმის გატარების მიზნით და საერთოდ ყურძნის და ღვინის რაციონალურათ დამზადების საკითხების შესასწავლად. კურსებს მოისმინა 62 მსმენელმა. მეცადინეობის პროცესში წამოიჭრა საკითხი მევენახეობის კოლექტიურათ მოწყობის შესახებ. 62 კომლმა განაცხადა კოლექტიურად შეკავშირების სურვილი და ამჟამად შეუდგენ საორგანიზაციო მუშაობას პირველ რიგში მოეწყობა სანამყენო სანერგე 3 ჰექტარზე.

გლეხობა მოითხოვს აგრონომიული დახმარების გაწევას და ხელმძღვანელობის გაძლიერებას კოლექტიურ მეურნეობაზე.

ქ. მ.

უნდა მოხდეს იუსტიციის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაცია

ჯერ კიდევ 1925-26 წელს აღიძრა იუსტიციის სახალხო კომისარიატების რეორგანიზაციის საკითხი. ეს პროექტი სამოსამართლო მმართველობის და რევოლუციონურ კანონიერების ზედამხედველობის რეორგანიზაციისა, რომელიც საერთოდ სავსებით სწორ გზას იძლეოდა იმ მხრივ, რომ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სისტემაში სპობდა ორი ხელმძღვანელი ცენტრის—იუსტიციის სახალხო კომისარიატებისა და უზენაესი სასამართლოების არსებობას, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა. სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდში უდიდესი და ძნელი სამეურნეო-ეკონომიური და კულტურული ამოცანების შესრულება მოითხოვს მართვა-გამგეობისა და მეურნეობის მთელი სისტემის ძირითად გარდაქმნას, ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების მაქსიმალურად შემცირებას და სახელმწიფო, სამეურნეო აპარატის რაციონალიზაციას და სხვ. ამიტომ ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო აპარატის შემოწმება და შემდგომი რაციონალიზაცია წარმოადგენს სადღეისო ამოცანას, რომელიც დაუყოვნებლივ პრაქტიკულად უნდა გადაიჭრას. ამ თვალსაზრისით ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკების (და ავტონომიური რესპუბლიკების) სისტემის ხელმძღვანელობის რეორგანიზაცია მახლობელ ხანში უნდა განხორციელდეს, მეტადრე იმიტომ, რომ ეს რეორგანიზაცია აუმჯობესებს ძირითადი სამოსამართლო ორგანოების მიმართ ხელმძღვანელობის ხარისხს, ამავე დროს ხელს უწყობს ძირითადი სამოსამართლო ქსელის მმართველობისა და მისთვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმის რაციონალიზაციას და იძლევა განსაზღვრულ ეკონომიას აპარატის შესანახ სახსრების ხარჯვაში.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის და უზენაეს სასამართლოს, როგორც სამოსამართლო სისტემის ხელმძღვანელი ორგანოების, ძირითადი ამოცანაა ხელმძღვანელობა სახალხო სასამართლოების მიმართ და მათი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება. უზენაესი სასამართლო ამ ამოცანას ანხორციელებს სამოსამართლო ზედამხედველობით, საქმეების საკასაციო განხილვით აგრეთვე სამოქალაქო და სისხლის სამართლის უფლების ცალკე ნორმების ახსნა-განმარტებით.

იუსტიციის სახალხო კომისარიატები კი თავიანთ ხელმძღვანელობას სამოსამართლო და საგამომძიებლო ორგანოების მიმართ ანხორციელებენ ადმინისტრატიული, ორგანიზაციული მმართველობის ხაზით, სასამართლოს მუშაკების სათანადო კადრის შერჩევის, მათთვის ინსტრუქციების მიწოდების, სასამართლო აპარატის ორგანიზაციის და სხვ. საშუალებით.

სწორედ ამიტომ იბადება კითხვა: საჭიროა თუ არა შემდეგშიაც დატოვებულ იქნას აშკარა პარალელიზმი სახალხო სასამართლოს მთელი სისტემის ხელმძღვანელობის საქმეში? მიზანშეწონილია თუ არა ხელმძღვანელობის ამ ორი სისტემის ერთი-ერთმანეთისადმი დაპირისპირება, თუ ისინი როგორც ურთიერთ შემვსები სისტემები. უნდა შეერთდნენ ერთ ორგანოში, სახელდობრ უზენაეს სასამართლოში? აშკარაა, რომ ამა თუ იმ ორგანიზაციული და ადმინისტრატიული ღონისძიების გატარება (სამოსამართლო რაიონები, მუშაკთა შერჩევა და გადაყვან-გადმოყვანა, აღრიცხვის, ანგარიშებისა და სამოსამართლო საქმის წარმოების მოგვარება, მასალების, ლიტერატურის მიწოდება, მუშაკთა გადამზადება და სხ.) მჭიდროდ დაკავშირებული უნდა იყოს იმ სამოსამართლო მუშაობის არსებასა და ხარისხთან, რომელსაც უზენაეს სასამართლოს საკასაციო და ზედამხედველობითი პრაქტიკა განსაზღვრავს. სახალხო კომისარიატების ახლანდელ სისტემაში ხდება სამოსამართლო ორგანოების მიმართ არსებითად განუყოფელი ხელმძღვანელობის გაორება, აქედან გამომდინარეობს პარალელიზმი მუშაობაში და ამ ნიადაგზე სწარმოებს დავა იუსტიციის სახალხო კომისარიატსა და უზენაეს სასამართლოს შორის—თვითეული მათგანი ცდილობს დაიცვას თავისი პრიორიტეტი ხელმძღვანელობის ამა თუ იმ დარგებში. დროა კარდინალურად და ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას ეს საკითხი. ამისათვის ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოებს თავიანთ წმინდა სამოსამართლო, საზედამხედველო და საკასაციო ფუნქციებთან ერთად უნდა დაეკისროს აგრეთვე სამოსამართლო პოლიტიკის საერთო ხაზის გატარება და ყველა მოქმედი სამოსამართლო დაწესებულებებისა, გამომძიების ორგანოებისა, ნოტარიატისა და სასამართლოს აღმასრულებლებისათვის და საერთო ხელმძღვანელობის გაწევა, მათი ორგანიზაცია, ინსტრუქციების მიწოდება და ადმინისტრატიული მართვა, აგრეთვე დამცველთა კოლეგიების მუშაობაზე ზედამხედველობა. ავტონომიურ რესპუბლიკებში იგივე ფუნქციები უნდა დაეკისროს ამ რესპუბლიკების მთავარ (უმაღლეს) სასამართლოებს, ბუნებრივია, რომ ამასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოების აპარატს უნდა შეუერთდეს იუსტიციის სახალხო კომისარიატის მთელი რიგი დამხმარე განყოფილებები (საერთო და სამეურნეო განყოფილებები, საფინანსო აპარატები), სრულიად გაუქმებულ უნდა იქნას ის საფეხურები, რომლებიც ზედმეტი გახდებიან გაერთიანების შემდეგ, და სათანადოდ შემცირდეს ზედმეტი საშტატო ერთეულები გაერთიანებულ აპარატში.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის სისტემაში დიდი ადგილი უჭირავს საკანონმდებლო განყოფილებებს. ეს განყოფილებები, ნაწილობრივ თავიანთი ინიციატივით, ხოლო უმთავრესად ცენტრალური ორგანოების წინადადებით, ამუშავებენ კანონ-პროექტებს, იძლევიან უფლებრივ დასკვნებს ამ კანონპროექტებზე, აგრეთვე იძლევიან დასკვნებს ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებების პრაქტიკულ მუშაობაში წამოჭრილ ცალკე უფლებრივ საკითხებზე. ამავე განყოფილებებში ჩვეულებრივ მოთავსებულია საკოდიფიკაციო ნაწილიც.

თავისი მუშაობის ხასიათით საკანონმდებლო განყოფილებას ბევრი რამ აქვს საერთო ცაკებისა და სახკომსაბჭოების საკანონმდებლო განყოფილებებთან, ამიტომ სავსებით მიზანშეწონილი იქნება, რომ ეს განყოფილებები და მათთან არსებული საკოდიფიკაციო ნაწილები შეუერთდნენ რესპუბლიკების ცაკებისა და სახკომსაბჭოების სათანადო აპარატებს. კანონმდებლობის განმარტება სამოსამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში რჩება უზენაეს სასამართლოს.

საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოებისათვის ძველებურად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ერთიანი ცენტრალიზაციაქმნილი ხელმძღვანელობა. საბჭოთა რესპუბლიკების განვითარების მიმდინარე ეტაპში პროკურატურის წინაშე წამოჭრილია ახალი მნიშვნელოვანი ამოცანები რევოლუციონური კანონიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის. პროკურატურამ სახალხო სასამართლოსთან ერთად თავისი იარაღი უნდა აღმართოს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის სოციალისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებას, ხელს უწყობს ამ მშენებლობის ტემპების შენელებას და აფერხებს კლასობრივ-პოლიტიკური ამოცანების განხორციელებას სოფლად. ამიტომ პროკურატურის ორგანოები, რომლებიც ჯერ კიდევ მდიდარი არ არიან გამოცდილი და მტკიცე მუშაკებით, კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ და უფრო აქტიური გავხადოთ, რესპუბლიკის პროკურორს (იგივე უზენაეს სასამართლოს პროკურორი), რომელიც ცაკის პრეზიდიუმთან იმყოფება, ხოლო ტერიტორიალურად უზენაეს სასამართლოსთან, ექვემდებარება მთელი საპროკურორო ზედამხედველობა რესპუბლიკაში და მის განკარგულებაშია შემდეგი განყოფილებები (ნაწილები, ჯგუფები): 1) ხელისუფლების ორგანოების მოქმედების კანონიერებაზე საერთო ზედამხედველობის განყოფილება; 2) უზენაეს სასამართლოს და სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეებზე ზედამხედველობის განყოფილება; 3) გამოძიების, მოკვლევის და საპატიმრო ადგილების ორგანოებზე ზედამხედველობის განყოფილება; 4) შრომის საქმეების განყოფილება და 5) სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოზე ზედამხედველობის განყოფილება.

ამრიგად, იუსტიციის სახალხო კომისრების თანამდებობა, მათთან არსებული კოლეგიების და მათი დამხმარე შტატი უქმდება.

რესპუბლიკის პროკურორი, რომელიც ანხორციელებს რევოლუციონურ კანონიერებაზე ზედამხედველობის ფუნქციებს, და უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე შედიან რესპუბლიკების სახკომსაბჭოებში სათათბირო ხმის უფლებით; რესპუბლიკის ცაკის გადაწყვეტილებით უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეს შეიძლება მიეცეს გადამწყვეტი ხმის უფლება.

ამრიგად, რას მივიღებთ იუსტიციის სახალხო კომისარიატის განზრახული ლიკვიდაციის შედეგად?

1. გაორების ნაცვლად, გვექნება მთლიანი ხელმძღვანელობა რესპუბლიკის ყველა სამოსამართლო ორგანოების მიმართ. ხელმძღვანელობა მოქცეული იქნება უზენაეს (მთავარ) სასამართლოს ხელში.

2. ერთიან ორგანოში ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მმართველობის ფუნქციები ლოღიკურად დაკავშირებული იქნება სასამართლო პოლიტიკის გატარებასთან და იმ სამოსამართლო მუშაობაზე კონტროლისა და ზედამხედველობის დაწესებასთან, რომელსაც სახალხო სასამართლოები ანხორციელებენ.

3. მოხდება ადმინისტრატიულ-სასამართლო აპარატის რაციონალიზაცია, ზედმეტი საფეხურების გაუქმება და ორი სხვადასხვა დაწესებულების არსებითად ანალოგიური აპარატების გაერთიანება

4.—განხორციელდება ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირება, რაც ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებში თვალსაჩინო თანხას მოგვცემს.

სასამართლო მმართველობის ორგანოების ზემოხსენებული რეორგანიზაციის გატარებით უარყოფილია ბ. გურევიჩისა და ტ. ტიხომიროვის წინადადება იმის შესახებ, რომ მილიციისა და სისხლის სამართლის მილიციის საპატიმრო ადგილები გადავიდეს იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში (იხილე წერილი „საჭიროა თუ არა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები“, „პრავდა“, 30 დეკემბერი № 310), ვინაიდან ასეთი გადაცემა არა თუ არ მოსპობს ზემოთ აღნიშნულ პარალელიზმს ხელმძღვანელობაში, არამედ კიდევაც გააღრმავებს მას და ამასთან ერთად თვალსაჩინოდ ჩამოაშორებს იუსტიციის სახალხო კომისარიატს სამოსამართლო ორგანოების მიმართ ხელმძღვანელობის პირდაპირი ამოცანებისაგან.

ვიზიარებთ რა აღნიშნული ავტორების თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შემდგომი არსებობა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან კომუნალური მეურნეობისა და რელიგიური კულტის საკითხების გამოყოფა, ჩვენის მხრივ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1.—ყველა საპატიმრო სახლების მმართველობა გადაეცეს საოლქო აღმასკომების ადმინისტრატიულ განყოფილებებს, და გამასწორებელი სახლები გადაყვანილ იქნან ადგილობრივ ბიუჯეტზე.

2.—სისხლის სამართლის ადგილობრივი მილიცია დარჩეს საოლქო აღმასკომების ადმინისტრატიული განყოფილებების სისტემაში.

3. მილიციისა და სისხლის სამართლის მილიციის მიმართ ოპერატიულ-სადირექტივო (უმთავრესად) და ნაწილობრივ—სამეურნეო ხასიათის საერთო ხელმძღვანელობა გადაეცეს სპეციალურ განყოფილებას, რომელიც რესპუბლიკების სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოებთან ეწყობა.

ი. ვარძიელი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პლენუმი

საგაზაფხულო თესვის კამპანია თბ. ოლქში

(ამხ. ავაქოვის მოხსენება)

შემოდგომის თესვის კამპანია თბილისის ოლქში განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა. ნათესების სივრცის გადიდება გეგმით გათვალისწინებული იყო 10 პროცენტით მაგრამ სინამდვილეში ნათესების სივრცე 18 პროც. გაიზარდა.

გაზაფხულის თესვის კამპანიას ჩვენ განსაკუთრებული სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ. ნათესების გაფართოებასთან ერთად საჭიროა კოლმეურნეობათა მშენებლობის ფართოდ გაშლა.

მიმდინარე წლის გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს ნათესების სივრცე 43178 ჰექტარის ნაცვლად გადიდდება 46.370 ჰექტარამდე; ზრდა 7,4 პროცენტს შეადგენს.

აღნიშნული სივრცე განაწილებულ იქნება მეურნეობის ცალკე დარგებს შორის ცალკე კულტურების მიხედვით ნათესების სივრცე გასულ წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს შემდეგნაირად: ხორბლეულის 7 პროცენტით, ქერის 9,5 პროცენტით—ხოლო სიმინდის 7,1 პროცენტით. განსაზოგადოებული სექტორის ხვედრითი წონა 4,4 პროცენტიდან მიმდინარე წლის გაზაფხულის თესვის კამპანიის პერიოდში უნდა გაიზარდოს 25 პროცენტამდე.

გაზაფხულის თესვის კამპანიაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მებამბეობას. გეგმის მიხედვით—ბამბის ნათესი 7.200 ჰექტარიდან 11.500 ჰექტარამდე, ე. ი. 60 პროცენტით, უნდა გაიზარდოს.

ამასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში ბამბა დაითესება 4.900 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებში 300, ხოლო ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში 6.300 ჰექტარი.

უმაღლეს ორგანოების დადგენილების თანახმად მთლიან კოლექტივიზაციაზედ უნდა იქნეს გადაყვანილი ბორჩალოსა და ყარაიაზის რაიონები, სადაც ტარდება სათანადო მოსამზადებელი მუშაობა. გარდა ბამბისა გეგმის მიხედვით დათესილი უნდა იქნეს სხვა კულტურებიც. მაგ. კანაფი 200 ჰექტ., სოია 200 მზიოთუმზირა 200, და სელი 20 ჰექტარი.

ვენახების გაფართოება განზრახულია 3.105 ჰექტარიდან—3.261 ჰექტ-მდე, ე. ი. 5,3 პროც., ხოლო ბაღების 2.419 ჰექტარიდან—2.540 ჰექტარამდე, ე. ი. 5 პროც.

მებოსტნეობა-მებაღეობა თბილისის ოლქში განსაკუთრებული ტემპით უნდა განვითარდეს. მიმდინარე წელს ბორჩალოსა და ყარაიაზის რაიონის მთლიანად მებამბეობის რაიონად გამოცხადების გამო, უკანასკნელიდან იდევნება მებოსტნეობა, რომელიც იქ მეტად გავრცელებული იყო. მებოსტნეობის სწრაფი განვითარება შესაძლებელია მუხრანის, პატარძეულის, სართიჭალის და განსაკუთრებით დიღომის რაიონში, სადაც სამიწო პირობები ხელსაყრელია. მიმდინარე წელს ბოსტნების სივრცის ოდენობა ნაცვლად 2.046 ჰექტარისა, გადიდებულ უნდა იქნეს 2.400 ჰექტარამდე, ე. ი. გადიდებულ იქნეს 17 პროც. აქედან კოლექტიურ მეურნეობებში 1.500 ჰექტ., საბჭოთა მეურნეობებში 115, ხოლო ინდივიდუალურ მეურნეობებში 785 ჰექტ. კარტოფილის ნათესების სივრცე განსაზღვრულ უნდა იქნეს 2.444 ჰექტარით, აქედან კოლმეურნეობებში კარტოფილი უნდა დაითესოს არა ნაკლებ 1.160 ჰექტარისა.

ჯერ-ჯერობით არ არის შედგენილი მესაქონლეობის განვითარების გეგმა, რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს თბილისის ოლქის პირობებში. თბილისის ოლქში არის მთელი რაიონები, მაგალითად, წალკის, ბაშკიჩეთის, ხევის, და სხვა, რომელნიც მთლიანად მესაქონლეობას მისდევენ.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მესაქონლეთა კოლმეურნეობების ჩამოყალიბებას.

მესაქონლეობასთან დაკავშირებით, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს კულტურულ ბალახების—მაგ., იონჯის, ძირნაყარას და სხვ. თესვას, მიმდინარე წელს კულტურული ბალახებით უნდა დაითესოს 1000 ჰექტარი მიწის სივრცე, აქედან კოლმეურნეობებზე მოდის 360 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებზე 300, ხოლო დანარჩენი ინდივიდუალურ მეურნეობებზე.

გაზაფხულის თესვის კამპანიის პერიოდში ყველა კულტურების ნათეს სივრცის რაოდენობა უდრის 64.860 ჰექტარს, აქედან კოლმეურნეობებზე მოდის 15.481 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებზე 1.460 ჰექტარი. სოციალისტური სექტორი ერთად იძლევა 26,1 პროცენტს, ინდივიდუალური კი 73,9%.

როგორია სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის მდგომარეობა და მისი განვითარების გეგმა? ამჟამად ჩვენ თბილისის ოლქში გვაქვს 208 კოლმეურნეობა, რომელიც აერთიანებს 9.691 ჰექტარ მიწას, ეს მთელი სახნავი მიწის ფართობის 65 პროც. შეადგენს. კოლმეურნეობებში სულ გაერთიანებულია 3.642 მეურნეობა. თესვის კამპანიის პერიოდში კოლმეურნეობათა რიცხვი აყვანილი უნდა იქნეს 232-მდე, მათში გაერთიანებული იქნება 11.910 კომლი—48.000 ჰექტარი მიწით.

მთლიანი კოლექტივიზაცია გეგმით გატარებულ უნდა იქნეს ბორჩალოსა, ყარაიას და საგარეჯოს რაიონებში,

საგაზაფხულო სასოფლო კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად საჭიროა სესხები—სათესლე მასალისათვის 130.500 მან.; მუშა-საქონლისათვის 45.000 მან:; სატრაქტორო სადგურებისა და კოლონების მოსაწყობად—550.000 სხვა მოკლევადიანი სესხებისათვის 77.300 მ.

საბჭოთა მეურნეობის მშენებლობას ჩვენ მხოლოდ მიმდინარე წელს შევუდექით. პირველ რიგში ხელი უნდა შევუწყოთ მებაღეობისა და მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის განვითარებას. უნდა გავაფართოვოთ კრწანისის საბჭოთა მეურნეობა 60 ჰექტარამდე.

გაფართოვებული უნდა იქნეს ბაშკიჩეთის მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობა. მიმდინარე წელს მეწველ საქონლის რიცხვი უნდა ავიყვანოთ იქ ოთხასამდე.

1930 წელს დამთავრებულ უნდა იქნეს მუშაობა ხოდაშნის საბჭოთა მეურნეობის წინასწარი გამოკვლევა.

გაზაფხულის ნათესები საბჭოთა მეურნეობებში ცალკე კულტურების მიხედვით განაწილებულ უნდა იქნეს შემდეგნაირად: ბამბა 700 ჰექტარი, ხორბლეული 80, სიმინდი 300, ბოსტნები 115, კარტოფილი 80, და კულტურული ბალახები 300 ჰექტარი.

თესვის კამპანიის დროს გატარებულ უნდა იქნეს შემდეგი აგროღონისძიებანი: თესლის გაწმენდა-მოწამვლა, და დახარისხება სავალდებულო წესით გატარებული უნდა იქნეს, პირველ რიგში განსაზოგადოებრივებულ სექტორში.

უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს კონტრაქტაციას. ხორბლეულის მთელი ნათესი სივრცის არა ნაკლები 40 პროც. კონტრაქტაციაქმნილი უნდა იქნეს. რაც შეეხება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უკანასკნელი წლებში კონტრაქტაცია სრული 100 პროც. უნდა იქნეს გატარებული.

მიმდინარე თესვის კამპანიის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტყის მოშენების საქმესაც. თბილისისათვის სატყეო მეურნეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დათესილ უნდა იქნეს არა ნაკლები 90 ჰექტარის დარგული არა ნაკლებ 24 ჰექტარისა.

ბევრი გვაქვს გასაკეთებელი მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო იარაღით უზრუნველყოფის საქმეში. თბილისის ოლქი ღებულობს თესვის კამპანიის პერიოდში 2 ტრაქტორს—დიღომის ველისათვის, 1—ტრაქტორს საბჭოთა მეურნეობისათვის და 90 ცალს სამანქანო სატრაქტორო სადგურისათვის — ბორჩალოსა და ყარაიაზის რიონში.

მარტივი ტიპის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი შეძენილი უნდა იქნეს შემდეგი რაოდენობით: გუთანი—877, ფარცხი 848, კულტივატორი 360, სათესი მანქანა 290, ტრიერი 28, და სხვა. ვინაიდან ჩვენ არ გვაქვს საშუალება ყველა რაიონი უზრუნველვყოთ მანქანებით და ტრაქტორებით, ადგილებზე მოგვიხდება შევქმნათ ცხენების და ხარების კოლონებიც. უკანასკნელი ეხლავე მომაგრებული უნდა იქნეს სათანადო საკვებით. ამისათვის 30.000 მანეთი თანხა გვაქვს გადადებული.

პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღება მიპყრობილ უნდა იქნეს თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისაკენ. ეხლავე უნდა შევუდგეთ მუშათა ბრიგადების მზადებას. სამწუხაროდ ადგილებზე გასულ წელს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ბრიგადებს მუშაობაში ვერ გაუწიეს შესაფერი დახმარება, რაც მომავალში არ უნდა განმეორდეს. თბილისის ოლქში გაგზავნილი იქნება 10 მუშათა ბრიგადა.

ამხ. ავაქოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები ეხებოდენ კოლმეურნეობათა მშენებლობის გაძლიერებას, კულაკების წინააღმდეგობას, ღარიბთა შორის მუშაობის სისუსტეს და სხვა. ორატორები მთლიანად იწონებდენ საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების გეგმას და მის განსახორციელებლად შემოიტანდენ პრაქტიკული წინადადებები.

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება

კულაკური მეურნეობათა მიერ პურის ჩაუბარებლობისათვის დაწესებულ ჯარიმებიდან თანხების შენახვისა და გამოყენების წესის შესახებ

1. რადგან საქართველოს ს. ს. რ. პურის დამზადების გეგმის შესრულების დროს პურის ჩაუბარებლობისათვის დაწესებული ჯარიმებიდან შემოსული თანხები მეტად მცირეა და ამის გამო ამ წესით შემოსული საშუალებების დაქუცმაცება არ იქნება მიზანშეწონილი, საჭიროდ იქნას ცნობილი, რათა ჯარიმებიდან და ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვისაგან შემოსული თანხები საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 30-ს დადგენილების თანახმად („კომუნისტი“ № 257) სრულად იქნას მოქცეული სოფლის ღარიბ მოსახლეობის კოოპერაციაში გაერთიანებისა და კოლექტივიზაციის ადგილობრივ ფონდში.

2) საქართველოს ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი „ადგილობრივ საბჭოებისათვის იმ უფლების მინიჭების შესახებ, რომლის ძალითაც მათ შეუძლიათ ადმინისტრატიული გადასახდელი დაადვან იმ პირთ, ვინც თავს აარიდებს პურის ჩაბარებას თვისი ვალდების წესით პურის დამზადების შესასრულებლად“,—თამაზე, 1929 წ. ოქტომბრის 30-ს დადგენილების მე-3 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ, მოწონებულ იქნას სახკომსაბჭოს სარედაქციო იურიდიული განყოფილების რედაქციით და დასამტკიცებლად წარედგინოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

3. ეთხოვოს ა.-კ. სახკომსაბჭოს დაადასტუროს მეორე მუხლში აღნიშნულ დადგენილებით დაშვებული საკავშირო სახკომსაბჭოს 1929 წ. ნოემბრის 6-ს დადგენილებაში მოყვანილი საერთო დირექტივებიდან გადახვევა (ოქმი № 85—322 § 5).

ზარები--ინდუსტრიალიზაციის ფონდში

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში შემოდის მუშების დიდძალი განცხადებები და მრავალ წარმოება-დაწესებულებათა საზოგადო კრებების გადაწყვეტილებები, რომლითაც მუშათა მასა მოითხოვს ერთხელ და სამუდამოდ იქნას შეწყვეტილი თბილისში საეკლესიო ზარების რეკვა.

ინდუსტრიალიზაციის მეორე დღეს—დეკემბრის 25-ს, თბილისის პროლეტარიატმა თვალნათლივ დაამტკიცა, რომ იგი დიდის ენტუზიაზმით იღებს მონაწილეობას ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში. ამ დღეს არ ყოფილა სამუშაოს გაცდენის არც ერთი შემთხვევა, მთელი მუშათა მასა უკლებლივ გამოვიდა სამუშაოზე, რომ დაემტკიცებინა თავისი ერთგულება—ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საქმისადმი. მაგრამ სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის აუცილებლად საჭიროა გაძლიერებული იქნას ბრძოლა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც რელიგიური ნიღაბით ლამობენ გაილაშქრონ სოციალისტური შეტევის და პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ.

მუშათა მასები მოითხოვენ, ჩამოხსნილი იქნას ყველა ეკლესიებიდან ზარები და გამოყენებული მრეწველობის საჭიროებისათვის.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი აყენებს ამ საკითხს თბილისის საბჭოს წინაშე იმ მხრით, რომ მუშათა მასების მოთხოვნილებისამებრ ყველა საეკლესიო ზარები ჩამოხსნილ იქნას და გადაეცეს „რუდმეტალტორგს“, რომელიც მათ ლითონის მრეწველობის საჭიროებისათვის გამოიყენებს. თანხა კი მოახმაროს მშრომელთა მასის კულტურულ საჭიროებას.

ს. პ. ქ. ს. პრეზიდიუმი.

5.750.000 მანეთი საბინაო მშენებლობისათვის

ამიერ-კავკასიაში საბინაო მშენებლობისათვის ცენტრალურ კომუნალური ბანკის მიერ 1929—30 წლისათვის გადადებულია 5.750.000 მანეთი. აღნიშნული თანხა ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ განაწილა შემდეგნაირად: სამხედრო საბინაო მშენებლობისათვის გადადებულია 300.000 მანეთი; ქ. თბილისის საბინაო მშენებლობისათვის—300.000 მანეთი; რესპუბლიკანურ მრეწველობისათვის—1.600.000 მანეთი. (აქედან საქართველოს რესპუბლიკანურ მრეწველობას—710.000 მან. აზერბაიჯანის მრეწველობას—439.000 მანეთი და სომხეთის მრეწველობას—451.000 მანეთი).

დანარჩენი 3.550.000 მანეთი გადადებულია აღმასკომებისა და კოოპერაციისათვის. აქედან საქართველოს კოოპერაცია და აღმასკომებს მიეცემა—1.020.000 მანეთი, აზერბაიჯანს—1.730.000 მანეთი და სომხეთის კოოპერაციასა და აღმასკომებს—800.000 მანეთი.

რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს წინადადება მიეცა დაჩქარებით განაწილონ ეს თანხები კოოპერაციასა და აღმასკომებს შორის და თვალყური ადევნონ, რომ თანხები გამოყენებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ საბინაო მშენებლობაზე. ცალკე სამრეწველო საწარმოების ნება ეძლევა სხ. მეურნეობებს უმაღლეს საბჭოსთან, პროფსაბჭოსთან და ბინათკავშირთან შეთანხმებით გამოჰყონ ამ კრედიტის ნაწილი მუშათა საბინაო სამშენებლო კოოპერაციისათვის, იმ პირობით, თუ საბინაო კოოპერაცია შეიტანს საკუთარი თანხების კანონიერ ნორმას.

მატყლის დამზადება უნდა გაფართოვდეს

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს: საქართველოში 1926 წ. დამზადდა 1313 ტონა მატყლი, 1927 წელს—1613 ტონა, 1928 წელს—1574 ტონა და 1929 წ.—1548 ტონა. ამრიგად მატყლის დამზადებამ იკლო 1928 წლიდან. მატყლის დამზადების შემცირება გამოწვეულია არა მარტო ცხვრის რაოდენობის შემცირებით, არამედ იმითაც, რომ მატყლის დამზადების საქმე ჯეროვნად არ არის მოწყობილი; დამამზადებელ ორგანიზაც. კერძო აქეთ ხელში აღებული მთელი სასაქონლო მატყლი; მეცხვარე გლეხობა მთლიანად არაა შეკავშირებული კოოპერაციაში; მოუგვარებელია მეცხვარეთათვის საქონლის მიწოდება; მეცხვარეობის მეურნეობაში ჯერ კიდევ ფართო ადგილი უჭირავს შალეულის და ხალიჩების შინამრეწველურ წარმოებას, რაზედაც იხარჯება მატყლის დიდი რაოდენობა. მატყლის დამზადების საქმის შემაფერხებელი ზემოხსენებული მიზეზების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნება ზოგიერთი, როგორც ორგანიზაციული, ისე საწარმოო ხასიათის ღონისძიების მიღებით.

რეორგანიზაციის პერიოდში მეცხვარეთა კოოპერაციამ თავისი ძირითადი ქსელი უნდა დაუახლოვოს თვით მეცხვარე სექტორებელ რაიონებს და მათთან იმყოფებოდეს საზაფხულო საძოვრებზე გასვლის დროსაც. უნდა აღმოიფხვრას მეცხვარეთათვის საქონლის მიწოდებაში შემჩნეული დეფექტები. გაფართოვებულ უნდა იქნეს მეცხვარეთათვის მისაწოდებელ საქონლის ნომენკლატურა (უმთავრესი ყურადღება მიექცეს პირველ მოთხოვნილების საგნებით—როგორიცაა ჩაი, შაქარი, ქალამანი, ფართალი და სხ.—უზრუნველყოფას) გადიდებულ უნდა იქნას მეცხვარეთა მომარაგების ნორმები, რომ ამ გზით მეცხვარეთათვის გაცემულ ავანსებს მიეცეს მაქსიმალურად ნატურალური ხასიათი და შესაძლო გახდეს სასაქონლო მატყლის მთელი რაოდენობის დამზადება. გაფართოვებულ უნდა იქნას მეცხვარეთათვის მედიკამენტებისა და საქონლის საკვების მიწოდება. გაფართოვებულ უნდა იქნას აგრეთვე მატყლის კონტრაქტაცია.

1929 წლის გაზაფხულზე მატყლის კონტრაქტაცია პირველად ჩატარდა ჩვენში და მას თან ახლდა მრავალი დეფექტი. წელს უნდა მოხდეს მეცხვარეთა მეურნეობების მატყლის მთელი პროდუქციის კონტრაქტაცია ამასთანავე კონტრაქტაციის მთელი გეგმის 50 პროცენტი განხორციელებულ უნდა იქნას ხელშეკრულებების მთელ სოფელთან, ან სოფლის ჯგუფებთან დადების გზით. ხელშეკრულებებში გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც ჩასაბარებელ მატყლის რაოდენობა და ჩაბარების ვადები, ისე იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც გამოიწვევენ მატყლის საქონლიანობის ზრდას. ამავე ხელშეკრულებებით დამამზადებელ ორგანიზაციას უნდა დაეკისროს მეცხვარეთათვის აგრო-ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ დახმარების აღმოჩენა. გამომუშავებული უნდა იქნას ზოოტექნიკური და ვეტერინარული მინიმუმები, რომლებიც ზედმიწევნით უნდა განიხილონ და შეისწავლონ ღარიბ და საშუალო მეცხვარეთა ჯგუფებმა. საკონტრაქტაციო ხელშეკრულების ყოველი ცალკე მუხლი განხილული და დადასტურებული უნდა იქნას ღარიბთა ჯგუფების და ღარიბ და საშუალო შეძლების მეცხვარეთა კრებების მიერ. ამ კრებების დადგენილებები სავალდებულო უნდა იქნენ სოფლის, ან რაიონის ყველა ჯგუფების მეურნეობათათვის.

საფეიქრო მრეწველობა ჩვენში თანდათანობით ფართოვდება. ამ მრეწველობის შემდგომი გაფართოება შესაძლო იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესაძლებლობას მოგვცემს ჩვენი ნედლეულის ბაზა. ეს გარემოება ერთი წუთითაც კი არ უნდა დაივიწყოს ჩვენმა მეცხვარეთა კოოპერაციამ და ყოველგვარი ზომა უნდა იხმაროს მეცხვარეობის და მეცხვარეობის პროდუქციის საქონლიანობის გასაფართოებლად.

გეგმის მიხედვით 1930 წელს დამზადებული უნდა იქნას 1731 ტონა მატყლი. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობებით და საქ. მ.-გ. ინსპექციის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგების თანახმად ამ გეგმის მთლიანად განხორციელება შესაძლებელია, მაგრამ ამითი დაკმაყოფილება შეუძლებელია. მეცხვარეთა კოოპერაცია ვალდებულია უტყუარად განახორციელოს მეცხვარეობის გასაფართოებლად საჭირო ზემოჩამოთვლილი ღონისძიებანი, რომ შესაძლო გახდეს მატყლის დამზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

იქ, სადაც იბეჭდება „კაპიტალი“

„ძნელია იმ მოუთმენლობისა და ნერვიულობის გადმოცემა, რომელიც ემჩნევათ „კაპიტალის“ ზოგიერთ ხელის მომწერთ იმის გამო, რომ წიგნი მათ ვერ მიიღეს დანიშნულ დროზე“.

„კომუნისტი“-ს ხელის მომწერნი ითხოვენ—რაც შეიძლება დაჩქარდეს „კაპიტალის ბეჭდვა, ვინაიდან მის გამოსვლას უკავშირებენ მარქსიზმის შემსწავლელ წრეების ორგანიზაციას სოფლად“.

„ზოგიერთი ხელის მომწერი შიშს გამოსთქვამს,— ვაი თუ „კაპიტალის“ ქართულად გამოცემა ვერც კი მოხერხდეს“-ო.

ასეთი შინაარსის წერილებით აივსებულია ჩვენი გამომცემლობის კანტორა, რომელსაც არა აქვს საშუალება ყველას სათითაოდ გასცეს პასუხი ამ შეკითხვებზე.

ბევრმა მათგანმა, რასაკვირველია, კარგად არ იცის, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს კარლ მარქსის გენიალური ნაწარმოების გამოცემა სრულ ქართულ ენაზე. ბევრმა, ალბათ, ისიც არ იცის, თუ რა მდგომარეობაშია ან რომელ სტადიაშია „კაპიტალის“ ბეჭდვის საქმე.

ამიტომ, ზედმეტი არ იქნება, თუ მკითხველთან ერთად შევიხედავთ პოლიგრაფტრესტის პირველ სტამბაში, სადაც ამჟამად იბეჭდება „კაპიტალი“.

პოლიგრაფტრესტის პირველი სტამბა საუკეთესო სტამბათ ითვლება მთელ თბილისში. აქ თავმოყრილია უფრო რთული და საპასუხისმგებლო სასტამბო საქმეები. მაგრამ მათში ყველაზე უფრო რთული და საპატიო საქმეს, უთუოდ მარქსის „კაპიტალი“ წარმოადგენს. ოქტომბრის რევოლუციამ სხვა მიღწევებთან ერთად შეძლება მისცა საქართველოს მუშას თავის ენაზე იხილოს მარქსის „კაპიტალი“.

სამეწყობო განყოფილებაში ათავებენ „კაპიტალი“-ს წყობას. უკანასკნელი მასალა —40 გვერდი ხელთნაწერი დღეს მიიღო მეტრანპაჟმა (გვერდების შემკვრელი) და ჩვენ თვალწინ გაუნაწილა ამწყობებს.

განყოფილება პირველი

საქონელი და ფული

თავი პირველი

საქონელი

1. საქონლის ორი ფაქტორი: ხახმარი ღირებულება და ღირებულება (ღირებულების სუბსტანცია და ღირებულების სიდიდე).

სიმდიდრე საზოგადოებისა, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესია გამეფებული, „უამრავი საქონლის გროვად“ გვევლინება[1], ხოლო თითოული საქონელი—მის ელემენტარულ ფორმად. ამიტომ ჩვენი გამოკვლევა საქონლის ანალიზით იწყება.

საქონელი, პირველ ყოვლისა, გარეშე საგანია, ნივთია, რომელიც თავისი თვისებით ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ამ მოთხოვნილების ბუნება, იქნება მისი წარმოშობი მიზეზი, მაგალითად, კუჭი თუ ოცნება სრულიად არ სცვლის საქმის ვითარებას[2]. აგრეთვე სულერთია, თუ როგორ აკმაყოფილებს ნივთი ადამიანის მოთხოვნილებას,—პირდაპირ, როგორც საარსებო საშუალება, ე. ი. მოხმარების საგანი, თუ—არაპირდაპირ, როგორც საწარმოო საშუალება.

„კაპიტალი“-ს ტექსტის დასაწყისი

— ორ-სამ დღეში წყობას დავასრულებთ,— გამოგვიცხადა მეტრანპაჟმა და შეუდგა გვერდების შეკვრას.

— ესეც 621 გვერდი.—მხიარულათ გადმოგვხედა მან და რამდენჯერმე მაგრად შემოუჭირა აწყობილ გვერდს წვრილი თოკი.

— ეს მერამდენე ფორმას ჰკრავ?— შევეკითხეთ ჩვენ.

— მე-39-ს.

— სულ რამდენი ფორმა იქნება?

— არა მგონია 45 ფორმაზე, ე. ი. 720 გვერდზე მეტი გამოვიდეს.

— როგორ თუ 720 გვერდი!— გაიკვირვა ერთმა ხელის მომწერმა, რომელიც შემთხვევით მოხვდა ჩვენთან ერთად იმ დროს სტამბაში.— აკი 1.000 გვერდს იყავით დაპირებული?

— მართალია, ამხანაგო, გამომცემლობამ გამოაცხადა „კაპიტალი“ ათასგვერდიანი იქნება და ასეც იქნებოდა, მაგრამ ასეთი ზომის ქაღალდი ვერ იშოვეს, ამიტომ გვერდები დიდი ზომის აიწყო და ამის მიხედვით მათი რაოდენობა შემცირდა. წინად განზრახული იყო 6×10 კვადრატიანი გვერდი, ახლა კი 7×11 კვადრატიანია. რასაკვირველია, ამან მოგვცა გვერდების ეკონომია.

წყობის საქმის მდგომარეობამ ერთობ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე და დავაპირეთ სტამბის ქვემოსართულისაკენ წასვლა, საბეჭდი განყოფილების დასათვალიერებლად, რათა გამოგვერკვია, თუ როგორი მდგომარეობაა იქ, რამდენი ფორმაა დაბეჭდილი, როგორ არის ფორმები დაბეჭდილი და სხვ.

მაგრამ ასოთამწყობებმა შეგვაჩერეს.

— აი, ამხანაგებო, ხომ ხედავთ, როგორი თავგამოდებითა და ხალისით ვმუშაობთ „კაპიტალზე“. ვმუშაობთ იმიტომ, რომ კარგად გვესმის, თუ რა ისტორიული მნიშვნელობის, რა საშვილიშვილო საქმეს ვაკეთებთ. მარქსის „კაპიტალი“ ლამპარია მთელი რევოლუციონური პროლეტარიატისათვის და ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს იმის გამო, რომ მონაწილე გავხდით ამ დიდი მუშაობის. მაგრამ ამავე დროს თქვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ნივთიერად „კაპიტალზე“ მომუშავე ამწყობები რამოდენიმეთ დავზარალდით.

— როგორ მოხდა ეს?

— ისე, რომ „კაპიტალი“ ერთობ სერიოზული და პასუხსაგები სამუშაოა. თუ სხვა წიგნს მეორე კორექტურის გასწორების შემდეგ ვბეჭდავთ, ან ყოველ შემთხვევაში, კორექტორებს არ ვაძლევთ ნებას, რომ რაიმე შესცვალონ დედანთან შედარებით— ან ჩაუმატონ, გამოაკლონ, ან სიტყვა გამოსცვალონ, აქ ამას ვერ ვიზამთ. აქ პირველი კორექტორაც კი დედნის მიხედვით არ სწორდება. მეორე და მესამე კორექტურაში იმდენი შესწორებები შეაქვთ, რომ ახლად აწყობა მაინცა და მაინც უფრო საძნელო არ იქნებოდა. ჩვენ ვიცით, რომ ეს აუცილებელია და სავსებით ვურიგდებით ასეთ მდგომარეობას,

ჩაეციერთ საბეჭდ განყოფილებაში. უფროს ოსტატს ამხ. კალანდაძეს მივყევართ მანქანასთან, რომელზედაც იბეჭდება მე29 ფორმა. ჩვენ ამხანაგურ საყვედურს ვეუბნებით მას იმის გამო, რომ ორი გამზადებული ფორმა (მე-30 და მე-31) არ არის გამვებული მანქანაზე.

ასოთ-ამწყობები აწყობენ „კაპიტალი“-ს გვერდებს

—:—

— ნეტავი ყველა ფორმები მზად იყოს დასაბეჭდათ, ერთ კვირაში ყველას „წირვას“ გამოუყვანთ.— გვეუბნება ამხ. კალანდაძე,— მაგრამ უბედურება ის არის, რომ გარდა ამ უკანასკნელი შემთხვევისა, ყოველთვის სამანქანო განყოფილებას უხდება ცდა, ვინაიდან აწყობა და კორექტურა აბრკოლებს საქმეს.

სამანქანო განყოფილებას კიდევ 15—16 ფორმა ექნება დასაბეჭდი. განყოფილება ამას თავის დროზე შეასრულებს, რადგან 6—7 საუკეთესო საბეჭდი მანქანა ისე სწრაფად მუშაობს, რომ გამოუცდელი ადამიანიც ადვილად დარწმუნდება მათი შრომის უნარიანობაში.

სამანქანო განყოფილებიდან მივდივართ სამკინძაო განყოფილებაში. ეს, ასე ვსთქვათ, უკანასკნელი ინსტანციაა, სადაც თავს იყრის ყველა განყოფილებების ნამუშევარი და საბოლოოდ იღებს დამთავრებული წიგნის ფორმას.

აქ, დიდ დარბაზში, „კაპიტალი“-ს სხვადასხვა დაბეჭდილი და შემდეგ დაკეცილი ფორმები, კონებ-კონებად შეკრული, შეებერთელა კალოდ არის დაწყობილი. ეტყობა ამ განყოფილების ხელმძღვანელი ამხანაგი თადარიგიანი კაცი უნდა იყოს, რომ საბეჭდავ განყოფილებაში დაბეჭდილ ფორმებს არ სტოვებს, თავის განყოფილებაში გადააქვს, აკეცინებს და ამზადებს შესაკვრელათ.

— ეს კარგი რომ მოსულხართ,— მოგვმართა სამკინძაოს უფროსმა ოსტატმა,— მაგრამ რატომ არ გვეუბნებით— როგორ უნდა შევკრათ „კაპიტალი“, როგორ ყდაში ჩავსვათ, როგორი წარწერა გავუკეთოთ და სხვა. მე ვიცი, რომ ბოლოს ყველანი ერთბაშად ჩვენ მოგვცვივიან და „ჩქარა-ჩქარას“ ძახილით აგვიკლებენ. ახლავე ვაცხადებ, რომ აჩქარებით საქმეს არ გავაფუჭებ... თუ გეჩქარებათ, ახლავე უნდა მოგვცეთ მუშაობის გეგმა, ახლავე უნდა მოგვცეთ მასალა, რომ ნელ-ნელა, სულდადგმით მივსდიოთ ბეჭდვას და საქმე დროულათ გამოვიყვანოთ,.

— „კაპიტალი“-ს ყდის საკითხი, აწყობაზე და დაბეჭდვაზე ნაკლებ საყურადღებო არ არის. ამ მხრივ მიღებული იქნება ზომები.

— წყობა-დაბეჭდვა ჩქარა დასრულდება. წიგნი თითქმის დამთავრებულია. რჩება მხოლოდ ყდის საკითხი, რომელიც ჯერაც კიდევ არ არის მოგვარებული. მაგრამ ესეც მალე მოწესრიგდება. ჩვენი წიგნის ბაზარი, ქართველი მუშა და გლეხი მალე მიიღებს უდიდეს კულტურულ განძს.—მარქსის „კაპიტალს“ ქართულ ენაზე. ეს იქნება ჩვენი მორიგი გამარჯვება საბჭოთა კულტურის ფრონტზე.

ე—ი.

ამხ. ი. ელიგულაშვილის ხსოვნას

კლასობრივი მტრის აგენტის ხელით დაიღუპა ახალგაზრდა მუშა ბოლშევიკი ამხ. ილუშა ელიგულაშვილი. ქართველ ებრაელთა შორის მომუშავე საინიციატივო ჯგუფს, რომელსაც მიზნად აქვს დასახული კულტურის სხივის შეტანა ქართველ ებრაელთა ჩამორჩენილ უბნებში, მისი სახით გამოაკლდა უშიშარი და ენერგიული მუშაკი.

ამხ. ილუშა ღარიბთა წრიდან იყო გამოსული. ის პირადათ თავის თავზე იშვიათად ზრუნავდა და მუდამ იმის ცდაში იყო, რომ პირნათლად შეესრულებია პარტიისა და ხელისუფლების დავალებანი. ამხ. ილუშა კიდევაც ასრულებდა ამ დავალებებს. მან ქართველ ებრაელთაგან პირველმა მოჰკიდა ხელი ღარიბ ებრაელობის შრომის ფერხულში ჩაბმის საქმეს.

უდროოდ გამოგვეცალა ხელიდან ამხ. ელიგულაშვილი, მაგრამ ჩვენ ცრემლები არ გვჭირდება. ჩვენ, გათვითცნობიერებული ახალგაზრდა ებრაელები, შემდეგშიც განვაგრძობთ დაუღალავ ბრძოლას ჩვენი ერის ჩამორჩენილ ღარიბ მშრომელთა კულტურული დონის აწევისა და მათ დიად სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმისათვის.

ა. ფიჩხაძე.

ქრონიკა

როგორ მიმდინარეობს მუშათა აღწერა

4 იანვრისათვის თბილისის მრეწველობაში აღწერა გაიარა 9.282 მუშამ, ალმშენებლობაში და წვრილ მრეწველობაში —2.933, ტრანსპორტზე და კომუნალურ წამოწყებებში — 4.612 კაცმა, სულ 16.827 მუშამ.

შენელდა მუშაობა ტრამვაიზე, კონდუქტორთა ბრიგადებში, სახკომრეწვის ფაბრიკაში, ალმშენებელთა პირველ საუბნო კომიტეტში და მეოთხე ქარხკომში, რაც აიხსნება იმით, რომ ქარხკომებმა ვერ მოაწყვეს მუშების დანიშნულ დროზე გამოცხადება აღწერაში გასატარებლად.

აღწერა წარმატებით ჩატარდა „ახალშენის" მექანიკურ სახელოსნოებში, სადაც მუშები წინასწარ გამზადებული პასუხებით მიდიოდნენ აღწერაზე.

ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის პლენუმი

დღეს, დილის 10 საათზე, სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატში გაიხსნება საქართველოს ომის ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელზედაც განხილული იქნება გასული საოპერაციო წლის ანგარიშები და მიმდინარე წლის მუშაობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

ორდღიანი სამოსწავლო შეკრება

ამხ. ფრუნზეს სახელობის მეორე ქართ. მსრ. დივიზიის მეორე საარტილერიო ლეგიონმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ იგი ატარებს ერთთვიან სამოსწავლო შეკრებას.

როგორც ლეგიონი განმარტავს, ერთთვიან შეკრების ნაცვლად ჩატარებული იქნება ორდღიანი სამოსწავლო შეკრება.

შეკრება დანიშნულია 12 იანვრისათვის. შეკრებაზე უნდა გამოცხადდნენ 1903, 1904, 1905 და 1906 წლებში დაბადებული ცვალებადი წითელი არმიელები და უმცროსი მეთაურები.

პოპულიარული ტეხნიკური ლიტერატურის გამოცემა

მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად დიდი მნიშვნელობა აქვს პოპულიარულ ტეხნიკურ ლიტერატურის გამოცემას, განსაკუთრებით ქართულ ენაზე, რომელზედაც ძალიან ცოტაა ასეთი წიგნები. დღემდე ამ საქმეს არ ჰქონდა მიქცეული ყურადღება, ეხლა კი ს. ს. ქ. ს. კულტგანყოფილებასთან დაარსდა პოპულიარული ტეხნიკური ლიტერატურის საგამომცემლო ბიურო.

პირველ რიგში დამუშავებული და გამოცემული იქნება ბროშურები შემდეგ თემებზე: ხარატის ჩარხი, იარაღების დამზადება, ფოლადის წრთობა, რკინის ცემენტაცია, ლითონის შედუღება და სხვ.

ტრამვაის მოძრაობის მოსაწესრიგებლად

როგორც აღნიშნული გვქონდა, ტრამვაის მოძრაობის მოწესრიგების მიზნით განზრახულია დაწესებულებებში მუშაობა დაიწყოს სხვადასხვა დროს.

თბ. ალმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ ამ მიზნით შეიმუშავა პროექტი, რომლის მიხედვით დილის 8 ს. მუშაობა უნდა დაიწყოს —სახ. კომისარიატებში, თბ. ალმასკომში და მის ქვემდებარე დაწესებულებებში.

შრომის სკოლებში მეცადინეობა დაიწყება დილის 8 ნახ. საათ.

ხოლო ვაჭრ. სახ. კომისარიატში, სახელმწიფო ვაჭრობის დაწესებულებებში, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებში და უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობა დაიწყება დილის 9 საათიდან.

სესხის განაღდების შემოწმება

ს.-ქ. ფინსახკომი და ა.-ქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი გუშინ შეუდგნენ იმის შემოწმებას, თუ როგორ მიმდინარეობს წარმოება-დაწესებულებებში ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციების ღირებულების განაღდება და შეკრებილი თანხების შეტანა ფინორგანოებში. გუშინ შემოწმება სწარმოებდა ქალაქის რაიონში, დღეს დაიწყება ლენრაიონში, ხოლო 9 იანვარს—26 კომუნარის სახ. რაიონში.

შემოწმებას აწარმოებს 400 მსუბუქი კავალერისტი.

თბილისის ლითონის ქარხანა

საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ წინადადება მისცა თბილისის ლითონის ახალი ქარხნის სააღმშენებლო სამუშაოთა სამმართველოს მიიღოს ზომები მშენებლობის ტემპის კიდევ უფრო დასაჩქარებლად.

ს. მ. უ ს. პრეზიდიუმის წევრს ამხ. ი. პეგცოვს დაევალა თვალყური ადევნოს ქარხნის მშენებლობას.

შინამრეწველთა აღწერა

15 იანვრიდან მთელ საქართველოში იწყება შინამრეწველთა აღწერა.

ხორცის გაცემა ნორმით

თბ. ალმასკომის ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილების ბრძანებით ხორცის ნორმით გაცემა იწარმოებს 10 იანვრიდან.

სას.-სამ. კოოპერაციის რეორგანიზაცია

ს.-ქ. სასოფლო- სამეურნეო ბანკი შეუდგა სასოფლო- სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების რეორგანიზაციას.

თბ. ალმასკომში

— კურსების ქარხნის დირექტორად, თბ. ალმასკომმა დანიშნა პრეზიდიუმის წევრი, რკ. გზის მუშა მ. მგელაძე.

— წითელ არმიის უფროსშემადგენლობისათვის საცხოვრებელი ბინების ასაგებად გადადებულია 300.000 მანეთი.

— რაიალმასკომების თავმჯდომარეთა გადასამზადებლად ალმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს მოკლევადიანი კურსები.

— საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულთა სია, ალმასკომის დადგენილებით, საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულთა სია გამოცემული იქნება ცალკე წიგნაკით და დაურიგდება წარმოება- დაწესებულებებს და სათანადო ორგანოებს.

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატში

— პენსია. დამსახურებულ მწერლებს, მსახიობებს და რევოლიუციონერებს პერსონალური პენსიის სახით დეკემბერში დაურიგდა 23.000 მანეთი.

— უსინათლოთა დახმარების სამდღიური ჩატარებული იქნება 17, 18 და 19 იანვარს.

სხვადასხვა

— საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობათა გამგეობების გადარჩევა დაიწყება 15 იანვრიდან.

მუშათა კლუბების გამგეობების და სარევიზიო კომისიების ხელახალი არჩევნები ჩატარდება 15 იანვრიდან.

◆ ოთხშაბათს, იანვრის 8, საღამოს 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება აკადემიკოს ნიკო მარის ლექცია რუსულ ენაზე: „წერა და ენა".

ხელოვნება

რუსული მუშათა თეატრი

„უცნაური ადამიანი" („ჩუდაკ")

პიესა აფინოგენოვისა. დადგმა გრიპიჩის

სულ უფრო და უფრო იპყრობს ჩვენ სცენას, განსაკუთრებით რუსული თეატრისას, საწარმოო ცხოვრების სიღრმიდან ამოღებული თემები. წარმოება ახალი ადამიანების სკოლაა, მის ირგვლივ იქმნება უახლესი და მოწინავე ყოფა-ცხოვრება, იქ ყალიბდება ახალი, გარდამავალი ეპოქის ფსიქოლოგია და ეთიკა. და ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მით უფრო წარმატებით იზრდება, რაც უფრო ვითარდება სოციალისტური ფორმები შრომისა და თვით წარმოების სოციალისტური ხასიათი. პროლეტარული ფსიქოლოგიის ადამიანს ჰქმნის ახალი ტიპის წარმოება, მაგრამ თვით ეს ახალი ტიპის წარმოებაც თავისი მხრივ პროლეტარმა უნდა შექმნას.

პიესა „უცნაური ადამიანი"-ს ცენტრში ახალი ტიპის, საწარმოო ფრონტზე მებრძოლი პროლეტარული ფსიხოლოგიით გამსჭვალული ადამიანის პრობლემა სდგას. პიესა განსაკუთრებით იმით არის საინტერესო, რომ მასში ჩვენი საბჭოთა დრამატურგის შაბლონები დარღვეულია. ყველა საწარმოო პიესებში მხოლოდ და მხოლოდ მუშები არიან წარმოების სოციალისტური გარდაქმნით დაინტერესებულნი, ისიც უმთავრესად პარტიულები. ლენინი კი ამბობდა, რომ მარტო პარტიულების ხელით არ შეიძლება სოციალიზმის შენება. ეს ჩვენ დრამატურგებს ხშირად ავიწყდებათ. „უცნაური ადამიანი"-ს ავტორმა დასვა ასეთი პრობლემა: შეიძლება თუ არა ამა თუ იმ საწარმოო უბანზე სოციალისტური მოძრაობის (დამკვრელი ბრიგადის —„ენტუზიასტთა წრის", როგორც პიესაშია ნახმარი) ბელადათ უპარტიო, სოციალიზმის იდეის ენტუზიასტი სპეცი მოგვევლინოს? და ავტორი მტკიცე გამბედაობით სწრის ამ საკითხს: დიახაც შეიძლება! ოღონდ საჭიროა, რომ ეს უპარტიო ადამიანი არა ნაკლებ მოწინავე ბოლშევიკებისა, და ხშირად ზოგიერთი ჩამორჩენილი პარტიული ერთეულების ნების წინააღმდეგაც უშუალოდ დაუკავშირდეს მუშათა მოწინავე მასებს და სრული შეგნებით გაიმსჭვალოს სოციალიზმის იდეებით.

ვოლგინიც ასეთი უპარტიო სპეცია (დაბალი კვალიფიკაციის სპეცი). ის იწყებს პატარა, პროვინციაში მივარდნილ ქარხანაში „ენტუზიასტთა წრის" ჩამოყალიბებას, მოწინავე მუშებს სათავეში უდგება და ამით თავის წინააღმდეგ იმხედრებს ყველა ბიუროკრატებს, ჩინოვნიკებს, მტაცებლური განწყობილებით გამსჭვალულ „მუშებს". ვოლგინი აქტიურად იბრძვის ანტისემიტთა წინააღმდეგ. აქ ჩვენ თვალწინ იშლება გულშემზარავი სცენები ებრაელი ქალი მუშის სასტიკი დევნის და თავის დაღრჩობის სურათები. ვოლგინი დამარცხებულია. ანტისემიტები ბატონობენ. „ენტუზიასტთა წრე" დაშლილია. ვოლგინი მოხსნილია —მის ჩინოვნიკ ამხანაგებს უკვირთ ამ ადამიანის უცნაურობა: რა უჭირდა, კაცი სპეცი იყო, რას იპირებდა საქმეს, ემსახურნა მართლად და ყურმოჭრილად. მაგრამ არა ის „მოსამსახურე" კი არ არის, არამედ ფრონტის კაცი, მებრძოლი, და ბედი ჩინოვნიკისა მას არ აკმაყოფილებს. აქედან მისი „დამარცხებები", მაგრამ აქედანვეა მისი გამარჯვებაც. ის იძულებულია დატოვოს ქარხანა, წავიდეს სხვაგან— მაგრამ ეს არ გავს გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან"-ის გმირ ჩაცკის სასოწარკვეთილ დეზერტირობას ცხოვრებისაგან. ის მიდის ახალ ბრძოლების შესახვედრად, საბოლოოდ მისი ხაზი იმარჯვებს.

პიესის დადგმა აუცილებლად შეეფერის პიესის დედა აზრს. გრიპიჩს, ამ დადგმაში სცენიურ ეფექტების ნაცვლად უფრო მეტი ტიპაჟის დამუშავებაზე და ცალკე სცენების მოცემაზე მიუქცევია ყურადღება. და მართლაც ასეთი პიესის მოცემა არ შეიძლებოდა ზერელე ეფექტებით— ის ღრმად უნდა დამუშავებულიყო. კარგია ვოლგინის როლის შემსრულებელი. კარგია „კანცელიარიის თაგვი" — რეგისტრატორი და მემანქანე ქალი

საერთოდ, ეს დადგმა დიდი პლიუსია რუსული მუშათა თეატრისთვის.

3.

გამოქვაბულის აღმოჩენა

კახეთის ოლქში მდ. იორის ხეობაში სოფ. მალარისა და ბოდბის საზაფხულო საძოვრების მიდამოებში სახ. უნივერსიტეტის სტუდენტმა დიმ. მონაშვილმა აღმოაჩინა ძველი დროის გამოქვაბული ბერების საცხოვრებელი სენაკებით, საკუჭნაოებით და სხვა დანიშნულების სადგომით. გამოქვაბული გამოკვეთილია პიტალო კლდეში. იქვე აღმოჩენილ იქნა ძველი ეკლესიის ნანგრევები. ეკლესიის კედლებზე დღემდე დაცული აღმოჩნდა ზოგიერთი საინტერესო მხატვრობა.

ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის ყრილობა

მიმდინარე წლის 13 იანვარს თბილისში შესდგება ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის მეორე ყრილობა.

ყრილობის ამოცანების შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს ა.-კ. ავიაქიმში შემდეგი აცნობეს:

საზოგადოების პირველ ყრილობიდან გავიდა 2 ნახევარი წელიწადი. ამ დროის განმავლობაში საზოგადოება გაიზარდა, როგორც რიცხვობრივად, ისე ხარისხობრივად. ამჟამად საზოგადოებაში გაერთიანებულია 273.000 წევრი, 1972 წელს კი საზოგადოებაში ირიცხებოდა მხოლოდ 117.000 წევრი. საგრძნობლად გაიზარდა საზოგადოების პრაქტიკულ ორგანიზაციების რიცხვი. მაგალითად, ავიაქიმის კუთხეების რიცხვი უდრის 1190, სასროლო წრეების—158, ავიაქიმურ რაზმების— 58, სასოფლო-სამეურნეო წრეების —35 და სხვა.

საზოგადოება აწარმოებს ბრძოლას სოფლის მეურნეობის მავნებლებთან, რისთვისაც ჩამოყალიბებულია რაზმები, წრეები და მოწყობილია საცდელი მინდვრები.

დიდი ყურადღება ექცევა მშრომელთა გასამხედროებას და სასროლო საქმეს. ამასთანავე საზოგადოებას აქვს მრავალი ნაკლი, რომელიც ხელს უშლის მუშაობის გაშლა-გაფართოებას. ქალთა რიცხვი საზოგადოებაში ძალიან მცირეა, ქალები არ არიან ჩაბმულნი პრაქტიკულ საქმიანობაში.

საზოგადოებას არა აქვს დამყარებული სათანადო კავშირი სხვადასხვა ორგანიზაციებთან, როგორიც არის კომკავშირი, პროფკავშირები, ფიზკულტურა და სხვა.

საზოგადოებაში მოიპოვებიან მრავალი უცხო ელემენტები, რომლებიც ამოეფარნენ ჩვენს რიგებს და რომლებსაც არა აქვთ არავითარი კავშირი ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობასთან.

საჭიროა ასეთი ელემენტების გაძევება საზოგადოებიდან— საზ-ბის რიგების გადათვალიერების და წმენდის საშუალებით.

სუსტად არის გაშლილი აგრეთვე თვითკრიტიკა საზოგადოების ქვედა ორგანიზაციებში.

საზოგადოების მუშაობის ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენს მუშაობა სოფლად და ფინანსიური საკითხების მოუწესრიგებლობა.

მომავალმა ყრილობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა ამ დეფექტებს და გამოიტანოს სათანადო დადგენილება.

ავიაქიმის ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა— მომხს. ამხ.შ. ელიავა,2) საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მოხსენება— მომხს. ამხ. მალინოვსკი, 3) ა.-კ. ავიაქიმის საბჭოს ანგარიში— მომხს. ამხ. თურჩენკო, 4) საბჭოთა კავშირის თავდაცვის ამოცანები —მომხს. ამხ. ავქსენტიევსკი, 5) მუშაობა სოფლად— მომხს. ამხ. ბელენკი, 6) სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია— მომხს. ამხ. ზავრიევი, 7) კომკავშირის გასამხედროება— მომხს. ამხ. მურადოვი.

მოსამზადებელი მუშაობა ყრილობისათვის დამთავრებულია. ამიერ- კავკასიის რესპუბლიკების მსხვილ ქალაქებსა და საწარმოო ცენტრებში (თბილისი, ბაქო, ბათომი, ქუთაისი, განჯა, ერევანი ჭალარშაპატი) ჩატარებული იქნება მოხსენებები ა.-კ. ავიაქიმის განვლილი მუშაობის და ამოცანების შესახებ.

საგზაო-სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის დადგენილებით დაარსებულია დროებითი მუშათა საკონტროლო კომისია, საგზაო-სატრანსპორ. სამომხმარებლო საზოგადოების გამოსაკვლევად. კომისიას ხელმძღვანელობს ამიერ-კავკასიის მუშგლეხინის სოორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილება, კომისია არჩეულია რკინის გზის მთავარ სახელოსნოს, დეპოს და სავაგონო პარკის მუშათა საერთო კრებებზე. აღნიშნულ კომისიაში იმუშავებს თბ. ალმასკომის სავაჭრო კოოპერატიული კომისიაც, კომისიის განკარგულებაშია „მსუბუქი კავალერიის" ორმოცდაათი კაცისაგან შემდგარი კადრი. კომისიაში იმუშავებს ადგილობრივი რედაქციების წარმომადგენლებიც, კომისია გამოიკვლევს საგზაო-სატრანსპორტო კოოპერატივის ყველა მაღაზიებს, წერტილებს, პურის საცხობებს და საწყობებს.

გამომკვლევ კომისიის მთავარი მიზანია, გამოარკვიოს ყველა ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან სავაჭრო წერტილების ნორმალურ მუშაობას; თუ როგორ ნაწილდება წევრებს შორის სურსათ-სანოვაგე და დეფიციტიანი საქონელი. გამოკვლეული იქნება აგრეთვე ის მიზეზები, რომლებიც ქმნის კუდებს სავაჭროების წინ. გამოკვლევაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა მასამ—მომხმარებლებმა. კომისიას უნდა მიაწოდონ ყველა ცნობები, რომლებიც დაკავშირებულია პირველ მოთხოვნილების პროდუქტების არა სწორად განაწილებასთან.

კომისიის მუდმივი სამუშაო ადგილი მოთავსებულია ამიერ-კავკასიის პროფ. კავშირის საუბნო კომიტეტში (ყოფ. ელისაბედის და მუშტაიდის კუთხე, მეორე სართული). ცნობების მიწოდება სწარმოებს ყოველ დღე საღამოს ხუთი საათიდან რვა საათამდე. კომისიის თავმჯდომარე—ამხ. ბეჟუაშვილთან. კომისიის მუშაობა და გამოკვლევა გაგრძელდება დაახლოებით თხუთმეტი დღე.

ბიბლიოთეკების დასახმარებლად

საქართ. მთიელთა კულტ. საზოგადოების გამგეობა საბიბლიოთეკო ლაშქრობასთან დაკავშირებით მთის რაიონების ქოხ-სამკითხველოებს სწირავს 300 მან. ლიტერატურას და იწვევს თბილისის და საქართველოს საშეფო საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმს— ამავე რაოდენობის წიგნების შეწირვაზე მთის სამკითხველოებისათვის.

საქ. მთიელთა კულტ. საზოგადოების გამგეობა.

—:—

საბიბლიოთეკო ლაშქრობასთან დაკავშირებით შემაქვს საბიბლიოთეკო ლაშქრობის მთავარ შტაბში 50 (ორმოცდაათი) მანეთი და ჩემი მხრივ ამავე თანხის რაოდენობით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) ნადარეიშვილს, 2) პროფ. გუდუშაურს, 3) პროფ. კანდელაკს, 4) მხატვარ დ. ქუთათელაძეს, 5) მხატ. კობიძეს და 6) იაკობ ნიკოლაძეს.

აბ. ქუთათელაძე.

—:—

ამხ. აბ. ქუთათელაძის გამოწვევით საბიბლიოთეკო ლაშქრობის მთავარ შტაბში შემომაქვს 50 (ორმოცდაათი) მანეთი ფულად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) შალვა გოგებაშვილს, 2) დ. შევარდნაძეს, 3) სოტრიანს.

ს. ნადარეიშვილი.

სასამართლო

შეიარაღებული თავდასხმა

ითათბირეს მეგობრებმა: მამიამ მირონის ძე ჩიგოგიძემ და შოთა კონსტანტინეს ძე მასხულიამ იმის შესახებ, თუ როგორ გამდიდრებულიყვნენ ერთბაშად. მასხულიამ სთქვა, რომ მას არ აკმაყოფილებს ფეხსაცმელების სახელოსნოს შემოსავალი (ის ფეხსაცმელების მოხელეა). მამია ჩიგოგიძემ, რომელიც წნორის წყალიდან იყო თბილისში ჩამოსული, სთქვა, რომ სოფელში გაძლება მას არ შეუძლია, თბილისში უნდა „მოიმაგროს" ფეხი და ამისათვის ფული არის საჭირო.

მასხულიამ მეგობარს მიუთითა გამოსავალზე. ეს „გამოსავალი" იყო მუშკოოპის ხორბლეულის სექციის № 2 კანტორიდან ფულის გატაცება.

ჩიგოგიძემ მოიწონა მეგობრის აზრი გადაწყვიტა თავდასხმის მოწყობა. მეგობრებმა შეიძინეს რევოლვერები. გაბედულობის გასამლიერებლად ცოტა გადაკრეს სამიკიტნოში.

საღამოს 7 საათი იქნებოდა, როცა ისინი გარს უტრიალებდნენ ბაზრის ქუჩაზე მდებარე კანტორის შენობას, როცა ქუჩაზე ხალხის მიმოსვლა შედარებით შენელდა, ისინი მომარჯვებული რევოლვერებით შეცვივდნენ კანტორაში. იქ დაუხვდათ მოლარე და მცველი მილიციელი.

მასხულიამ მოინდომა მილიციელის განიარაღება, მაგრამ მილიციელმა სცადა წინააღმდეგობის გაწევა. მასხულიამ გაისროლა რევოლვერი. ტყვია ჯერ ფეხში მოხვდა მილიციელს, გავიდა ფეხიდან და ბარძაყში მოხვდა მასხულიას ამხანაგს ჩიგოგიძეს. წახდა საქმე. ამხანაგმა თავისივე ამხანაგი დასჭრა, მასხულიას გაქცევის მეტი რაღა დარჩენოდა. ასეც მოიქცა. მიატოვა დაჭრილი ამხანაგი. დაჭრილმა ჩიგოგიძემ სცადა გაქცევა, მაგრამ მილიციელმა შეიპყრო.

მასხულია ერთი თვის განმავლობაში იმალებოდა. შემდეგ კი აღმოჩენილ იქნა ქალაქიდან მოშორებით ტყეში.

თავდამსხმელების საქმე გადაეცა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომელიც ამ დღეებში მოაწყობს მათ გასამართლებას.

დახვრეტა ყაჩაღებს

გუშინ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ქ. ზუგდიდიდან მიიღო დეპეშა, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს სესიამ ამხ; ბოცვაძის თავმჯდომარეობით, რომელიც საჯაროდ ასამართლებდა ადგილობრივ მცხოვრებთა ამაწიოკებელ გაუსწორებელ ყაჩაღებს, უკვე გამოიტანა განაჩენი.

ორ გაუსწორებელ ყაჩაღს: ესტატე ზოსიმეს ძე ჩუხუას და იონა ტარასის ძე ქემულარიას მიესაჯა სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება დახვრეტა.

ვერ.

შემთხვევები

ტრამვაის მსხვერპლი

ტრამვაის ვაგონი № 229 (მარშრუტი პირველი) მუშტაიდის ქუჩაზე (სახლი № 7 პირდაპირ), დაეჯახა ბესარიონ ბესარიონის ძე გოცირიძეს, რომელიც ქუჩაზე გადადიოდა. გოცირიძეს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს რკინის გზის საავადმყოფოში.

საავადმ ოფოში მიყვანისას გოცირიძე გარდაიცვალა.

ვატმანი ალექსანდრე ჩიჩუა დაპატიმრებულია.

ქურდობა ურთიერთდამხმარე სალაროს შენობაში

ვიღაც ბოროტმოქმედებმა ურთიერთდამხმარე სალაროს შენობიდან (პუშკინის ქუჩა № 4) მოიპარეს ყუთი სხვადასხვა მედიკამენტებით.

ჯიბგირობა

ვალერიან პავლეს ძე გორგოსლაძეს სახმედვაჭრობის მაღაზიაში (კომინტერნის ქ.) ჯიბიდან ამოაცალეს 266 მანეთი,—ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ტონიევს ვიღაც ბოროტმოქმედმა ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალა 76 მანეთი და მიიმალა.

ქურდობა

გაქურდეს ისრაილ ეგიაზაროვის სახელოსნო (ბაზრის ქ.)—საიდანაც წაიღეს 250 მანეთის ნივთიბი,—ბარბალე არაქელოვას სავაჭრო დუქანში (რიყის ქ. № 8) მოპარეს ოქროს საათი,—გარდა ამისა, 6 იანვარს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 4 შემთხვევა.

შეპყრობა

დაპატიმრებულია არსენ მელიქის ძე გრიგორიანცი (ოზინაო), რომელსაც ბრალდება აშ. ტერ-მელიქსიდოვის ბინის (მილიციის ქ. № 19) გაქურდვა.

რა ხდება ადგილებზე

ფ.-ტელ. ორგანოების მუშაობის შემოწმება

ხონი, 7 იანვარი (საქ. კორ.). ადგილებზე კავშირ -გაბმულობის ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და აღნიშნულ ორგანოების მასასთან დაახლოვების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან გამოყოფილ იქნა ფოსტის მუშაობის შემმოწმებელი სარაიონო კომისია რომელიც ხელმძღვანელობს ადგილებზე დათვალიერების საქმეს. კომისიამ გააცხოველა მუშაობა საანგარიშო მოხსენებებით და სხვა ღონისძიებებით, მაგრამ ამ საქმეში მოისუსტებს მასის აქტივობა.

ი. ფალავა.

საბჭოთა არჩევნები აჭარისტანში

ბათომი, 7 იანვარი (საქ. კორ.). ამჟამად აჭარისტანში მიმდინარეობს საბჭოთა არჩევნები. მთელი აჭარისტანი დაყოფილია 200 საარჩევნო პუნქტად. არჩევნები უკვე დამთავრდა ხულოს მაზრაში. დღეს დამთავრდება ქედის მაზრაში და 17 იანვარს ქობულეთის მაზრაში. არჩევნები სწარმოებს ღარიბთა ჯგუფების და საშუალო გლეხობის აქტიურ მონაწილეობით. სიების გადასინჯვის დროს, მრავალ კულაკს და ანტისაბჭოთა ელემენტს, რომლებიც შეპარული იყვნენ საბჭოებში, წაერთვა ხმა.

პ. ჟ.

თემსაბჭოების მუშაობის გასაძლიერებლად

ბათომი, 7 იანვარი (საქ. კორ.). აჭარისტანის თემსაბჭოების მუშაობისა და სოფლად პარტმუშაობის გაძლიერების მიზნით პარტიულმა კომიტეტმა გაგზავნა 26 კაცი ერთი თვის ვადით

პ. ჟ.

1.650,000 მან. აჭარისტანის სახალხო მეურნეობისათვის

ბათომი, 7 იანვარი (საქ. კორ.). საქ. მთავრობამ აჭარისტანის სახ. მეურნეობის განვითარების მიზნით ბიუჯეტის გარეშე გაიღო 1.650.000 მან. აღნიშნული თანხა მოხმარდება საგზაო და სამრეწველო მშენებლობას და სუბტროპიკული მეურნეობის გაშენებას.

პ. ჟ.

მანდარინების დამზადება

ბათომი, 7 იანვარი. მიმდინარე წელს აჭარისტანში მანდარინების არაჩვეულებრივი მოსავალია. რეალიზაციას აწარმოებს „აჭარკრედიტკავშირი". გეგმის მიხედვით უნდა დამზადებულიყო 20 მილ. ც. მანდარინა, მზადდება კი 32 მილიონი ცალი. მანდარინების დიდი ნაწილი იგზავნება საბჭოთა კავშირის ქალაქებში. ჯერ-ჯერობით გაგზავნილია 176 ვაგონი. გარდა ამისა, საზღვარ-გარეთ (გერმანიაში, შვეციაში და ესპანეთში) გაგზავნილია 8 ვაგონი მანდარინა.

პ. ჟ.

რკინის გზებზე

ჩქარი მატარებლის დამტვრევა

დაშავდა 6 კაცი— დაიმტვრა სამი ორთქლმავალი და ორი ვაგონი

7 იანვარს ჩქარმა მატ. № 17 (თბილის- მოსკოვი) სადგ. მინგეჩაურში დაეჯახა საბარგო მატარებელს. დაჯახების დროს დაიმტვრა სამი ორთქლმავალი და ორი სამგზავრო ვაგონი.

დაშავებულია სამივე ორთქლმავლის მემანქანეები და მათი თანაშემწეები. მგზავრებიდან არავინ დაშავებულა.

კომისიის გამგზავრება

შემთხვევის ადგილზე დაჯახების მიზეზების გამოსაკვლევად გუშინ დილით გაემგზავრა სპეციალური კომისია.

დაწვრილებითი ცნობები

შემთხვევის ადგილიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, მატარებლების დაჯახება მომხდარა შემდეგ პირობებში:

სადგ. მინგეჩაურში ჩქარ მატ. № 17 (თბილისი--მოსკოვი) შესვლის წინ, ბაქოს მხრიდან სადგურში შემოვიდა საბარგო მატ. № 2002 მიმწოლი ორთქლმავლით.

მიმწოლი ორთქლმავალი, რომელსაც მართავდა მემანქანე ქარაჩევსკი, შეერდა შესასვლელ ისრებთან.

სადგურის მორიგე ქასხუმოვმა არ გამოარკვია, თუ სად იყო გაჩერებული მიმწოლი ორთქლმავალი (ე. ი თავისუფალი იყო თუ არა გასასვლელი ისრები) და, დარწმუნებულმა იმაში, რომ გზა თავისუფალია გაუშვა ჩქარი მატარებელი.

სადგურის გასასვლელ ისრებთან ჩქარი მატარებელი დაეჯახა მიმწოლ ორთქლმავალს. დაჯახების დროს დაიმსხვრა ჩქარი მატარებლის ორი ორთქლმავალი, მიმწოლი ორთქლმავალი და დაიმსხვრა ჩქარი მატარებლის ორი ვაგონი.

დაშავებულები

დაჯახების დროს მძიმეთ დაშავდნენ სამივე ორთქლმავლის მემანქანეები და მათი თანაშემწეები. მგზავრებიდან დაშავებული არავინ აღმოჩნდა. დაშავებულებს სასწრაფოდ აღმოუჩინეს საექიმო დახმარება.

მოძრაობა შეწყვეტილია

სადგურ მინგეჩაურიდან გასასვლელი ისრები დაკავებულია დამსხვრეულ ორთქლმავლებით. მოძრაობა ბაქოსკენ შეწყვეტილია. განჯიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებლები საექიმო პერსონალით.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა „უსინათლოთა საზოგადოების" სამდღიურის ჩატარების შესახებ

უსინათლოთა საზოგადოების მატერიალური სახსრის გაძლიერებისა და მისი იდეების და მიზნების პოპულარიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი— ადგენს:

1. ნება დაერთოს „უსინათლოთა საზოგადოებას" მოაწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამდღიური 1930 წლის იანვრის 17—19 ამ დადგენილების ქვემოაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ საფუძველზე:

2. აღნიშნულ ვადის (იანვრის 17—19) განმავლობაში „უსინათლოთა საზოგადოებას" ნება დაერთოს:

ა) შეაგროვოს ფულადი ნებაყოფლობით შემოწირულებანი ყველგან—ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებების სადგომებში;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები საზოგადოების მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრების სადგომები, აგრეთვე რადიო-გადაცემა.

3. შემოღებულ იქნეს სამდღიურის განმავლობაში დაბეგვრის სახით „უსინათლოთა საზოგადოების" სასარგებლოდ სპეციალური გამოსაღები ყველა გასართობ საწარმოებში (თეატრი, კინო, კონცერტი, ცირკი, საბილიარდო) შემოსავალზე ბილეთის ღირებულების 10 პროც. რაოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებული იქნება იმ გამოსაღების გარეშე, რაც საამისოდ დაწესებულია საკავშირო კანონმდებლობის წესით.

4. ამ დადგენილებით აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებას „უსინათლოთა საზოგადოება" ამ მიზნისათვის მოწყობილი სამდღიურის ჩამტარებელი განსაკუთრებული მთავარი რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1929 წ. დეკემბრის 28.
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 8 იანვარს, დღის თორმეტ საათზე ამხ. ეოღარაშვილთან (ოთახი 18) შესდგება რედაქტორების თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ: ამხ. ტაბოლიძე („ზარია ვოსტოკა"), კიკნაძე ან ქუთაშია („კომუნისტი"), ფილია („მუშა"), საყვარელიძე („ახალი სოფელი"), მახარაძე („ახალგაზრდა კომუნისტი"), ვართანიანი („პროლეტარი") რაბოჩე-ზალი („ენიკენდ"), სიხარულიძე („მოგ. ხმა"), ხომასურიძე („ჩვენი კოოპერაცია"), გუგუშვილი (სახ. ვაჭრობის სახ-ბა).

დღეს საღამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბ. საოლქო კომიტეტის პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის პროსპექტი № 21 მესამე ეზოდან) შესდგება კონსულტაცია შემდეგ თემაზე: „საგაზაფხულო თესვის კამპანიის ამოცანები",—კონსულტანტი ამხ. გორდელაძე.

კონსულტაციას აუცილებლად უნდა დაესწრონ საშეფო საზოგადოების უჯრედების თავმჯდომარეები, კ. პ. და კომკავშირის უჯრედების აგიტპროპორგანიზატორები და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიათა წარმომადგენლები.

9 იანვარს დილის 12 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. სუხიშვილის კაბინეტში შესდგება თათბირი შემდეგ საკითხზე: 1928—29 წლის სააღმშენებლო სეზონის შედეგები და მზადება 1929—30 წლის სააღმშენებლო სეზონისათვის. თათბირზე აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: პეცკოვი (საქ. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო), გარინი (საქ. საშრეწველო მშენებლობის საქკომ საზ.), ოდილავაძე (თბილისის ალმასკომი), თხილავა (სოფ. მრეწვ განყ.), სერედა („ახალშენი"), ჯაოშვილი („ბინათკავშირი"), შარიფულაშვილი („შრომის სახ. კომისარიატი"), მინასი („შრომის ცენტრ. ინსტიტუტი"), საიკიანი ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო), ლაზარევი („საქ. სახვაჭრობა"), მესხი (ფინსახკომი), საქ. პროფსაბჭოს საქ. მ. გ. ინსპექციის, სარეწაო კოოპ. კავშირის, წარმომადგენლები მექანიკური ქარხნის და ავეჯის ქარხნების დირექტორები, ადგილკომის თავმჯდომარეები, კოლუჯრედების და კომკავშირის უჯრედების მდივნები, ლოსონტი (აღმშენებელთა კავშირის ც. გამგეობა) და მიახრიევი (ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოსთან არსებული სააღმშენებლო კომიტეტი).

—

საქ. კ. პ. (ბ) ლენრაიკომი აცხადებს, რომ ერთეულმა ამხანაგებმა, რომლებსაც აქამდე არ გაუვლიათ პარტწმენდა, ასეთი უნდა გაიარონ: 8 იანვარს დღის სამ საათზე, თამბაქოს ფაბრიკა პროლეტარის შენობაში—„ხის ნაწარმის", „პროლეტარი"-ს, რკინის გზის მუშაკის და საქ. გზის საშემოსავლო დარგის ჯგუფურ კრებებზე; 9 იანვარს, საღამოს 6 საათზე მატერიალური დარგის მეორე უბნის წითელ კუთხეში (საბჭოთა ქუჩა № 108)— მატერიალური დარგის მეორე უბნის, განათლების მუშაკთა კავშირის, სახკინმრეწვის, მოძრაობის დარგის, პოლიტგანათლების, კალინინის სახ. ქარხნის, საბარგო სადგურის, სავაგონო პარკის, მატარებლების ბრიგადის, რკინის გზის საავადმყოფოს, ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზ. და 26 კომუნარის სახელობის ქარხნის ჯგუფურ კრებაზე; 10 იანვარს, დღის 3 საათზე—მაუდის ფაბრიკაში შესდგება მაუდის ფაბრიკის და ანბათმშენებლობის უჯრედების კრებაზე; ამხანაგები, რომლებიც ხსენებულ რიცხვში არ გაივლიან წმენდას ჩაითვლებიან მექანიკურად გამორიცხულად.

—:—

დღეს, 8 იანვარს, საღ. ხრულ 5 საათზე მელითონეთა კლუბის სალექციო დარბაზში მოწვეულია საქ. ახ. ლ. კ. კავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის საერთო-საქალაქო კრება. საგაზაფხულო თესვის კამპანიის საკითხებზე.

კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, საქ. ცეკას და თბილისის კომიტეტის წევრები კრებაზე შედიან თავისი მანდატებით. დანარჩენი ამხანაგები კი სათანადო ბარათებით, რომელიც გაცემული იქნება რაიკომების საშუალებით.

—:—

ოთხშაბათს, 8 იანვარს საღამოს 7 საათზე შესდგება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ა. ლ. კ. კ. პირველ უჯრედის ღია კრება. დასწრება წევრთათვის სავალდებულოა.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 8 იანვარი

თბილისის რადიო სადგურიდან დღეს გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა: დილით—მუშათა ვარჯიში, ახალი ამბები და კონცერტი. ცოცხალი—მუსიკა ნასადილევს, დედისა და ბავშვებისთვის საათი—სომხ. ენაზე, ოქტომბრელის საათი, მუსიკალური საათი—განმარტებებით რუსულ ენაზე, რადიო გაზეთი ქართულ ენაზე, დაუსწრებელი კოოპერატიული კურსები რადიოთი, ქართულ ენაზე, დაუსწრებელი კომუნისტური უნივერსიტეტი რადიოთი, ლექცია „თვითგანვითარების ტეხნიკა"—ქართულ ენაზე, ლექცია ხუთწლიანი გეგმის ციკლიდან თემაზე—„სოფლის მეურნეობა" (ქართულ ენაზე), დროის შემოწმება, რადიო გაზეთი—რუსულ ენაზე, გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები, კომპოზიტორ რუბინშტეინის ხსოვნის აღსანიშნავად მოწყობილ კონცერტის ტრანსლიაცია სახელმწიფო კონსერვატორიიდან.

უ. ხლოფსი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 7 იანვარს ტრაღიკულათ გარდაიცვალა მათი გულითადი მეგობარი

ბესარიონ (პაკნაჭა) ბესარიონის-ძე გოცირიძე

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე, გრიბაედოვის ქ. № 3. (ა)

დამწუხრებულნი მშობლები: სილოვანი და სოფიო შუბლაძეები შვილებით: მილიცა, ვიქტორი, ფელიცა, ქმარი შარაბიძე, სიძე როინაშვილი აუწყებენ, რომ 9 იანვარს, ქუთაისში ოლასკურას სასაფლაოზე გადაბძილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

ლენა შუბლაძის ასულ შარაბიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 01

მწუხარებაში მყოფი შვილები: ვლადიმერ, ჯიმშეთი, შოთა, მარო, დედა მართა, დები: ვარდო, ოლღა, ძმა ექიმი ავთანდილ ინგოროყვა მეუღლით, მაზლი ყარამან კალანდარაშვილი, მული: კატო გუბელიძე იუწყებიან, რომ მათთვის დაუვიწყარ

ბაბინე პორფილეს ასული ინგოროყვა-კალანდარიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 11 იანვარს, 2 საათზე, (ოზურგეთის მაზრა, სოფ. მაკვანეთი). 106

გაუბ დურებული მ ეუღლე ევგენია ჩიტიაშვილისა, სიდედრი, ძმა ილო, და ანა, სიძე გიგუია ვახტანგიშვილი, ცოლისძმა თედო ონოფრეშვილი ცოლით და რძლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 9 იანვარს, 2 საათზე, საბურთალოს სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

კოტე ჩიტიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 102

სამუდამოდ გულმოკლული დედა მარიამი, მეუღლე ლუბა, დები ნადია და ელენე, რძლები მერი და მერიკო, ძმა კოლია დანელიები და სიძე გრიგოლ გველესიანი შვილებით: თაკო, მარგო და ქეთო აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 4 იანვარს, მოსკოვში, კრემლის საავადმყოფოში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უძვირფასესი და საყვარელი

შალვა დიმიტრის-ძე დანელია

სამოქალაქო პანაშვიდი იანვრის 9, სალ. 6 საათზე ძმელაძის ქ. (ყოფ. საპიორის) № 26. დაკრძალვა მოსკოვში. 2 1 103

დამწუხრებულნი მეუღლე მეტია, ვაჟიშვილები: არჩილი და ევტიხი თავიანთი ცოლშვილით; გრიშა და აკაკი; ქალიშვილები თავიანთი ქმრიშვილით, მარო, კატო, ეფროსია და ნინა; დები ანასტასია (ბუჭუა) გვალავაძე და მელანია სარიტანიძე; სიძეები თავიანთი ცოლშვილით: ლევან ხუჭუა, გრიშა ფრანგიშვილი და შალიკო ეჯიბია აუწყებენ თავიანთ ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს, რომ სოფელ ნოსირში უეცრივ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ესაია გაზუეს-ძე ზარკალაია

და რძალვა სოფ. ნოსირში, შაბათს, 11 იანვარს. ნ. 55

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნატალია ემილიანეს ასული შვილები. ნიკიფორე, ვერა, ვარლამი, თამრო და გოგი კობალაძეები; სიძეები დიმიტრი მთვარელიძე და დათიკო ცაგარეიშვილი; შვილიშვილები: სამურა, ირაკლი და ლეილა აუწყებენ საზოგადოებას, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი მამა

პარმენ გიორგის-ძე კობალაძე

დაკრძალვა 9 იანვარს. გამოსვენება 1-ლ კლინიკურ ინსტიტუტიდან (ყოფ. ალექსანდროვის) 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე. 117

ნინა, ირაკლი, ანა, თამარა, მიხეილ, მარიამ, ალექსანდრე და ვერა დემურიშვილები, ოლღა გიორგის ასული შულცი ქმარით, პავლე და სოფიო ბაზიაშვილები იუწყებიან ძვირფასი მამის, სიმამრის და სიძის

გიორგი ივანეს-ძე დემურიშვილის

გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება დღეს, 8 იანვარს, საღამოს 4 საათზე და 15 წუთზე განსვენებულის ბინიდან (ვერა, ფასანაურის შესახვევი № 12), ვერის ახალ სასაფლაოზე. 120

ალექსანდრე ლუარსაბის ძე ხუციშვილი მეუღლით—მარიამ ნიკოლოზის ასული, შვილებით: ალექსანდრე, მარიამ და ლუარსაბ, რძლებით ნატალია ნიკოლოზის ასული და ეკატერინე ვასილის ასული აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძა

გიორგი ივანეს-ძე დემუროვი

(ვერა, ფასანაურის შესახვევი 2) 116

მეუღლე ვასო, სიდედრი ნინო, სიმამრი კონსტანტინე, მაზლი ვლადიმერ და ნიკო, რძალი ფლორენცია, მაზლიშვილები შუშანა, შაკო და კუკუ, მული ოლღა, კატო და ნადია ხუციშვილები, სიძე გიორგი კვასხვაძე, ამასიელ ტიკარაძე და იესე გაბეჩავა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 9 იანვარს ნაშუადღევის 4 საათზე შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ

ჟენია (ევგენია) ხუციშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად (კუკიის სასაფლაოზე). (ე)

ღრმად დამწუხრებული მშობლები: სოლომონი და მარიამი, ძმები: ვანო, გიორგი, ნიკო, არასი, და თამარა, რძალი მარგალიტა აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 7 იანვარს ყაზბეგში უეცრად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი, სახ. უნივერსიტეტის პედაგ. ფაკ. II კურ. სტუდენტი

ალექსი სოლომონის ძე ხეთაგური

დაკრძალვა მოხდება სოფელ ყაზბეგში. (ს)

ხუთშაბათს, 9 იანვრიდან

კინო-თეატრებში პალასი და მინიონი

სეზონის საუკეთესო ფილმი

ძველი და ახალი

დადგმა რეჟისორის ს. ეიზენშტეინის და ალექსანდროვის.

შენიშვნა. საფაბრიკო საქარხნო კომიტეტებს დაკვეთით კინო პალასის და მინიონის გამგეობასთან სწარმოებს წინასწარი ჩაწერა სურათის კოლექტიური ნახვისათვის. ნ. 45

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი

ოთხშაბათი 8 იანვარი, მე-3 აბონ. მე-6 წარმ. დამსახ. მსახ. ე. მ. პოპოვას მონაწილეობით რიგოლეტო

ხუთშაბათს, 9 იანვარს, მე-11 აბონ. მე-2 წარმ. ფატმა მუხტაროვას და ნ. ნ. ოზეროვის მონაწ. კარმენ

ხუთშაბათს, 10 იანვარს, მე-6 აბონ. მე-6 წარმოდგენა ვ. რ. ხლივინსკის მონაწ. I. ჯამბაზები II. კონცერტი.

ყველა საბონ. წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი იყიდება ჩვეულებრივი წესით. ნ. 43

აპოლო — უცხოეთის საუკეთესო ფილმი მეორე სიცოცხლე აგნეს ესტერგაზის და ფერაროს მონაწ.

პალასი — ჟენი იუგო და ვერნერ კრაუსი სურათში მინისტრის ცოლი

სოლეი — მხატვრული კომედია ლეიტენანტი რილეი დუგლას მაკ-ლინის მონაწ.

მალე: „ძველი და ახალი"

არფასტო — I სეანსზე კულტფილმი ავადმყოფი ნერვები II, III და IV სეანსებზე ლედი გამილტონი

მინიონი — კომედია გაროლდ ლოიდის მონაწ. მე-7 ცაზე

დარბაზი — მხატვრული ფილმი უძლეველნი სატირიკოს შაცკის და მომღერალი ქალის ლოსევას გასტროლები 0—4

თბილისის ცირკი

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელ. 8—94.

ოთხშაბათს, 8 იანვარს

ცირკის ხელოვნების თაიგული

პირველათ თბილისში ბრაუნი

კომიკური სცენები ცირკის კომიკების მონაწილეობით

ჩარლი ჩაპლინი ახალ როლში.

დირექცია. ნ. 50

ერთ ოთახს ვეძებ

სასურვ. 1-ლ და მე-2 რაიონი მისამ. 1-ლი პარალელური № 10 ა. ბოჭორიშვილი. 122 2—1

საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტს სჭირდება

ბორჯომის ხბტკ ჩე ქარხნისათვის:

მთავარი ბუღალტერი, გაცნობილი წარმოებასთან, ბუღალტერის თანაშემწე და 2 მოანგარიშე ახალციხის ხე-ტყის სახერხ ქარხნისათვის: 1 ბუღალტერი—სასურველია სატყეო ანგარიშ-წარმოების ცოდნა. ჯამაგირები შეთანხმებით. სავალდებულოა ქართული ენის ცოდნა პირობების გაგება შეიძლება საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტის ცენტრალურ ბუღალტერიაში: თბილისი მაჩაბელის ქ. № 1. ნ. 52 2—1

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № 6 (ყ გუდოვიჩის) სოლოლაკში. ტელ. 25—73. 5—21

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 13 6

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედნის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილის და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—1

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5 7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის პრ. კუთხე. ტელ. 10—14. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მსახეო სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 14. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-მდე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—21

ნინო მირიანაშვილი ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს ტრიპერი, სიფილისი, შესხმა 914" (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნე ლებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება დილით— 7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 1—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 552,

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01. 25—1

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ყოფ. ფრეილიხის ქ. № 1. ალმასკომის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ქორფულის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

თბილისის ქალაქის ლომბარდი

ამით აცხადებს, რომ 12 იანვარს დილის 10 საათზე განყოფილებაში (პლეხანოვის პრ. № 50) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია განყოფილების დარბაზში (პლეხანოვის პრ. № 50). ნ. 48

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— საანგ. წიგნ.— სერგო სიმონის-ძე სიროტინის სახელზე. ნ. 47
— პურ. წიგნ. (6-სულ.) № 3952, გაც. ქუთ. მუშკ. მიერ—პლატონ კვიცარიძეს სახელზე. ნ. 47
— კოოპ. საფ. წიგნ. № 1/7311, გაც. ქუთ. მუშკ. მიერ—ამბაკო აბაზაძეს სახელზე. ნ. 47
— პირად. მოწმ. № ბ/89—ნინა ალექსის ასული ბარბაქაძეს სახ. ნ. 47
— ბეგარის მოხდის მოწმ. № 52 და სოციალური მდგომარეობის მოწმ. № 1848, გაც. ვოდოგნის თემალმასკომის მიერ - ვაოდენ კვეზელმაძეს სახელზე. ნ. 47
— მუშკ. წიგნ. № 419, გაც. ქუთ. მუშკ. მიერ—სილიბისტრო ონისიმეს-ძე სუთიძეს სახელზე. ნ. 47
— კოოპ. საფ. წიგნ., გაც ქუთ. მუშკ. მიერ ბესარიონ მინდიაშვილის სახელზე. ნ. 47
— კოოპ. საფ. წიგნ. № 2062—აგრაფინა გაბრიაძეს სახელზე. ნ. 47
— საფ. წიგნ. № 1148764, გაც. ქუთ. ფეიქართა პ/კავშირის მიერ—თამარა სიმონის ასული ლეჟავას სახელზე. ნ. 47
— სამხ. აღრიცხვ წიგნ. № 2033—ტარასი ბაზუკაძეს სახელზე. ნ. 47
— სავაჭრო სარეგისტრაციო მოწმ. № 2684 - კირილე და არტემ ობოლაძეების სახელზე. ნ. 47
— პირად. მოწმ. —ვასილ ივანეს-ძე ანუფრიევის სახელზე. ნ. 47
— პურის წიგნ. —დავით გიორგის-ძე დანგაძეს სახელზე. ნ. 47
— პურ. წიგნ. (3-სულის)—ნინა ბესარიონის ასული დანგაძეს სახ. ნ. 47
— კოოპ. წიგნ. საფ. წიგნ. № 7141, გაც ქუთ. კოოპ. მიერ - შალვა ბობოხიძეს სახელზე. ნ. 47
— საწევრო წიგნ. № 5902, გაც. ქუთ. მუშკ. მიერ—ბაჩუ ბოჭოხიძეს სახელზე. ნ. 47
— საკავშირო მანდ. № 42417—გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ჩიქვანიას სახელზე. ნ. 47
— დამმ. საანგ. წიგნ., გაც. ქუთ. უზრუნვ. განყოფ. მიერ—ტუფა სიმონის ასული მორჩაძეს სახელზე. ნ. 47
— სტუდენტობის მოწმ. გაც. სახელ. უნივერ. აგრონომ. ფაკულტეტის მიერ მირიან ანტონის-ძე ბერძენიშვილის სახელზე. 100
— მეტრ. ამონაწ.—ნინა მამისთვალოვას სახელზე. 104
— პირად. მოწმ.—მატრონა თავამაიშვილის სახელზე. 105
— რძის ტალონი ნიკოლოზ ორკუზნელის სახელზე. 107
— სამხ. წიგნ. —ელ დიმერ ხარაბაძეს სახელზე. 108
— მეტრიკული ამონაწ.—გერმან მანჯავიძეს სახელზე. 121
— დამზღვ. სალაროს წიგნ. № 3, და რემედასის წიგნ. № 13359 - კოლა პაპავაძეს სახელზე. 109
— ლომბარდის ქვითარი № 031437 და სამხედრო განათლების მოწმობა — ივანე ბოლქვაძეს სახელზე. 110
— მუშკ. წიგნ. № 5571 არამაის ზადოევის სახელზე. 111
— მუშკ საფ. წიგნ. გიორგი გიორგის ძე გამხარდიას სახელზე 112
— სამხ. წიგნ. № 467 და სახელმწიფო უნივერსიტეტის მატრიკული № 1789 სერგო ოკუჯავას სახელზე. 114
— დამზღვევ სალაროს წიგნ. № 6 7 - სერგო მაჭავარიანის სახ. 115
— პროფკავშირის წიგნ. № 30002 და თბილ. სახელმწ. უნივ. პირად. მოწმ. № 1125 დიმიტრი აბაშიძეს სახელზე. 118
— მეტრ. ამონაწ. ლევან ვასილის-ძე ხახუტაშვილის სახელზე. უფ.
— მუშკ. წიგნ. № 541 3—ზინელ ხარიტონის-ძე ინიაშვილის სახ. 124
— რძის აბონ. № 8529—ციალა ალექსანდრეს ასული სახუგაშვილის სახელზე. 123
— სამხ. ბილეთი № 1008—სტეფანე ჯიბლაშვილის სახელზე. 98
— ნამსახ. მოწმ. № 412, გაც. საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსგან ფოროსთო ჩიქობავას სახელზე. 98
— 9 წლ. შრ. სკოლის დამთავრ. მოწმ. № 614—გრიგოლ თორდიას სახელზე. 95
— პირად. მოწმ.—მელქის ტიკარაძის სახელზე. 95
— სენაკ. კოოპ. საფ. წიგნ. № 12247—მარიამ კუმავას სახელზე. 95
— ახ. სენაკ. „ზაკტპო"-ს პურ. წიგნ, № 45657 შალვა გუგუნავას სახ. 95
— კავშირის წიგნ. № 39873—აპოლონი ხაზუბიას სახელზე. 95
— კავშ. წიგნ. № 88—ფილიდოსია მორგოშიას სახელზე. 113
— კოოპ. საფ. წიგნ. ბიქტორ ამირანაშვილის სახელზე. 113
— ქართლის საკრედიტო ამხ ბის და სახდაზღვევე საგენტოს მიერ მოცემული წიგნაკები შალვა ხახანაშვილის სახელზე. 113
— კოოპ. წიგნ. № 1/1121—ლუარსაბ ავალიანის სახელზე. 113

ტირაჟი—44.870
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904